ლელო
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
28 სექტემბერი **ორშაბათი** 2009
№ 228 (12 907) ფასი 60 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზვიად სიჭინავა მეტოქის გარეშე დარჩა

სამი დღე ახალ კაცამდე...



» გვერდი 4

ანტიკური ჭიდაობა

## ცხადაიას ვერცხლი

ოქროც შეიძლებოდა

» გვერდი 13

კალათბურთი

## სანიკიძე ჩემპიონია, მარკოიშვილი ბომბარდირი


მანუჩარ მარკოიშვილი

შერმადინის 27, ბოისა პირველია

» გვერდი 16



# ნაკრები?

თემურ ქეცბაია

## ჯერ დალაგდეს ფედერაცია და მერე ვნახოთ...

ინტერვიუ » გვერდი 3

# ყვენიას ეს დღე არასოდეს დაავიწყდება

ხიზანიშვილის ბრწყინვალე დებიუტი

» გვერდი 3,6



მჭედლიძის საგოლე, ყვენიას თითქმის საგოლე



# ლაზათიანი რაგბობა ლოგიკური ფინალით

საქართველოს ჩემპიონატი. პლეი ოფი » გვერდი 12

## დღევანდელი ლელო 20-გვერდიანია

ეროვნული ბიბლიოთეკა



26.09.09. გორი. ქართლი
100 მაყურებელი

| | |
|---|---|
| სპარტაკი | 3 |
| გაგრა | 1 |

*0:1 გაბედავა (32. შარიქაძის პასით), 1:1 ჩივაძე (38), 2:1 შალამბერიძე (56. კბილცეცხლაშვილის პასით), 3:1 მაისურაძე (67. კბილცეცხლაშვილის პასით)*

*სპარტაკი: შეყრილაძე - პ. დათუნაშვილი, გ. კვახაძე, ბოიომო, ა. გილაური - შალამბერიძე, შონია (52. კბილცეცხლაშვილი), დიდავა (46. ჩირიკაშვილი), ჩივაძე, ნ. მაისურაძე - გოცირიძე.*

*სათადარიგოები: ბათიაშვილი, დეკანოსიძე, ჩალაძე, კლოვისი, ცხადაძე*

*გაგრა: თევდორაძე - კუპრეიშვილი, გიგაური, თ. შალიკაშვილი, გაბუნია - რაქვიაშვილი, პ. ხორგუაშვილი, შარიქაძე (71. ტყეშელაშვილი), კობერიძე (69. ბაგალიშვილი) - თუხარელი (56. ოვონიკოკო), გაბედავა.*

*სათადარიგოები: ნადირაშვილი, ჭოხონელიძე, გოგიჩაიშვილი, ცაავა*

*გაფრთხილება: დათუნაიშვილი (44), გიგაური (57), მაისურაძე (58)*

*არბიტრი: ო. ხეცაძე*

# გოლი და უკმაყოფილება

დასაწყისი ძალიან უინტერესო აღმოჩნდა. მონინაალმდეგეები საჯარიმოსთან მიახლოებას ვერ ახერხებდნენ, თამაშს ვერ ამწვავებდნენ, ფლანგებს სათანადოდ ვერ იყენებდნენ... მეტოქეები ერთმანეთს კი არ ზვერავდნენ, თითქოს ემალებოდნენ - არანაირი ტემპი და მოძრაობა.

მხოლოდ ორჯერ გამოცოცხლდა სტადიონი, რომელიც ტრადიციულად ცარიელი იყო. 25-ე წუთიდან თამაში ოდნავ გამოცოცხლდა და მომენტებიც შეიქმნა. მაგალითად, ეს - **პავლე დათუნაიშვილს** საკუთარ საჯარიმოში ბურთი **მიხეილ კობერიძემ** აართვა და კარის წინ **გიორგი გაბედავა** მოძებნა - ბოლო მომენტში ამ უკანასკნელს მცველები გადაელობნენ და ვითარება განმუხტეს. 27-ე წუთზე კი თემურ შონიამ კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი კარისკენ გაგზავნა, მაგრამ მიზანს მცირედით ააცილა.

ანგარიში 32-ე წუთზე გაიხსნა - **ლევან შარიქაძის** მშვენიერი გადაცემის შემდეგ, **გიორგი გაბედავა** ხელსაყრელ პოზიციაზე გავიდა და ზუსტად დაარტყა - 0:1. მასპინძლებმა წონასწორობა ზუსტად 6 წუთში აღადგინეს: **გიორგი ჩივაძემ** საჯარიმოს მისადგომებთან მიიღო ბურთი და „ცხრიანში" ისე ეფექტურად მოარტყა, მამამისმა, ტრიბუნაზე მყოფმა ბატონმა საშამ, ემოციები ძლივს მოთოკა, სიამოვნებისგან მხოლოდ ჩაეცინა - 1:1.

მეორე ტაიმში „სპარტაკის" მთავარმა მწვრთნელმა **ვლადიმერ ხაჩიძემ** იერიშების გასაძლიერებლად, **გივი დიდავას** ნაცვლად შემტევი სტილის ნახევარმცველი **ირაკლი ჩირიკაშვილი** შეუშვა მოედანზე, ცოტა მოგვიანებით კი **თემურ შონია გიორგი კბილცეცხლაშვილით** ჩაანაცვლა.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ კბილცეცხლაშვილის სახით, უმაღლეს ლიგაში საინტერესო ფეხბურთელი გამოჩნდა. მაღალმა, სწრაფმა და აგრესიულმა მარჯვენაფლანგელმა „სპარტაკის" თამაში აშკარად გამოაცოცხლა, მონაწილეობა მიიღო საგოლე შეტევაშიც, გოლი კი სტუმრების მხრიდან პროტესტის საგანი გახდა. 56-ე წუთი იყო, როცა გაგრელებმა საკუთარი საჯარიმოს სიახლოვეს თამაშის წესი დაარღვიეს და არბიტრმა **ოთარ ხეცაძემ** ჯარიმა დანიშნა. მასპინძლებმა „ცოცხალი კედლის" 9 მეტრზე დაყენება არ მოითხოვეს, ბურთი გაათამაშეს, კბილცეცხლაშვილმა **კობა შალამბერიძე** მეკარესთან პირისპირ გაიყვანა და „სპარტაკი" დაწინაურდა - 2:1. სტუმრები ამტკიცებდნენ, გარდა იმისა, რომ ბურთის გათამაშებისას დაირღვა წესები, შალამბერიძე თამაშგარე მდგომარეობაშიც იმყოფებოდაო. ორიოდ წუთში კი



შაბათს სპარტაკის შემადგენლობაში აქვსენტი გილაურის დებიუტი შედგა

გაგრელები დათუნაიშვილის გაძევებასაც ითხოვდნენ - კობერიძე უკნიდან მოცელაო. მანამდე „სპარტაკის" მცველს ყვითელი ბარათი ჰქონდა მიღებული...

გაშვებულ გოლს გაფუჭებული მომენტიც დაემატა: 65-ე წუთზე **ჯიმი გაბუნიას** მიერ ჩაწოდებული ბურთი **თემურ რაქვიაშვილმა** კარში უზუსტოდ გაგზავნა. ახალგაზრდული „გაგრა" წელში გატყდა და მალე სტუმართა კარში მესამე გოლიც გავიდა: 67-ე წუთზე კბილცეცხლაშვილმა მარჯვენა ფლანგზე მცველებს ჩაუქროლა, საჯარიმოშიც მშვენივრად ჩააწოდა და **ნიკა მაისურაძემ** კარის ხაზიდან გაზარდა სხვაობა - 3:1. ამ ეპიზოდში მცველებმა მეკარე ვერ დააზღვიეს.

81-ე წუთზე კვლავ ჩივაძე (შეხვედრა საკმაოდ მაღალ დონეზე ჩაატარა) უტევდა, მაგრამ ამჯერად დარტყმა „გაგრას" მეკარე **რევაზ თევდორაძემ** მოიგერია. საბოლოოდ, 3:1 ცხინვალის „სპარტაკის" სასარგებლოდ, ხოლო ხაჩიძის გუნდმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ფიზიკური თვალსაზრისით, უმაღლეს ლიგაში სათამაშოდ მშვენივრადაა მომზადებული, თუმცა უმწვავეს პრობლემად რჩება ახალგაზრდა ფეხბურთელების უმწიფარი ფსიქიკა. უმაღლეს ლიგაში ბევრ გუნდს ვერ იპოვით, **ვიქტორ კაშჩეის** კრებულივით ბევრს მოძრაობდეს, მაგრამ... ჯერჯერობით, ამისგან ხეირი არ ჩანს. გვრჩება შთაბეჭდილება, ამ პერსპექტიულ გუნდს ერთი გამოცდილი ფეხბურთელი მაინც სჭირდება, ახალგაზრდებს რომ აიყოლიებს.

**მერაბ მამულაშვილი**
გორი-თბილისი

26.09.09. ბოლნისი. თ. სტეფანია
1000 მაყურებელი

| | |
|---|---|
| სიონი | 3 |
| სამტრედია | 0 |

*1:0 კიკნაძე (1. გოგობერიშვილის პასით), 2:0 სვანიძე (35), 3:0 გოგობერიშვილი (40. პენალტით)*

*სიონი: ბობლიაშვილი - სვანიძე, ი. ვაშაკიძე, ქემოკლიძე, ხუბუა - გ. ხიდეშელი, გოგობერიშვილი, თ. თარხნიშვილი (45. ჩიკვილაძე), ლ. ნოზაძე - კიკნაძე (80. ფიფია), ჩიმაკაძე (65. ოქროპირიძე).*

*სათადარიგოები: ხტურუა, დავითაშვილი, ბაჯელიძე, მახვილაძე*

*სამტრედია: ხარძეიშვილი - კირთაძე, გოგია, კვესიეშვილი, ქორიძე - ფირცხალავა, ჩომახიძე, ჯანგიძე (46. ტყემალაძე), ლ. ვაშაკიძე - ზ. ხაჭაპერაძე (46. ჯიქიძე), ბაკარაძე (77. ეცადეიშვილი).*

*სათადარიგოები: ჯინჭარაძე, ნინუა, ქვრივიშვილი, ბ. ხაჭაპერაძე*

*გაფრთხილება: ი. ვაშაკიძე (24), გოგობერიშვილი (41), ბობლიაშვილი (46), ოქროპირიძე (85)*

*არბიტრი: გ. ვადაჭკორია*

# სამი უპასუხო გოლი სამ-ტრედიისთვის

ამ მატჩამდე სამტრედიელებს ბოლნისელებზე 3 ქულით მეტი ჰქონდათ მარაგში. ორივე ეს გუნდი ცხრილის მეორე ნახევარშია და ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის ბრძოლაში კონკურენტები არიან. ასე რომ, „სიონს", რომელსაც აქამდე მხოლოდ ერთი მოგება ჰქონდა, „სამტრედიასთან" გამარჯვება ჰაერივით სჭირდებოდა. ბოლნისელებმა ლოკალური პრობლემა წარმატებით გადაჭრეს - მოიგეს და სამტრედიელებს ქულებით გაუტოლდნენ. უმაღლესი ლიგის დებიუტანტმა წინა ტურებში კარგი შთაბეჭდილება დატოვა, თუმცა „თეიმურაზ სტეფანიაზე" თავი ვერაფრით გამოიჩინა.

თამაში ორი განსხვავებული ტაიმისგან შედგებოდა. პირველ 45 წუთში მასპინძლებმა დაჯაბნეს სტუმრები და ეს ანგარიშშიც აისახა. შესვენების შემდეგ სტუმრები უკეთ გამოიყურებოდნენ, მაგრამ ეს უფრო ბოლნისელთა დამსახურება იყო, რადგან ანგარიშიდან გამომდინარე, მათ ინიციატივა დათმეს...

არბიტრმა **გიორგი ვადაჭკორიამ** თამაშის დაწყების ნიშანი მისცა და... ბოლნისელთა პირველივე შეტევა გოლით დასრულდა. სადღაც 50 წამში **ალექსანდრე გოგობერიშვილის** ზუსტი პასი **ირაკლი კიკნაძემ** შეირგო და ანგარიში გახსნა - 1:0. ეს იყო კიკნაძის მეორე მატჩი „სიონში" და პირველი გოლი.

**თემურ მახარაძის** გუნდი ამით არ დაკმაყოფილდა და ანგარიშის გაზრდაზე იზრუნა. წინ ისევ კიკნაძე აქტიურობდა. მას და **ჩიმაკაძეს** უკნიდან კარგად ამარაგებდნენ გოგობერიშვილი, **ნოზაძე** და **თარხნიშვილი**. ამ უკანასკნელმა დიდი სამუშაო გასწია, მაგრამ ტაიმის მიწურულს ტრავმა მიიღო და შესაცვლელი გახდა. **გიორგი ხიდეშელი** ტრადიციას არ ღალატობდა და შორეული, ძლიერი დარტყმებით აწუხებდა სტუმართა მეკარე **დავით ხარძეიშვილს**. ეს უკანასკნელი რომ არა, ბოლნისელები უფრო სოლიდური ანგარიშით მოიგებდნენ.

მასპინძლებმა შორეული დარტყმებით კი „დაბომბეს" სტუმრები, მაგრამ მეორე ბურთის გატანა დაუგვიანდათ. 35-ე წუთზე **დავით სვანიძეს** მეტოქისგან მოგერიებული ბურთი საჯარიმოშივე მიუვიდა, ერთი ცრუ მოძრაობა გააკეთა და ეგრევე კარში გაგზავნა - 2:0. ექვს წუთში კი ამ შეხვედრის (თურმე) უკანასკნელი გოლი ვიხილეთ - გოგობერიშვილი სოლორეიდისას საჯარიმოში წააქციეს და პენალტი თავად დაზარალებულმა შეასრულა - 3:0.

შესვენებამდე სამტრედიელებმა გამოსარჩევი ვერაფერი შექმნეს. ნახევარდაცვაში **ლაშა ვაშაკიძე** და გამოცდილი **შოთა ჩომახიძე** კი აქტიურობდნენ, მაგრამ...

აი, მეორე ნახევარში კი ბევრად უკეთ სტუმრები წარმოჩნდნენ, თუმც ისიც უნდა ითქვას, რომ ბოლნისელები გაჩერდნენ და აღარ აქტიურობდნენ. ამის გამო ისინი კინაღამ დაისაჯნენ. „სიონმა" „მშრალად" რომ მოიგო თამაში, მეკარე **მინდია ბობლიაშვილისა** და მცველების დამსახურებაა. მან ვაშაკიძეს ერთხელ, ჩომახიძეს კი ორჯერ აუღო რთული დარტყმა. 79-ე წუთზე სტუმრებს გოლის გატანის რეალური შანსი ჰქონდათ, მაგრამ **ფირცხალავას** დარტყმული ხარიხამ აისხლიტა. მატჩის მიწურულს იმერლები კიდევ ერთხელ შეეცადნენ პრესტიჟის გოლის გატანას, თუმცა ჩომახიძისა და **ჯიქიძის** ქმედებებს შედეგი არ მოჰყოლია.

### მატჩის შემდეგ

**თემურ მახარაძე** (სიონი): „ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის ჩვენ და „სამტრედია" კონკურენტები ვართ და ამიტომ, ეს მოგება ძალიან გვჭირდებოდა. პირველ ტაიმში ფეხბურთელებმა ყველა ჩემი დავალება ზედმიწევნით ზუსტად შეასრულეს და საკმაო ფორითაც დავწინაურდით. თუმცა ფეხბურთელებმა ამით დაამთავრეს თამაში და მეორე ნახევარში საკმაოდ ცუდად გამოიყურებოდნენ. ასე არ შეიძლება! ამაზე მოთამაშეებს აუცილებლად დაველაპარაკები".

**ვალერიან ჩხარტიშვილი** (სამტრედია): „მართალია, გამორჩეული ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდი არ გვყავს, მაგრამ წინა შეხვედრებში ბიჭებმა კარგად ითამაშეს და ამ მატჩის წინ უიმედოდ არ ვყოფილვართ. თუმცა დღეს ცუდად გავისარჯეთ. ჩემი ფეხბურთელები მოედანზე ცოტას მოძრაობდნენ, დგომით კი „სიონს" კი არა, მასზე გაცილებით სუსტ მეტოქესაც ვერ მოუგებ".

**დავით ცაბაძე**
ბოლნისი-თბილისი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 8 | 5 | 2 | 1 | 19-4 | 17 |
| 2. ოლიმპი | 8 | 5 | 2 | 1 | 15-8 | 17 |
| 3. ზესტაფონი | 8 | 4 | 4 | 0 | 14-4 | 16 |
| 4. სპარტაკი | 8 | 5 | 0 | 3 | 13-13 | 15 |
| 5. ვიტ ჯორჯია | 8 | 4 | 3 | 1 | 9-8 | 15 |
| 6. სამტრედია | 8 | 3 | 0 | 5 | 9-17 | 9 |
| 7. სიონი | 8 | 2 | 3 | 3 | 6-9 | 9 |
| 8. გაგრა | 8 | 2 | 1 | 5 | 12-13 | 7 |
| 9. ბაია | 8 | 1 | 1 | 6 | 6-16 | 4 |
| 10. ლოკომოტივი | 8 | 0 | 2 | 6 | 2-12 | 2 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| გაბედავა (გაგრა) | 7 |
| გელაშვილი (ზესტაფონი) | 6 |
| მერებაშვილი (დინამო) | 5 |
| აკინო (ოლიმპი) | 5 |
| კვარაცხელია (ვიტ ჯორჯია) | 5 |
| კოშკაძე (დინამო) | 4 |
| დ. ქირია (ბაია) | 3 |
| დვალი (ზესტაფონი) | 3 |
| ვანაძე (დინამო) | 3 |
| ჯულაკიძე (ოლიმპი) | 3 |
| კაკალაძე (სამტრედია) | 3 |

### მომდევნო ტური

**29 სექტემბერი, სამშაბათი**

ბაია-ზესტაფონი
ლოკომოტივი-ვიტ ჯორჯია

**30 სექტემბერი ოთხშაბათი**

ოლიმპი-სპარტაკი
სამტრედია-დინამო
გაგრა-სიონი

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის ქუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემებსა და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ინტერვიუ

# თემურ ქეცბაია: ნაკრებში მუშაობა არაოფიციალურად ბევრჯერ შემომთავაზეს

## ქეცბაია არჩევნებს დაელოდება და გეგმებზე მერე ილაპარაკებს



დაინიშნება თუ არა თემურ ქეცბაია საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად? როგორც ჩანს, ფედერაციაში მისასვლელად გამზადებული გუნდი ამ საკითხს რეალურად განიხილავს. ექტორ კუპერის საკითხი გარკვეულია - ფეხბურთის ფედერაციის მომავალი ხელმძღვანელობა არგენტინელს კონტრაქტს არ გაუგრძელებს. უცხოელი სპეციალისტებისადმი ზვიად სიჭინავასა და მისი გუნდის დამოკიდებულება ამაზე ნათლად მიუთითებს. გულშემატკივრებთან შეხვედრისას, მურთაზ ხურცილავამ ბრძანა - ხომ ხედავთ, უცხოელებმა რა დღეში ჩაგვაგდესო და ეს არც ერთ მის თანამოაზრეს არ გაუპროტესტებია...

ერთადერთი უცხოელი, რომლის ჩამოყვანაც შესაძლებელია (თუმცა, მასაც მიზერული შანსი აქვს), თბილისის „დინამოს" ყოფილი მთავარი მწვრთნელი ივო შუშაკია. ხორვატი „დინამოს" პერიოდიდან მეგობრობს გია ფირცხალავასთან, რომელიც ახალ ფედერაციაში ვიცე-პრეზიდენტად მოიაზრება. შუშაკს არაერთხელ უთქვამს, რომ საქართველოში სიამოვნებით დაბრუნდება.

გულშემატკივრებისთვის კი ეროვნული გუნდის სათავეში ყველაზე სასურველი თემურ ქეცბაიას კანდიდატურაა. სასურველი კია, მაგრამ რეალურისა რა გითხრათ - თემური პირეოსის „ოლიმპიაკოსში" ფეხბურთელებისა და ხელმძღვანელობის ბუნტს შეეწირა. ბერძნული ფეხბურთის ვარსკვლავები მკაცრ ქართველს შეეწინააღმდეგნენ, ქართველმა პირეოსელთა პრეზიდენტიც გადაიკიდა. ამბობენ, თავის საქმიანობაში არ ჩარია და ამიტომაც დასრულდა კლუბის შიდა კონფლიქტი ქეცბაიას წამოსვლითო.

თავად ქეცბაიამ კი განაცხადა, რომ ბერძნული, კვიპროსული და რუმინული კლუბები იწვევენ. მეორე მხრივ, საქართველოს ნაკრებში მუშაობასაც სთავაზობენ, რაც ნებისმიერი მწვრთნელისთვის დიდი გამოწვევაა. ეგ არის, რომ თემური სასწორზე არ დადებს შრომითა და წვალებით შექმნილ საკუთარ რეპუტაციას. „ოლიმპიაკოსიდან" მოულოდნელ წამოსვლას სანაკრებო წარუმატებლობაც თუ დაემატა, ქეცბაია ევროპელებისთვის ძველებურად საინტერესო სპეციალისტი აღარ იქნება. ეს ფაქტორები თემურს საკმაოდ აფიქრებს. თუმცა ისიც აშკარაა, რომ საქართველოს ნაკრების მწვრთნელობა მისთვის საინტერესო სამუშაოა და ეს ჩვენი ინტერვიუდანაც ჩანს, ეგ არის, რომ გადაწყვეტილების მიღება ჭირს.

ქეცბაია გორში ცხინვალის „სპარტაკისა" და „გაგრას" ბოლო ტურის შეხვედრას დაესწრო. ჰოდა, ვისარგებლეთ შემთხვევით და გავესაუბრეთ...

**- თემურ, საქართველოს ჩემპიონატის შეხვედრას ბოლოს როდის დაესწარით?**

- ეს კარგა ხნის წინ იყო, არც მახსოვს...

**- დღევანდელმა შეხვედრამ და, ზოგადად, საქართველოს ჩემპიონატის დონემ თქვენზე როგორი შთაბეჭდილება დატოვა?**

- ასეთ მოედანსა და ასეთ ამინდში (გორში ძლიერი ქარი ქროდა - ავტ.) ძნელია, მოთამაშეებს მაღალი დონის ფეხბურთი მოსთხოვო, მაგრამ ბიჭები ცდილობდნენ...

**- დღეს ყველას აინტერესებს, ჩაიბარებთ თუ არა ეროვნულ ნაკრებს?**

- ჯერ ფეხბურთის ფედერაციაში ვითარება უნდა დალაგდეს და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ამ საკითხზე ლაპარაკი. ახლა კი ამაზე ფიქრი ნაადრევია. აირჩევენ ახალ თავკაცს და მერე ვნახოთ...

**- იყო თუ არა შეთავაზება ფეხბურთის ფედერაციის მხრიდან?**

- დღემდე ოფიციალური შეთავაზება არ მიმიღია, არაოფიციალურად კი ნაკრებში მუშაობა რამდენჯერმე შემომთავაზეს.

**- მოლაპარაკება არაოფიციალური შეთავაზებით იწყება. თუმცა გავრცელებულია ვერსია, რომ საქართველოში დაბრუნება არ გსურთ, რომ კვიპროსში აწყობილ ცხოვრებას შეეჩვიეთ და მისი მიტოვება გიჭირთ, გიწვევდათ „ნიუკასლი", კიდევ ბევრი ცნობილი ევროპული გუნდი და მუშაობდით „ოლიმპიაკოსში"...**

- (იცინის) ვმუშაობდი!

**- დიახ, მუშაობდით და ახლაც მრავალი საინტერესო წინადადება გაქვთ. ამის შემდეგ, საქართველოს სუსტ ნაკრებში მუშაობის დაწყება მიმზიდველად ნამდვილად არ გამოიყურება...**

- სანამ ფეხბურთის ფედერაციას პრეზიდენტი არ ჰყავს და ოფიციალური შეთავაზება არ მიმიღია, ვერაფერს ვიტყვი. დაველოდოთ არჩევნებს და გეგმებზე მერე ვილაპარაკოთ.

**- ნორმალური შეთავაზება რომ მიიღოთ?**

- იცით, ყველაფერს აქვს მნიშვნელობა, ამ თანამდებობაზე დათანხმება ასე ადვილი არ არის.

**- მაინც რატომ არის რთული საქართველოს ნაკრების მწვრთნელობა? ფეხბურთელებთან ურთიერთობის გამო თუ გუნდის დალაგებაა რთული?**

- რთული იმიტომ არის, რომ ქართველი გულშემატკივარი მაღალი დონის ფეხბურთსა და საკმაოდ დიდ შედეგებსაა მიჩვეული. ამ ნაკრებით კი ორ წელიწადში შედეგის მიღწევა იოლი არ იქნება.

**- კვიპროსიც არ იყო წარმატებული საფეხბურთო ქვეყანა, მაგრამ ძლიერი კლუბი ჩამოაყალიბეთ.**

- ეს იმიტომ, რომ ნორმალურად ვმუშაობდით, გარემო ხელს მიწყობდა, პირობებიც იყო და შედეგსაც ამიტომ მივაღწიე. საქართველოში ვითარების გამოსასწორებლად კი ძალიან ბევრი რამაა შესაცვლელი.

**- საქართველოს ნაკრებში პოტენციალს თუ ხედავთ?**

- ვერ ვიტყვი, რომ მაინცდამაინც მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზებზე გავალთ, მაგრამ იმის პოტენციალი ნამდვილად გვაქვს, რომ მალტის, მოლდოვისა და კვიპროსის ნაკრებები დავამარცხოთ, საკუთარ მოედანზე მაინც უნდა მოვუგოთ... ქართულ ფეხბურთში უამრავი პრობლემაა მოსაგვარებელი და მათ თუ ვერ მივხედეთ, მხოლოდ ნაკრების პატრონობით არ გვეშველება.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი

# ეს დღე მთელი ცხოვრება მემახსოვრება



**შაბათს „შალკემ" უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა. გელზენკირხენელებმა სტუმრად დერბიში დორტმუნდის „ბორუსიას" 1:0 სძლია, და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ამ გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა ლევან ყენიამ, რომელმაც საგოლე კომბინაცია წამოიწყო. იგი მატჩს ასე იხსენებს:**

- ძალიან დაძაბული შეხვედრა იყო, რაც არაა გასაკვირი, ამ გუნდებს შორის ყოველთვის დაუნდობელი ბრძოლა მიმდინარეობს. 2007 წელს „შალკეს" ჩემპიონობა სწორედ „დორტმუნდმა" დააკარგვინა და ჩვენს მოტივაციას ახლო წარსულში მომხდარი ეს ფაქტიც აძლიერებდა. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად წარიმართა და ძალიან ძვირფასი სამი ქულა მოვიპოვეთ.

მოხარული ვარ, საგოლე კომბინაცია მე რომ წამოვიწყე. სხვა მხრივ, უკეთაც შემეძლო თამაში, მაგრამ არა უშავს, ვგრძნობ, რომ ტურიდან ტურამდე უკეთეს ფორმაში შევდივარ. მთავარი ისაა, რომ ფელიქს მაგათი ბოლომდე მენდობა და ვცდილობ, იმედები არ გავუცრუო. ივან რაკიტიჩი ძირითადი შემადგენლობიდან უკვე საფუძვლიანად ამოვაგდე, მაგრამ ეს არ კმარა, განვითარება არ უნდა შევწყვიტო და „შალკეს" ლიდერად უნდა ვიქცე.

დორტმუნდში მატჩს ექსცესების გარეშე არ ჩაუვლია. „ბორუსიას" გულშემატკივრები საკმაოდ აგრესიულად იქცეოდნენ და ჩვენი წონასწორობიდან გამოყვანას ცდილობდნენ. განსაკუთრებით ცუდ დღეში „შალკეს" შავკანიანები ჩააგდეს. ჯეფერსონ ფარფანსა და ჯერალდ ასამოას მთელი თამაშის განმავლობაში „ბებურას" ეძახოდნენ, რაც ჟარგონზე მაიმუნს ნიშნავს. მოკლედ, დიდი წნეხი გამოვიარეთ და საბედნიეროდ, ყველაფერი ჩვენთვის კარგად დასრულდა. კარგი იქნებოდა, ამ გამარჯვებაში ლევან კობიაშვილსაც შეეტანა თავისი წვლილი, მაგრამ სამწუხაროდ, მცირე ტრავმის გამო მან „ბორუსიასთან" ვერ ითამაშა.

ქომაგები დორტმუნდშიც წამოგვყვნენ და ჩვენს გამარჯვებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს. გელზენკირხენში ავტობუსით დავბრუნდით და იქაც საკმაოდ ბევრი გულშემატკივარი დაგვხვდა. მოკლედ, ძალიან სასიამოვნო დღე იყო, რომელიც მთელი ცხოვრება მემახსოვრება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ინფრასტრუქტურა




მარჯვნივ კობა ახალკაცი

# კობა ახალკაცი
# სად იყო ნოდარ ახალკაცი, მე რომ ბიზნესი მქონდა?!

## სამი ახალი მოედანი ოქტომბრის ბოლოს

როგორც ხის მოჭრას - ნაფოტი, კინალამ ისე შეეწირა **კობა ახალკაცი** ფეხბურთის ფედერაციის წინააღმდეგ აგორებულ ლაშქრობას. რადგან ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტის მოგვარეა - ათასი რამ დააბრალეს, კლუბებისთვის მედიკამენტების ძალით მიყიდვა, მოედნების მშენებლობაში ფედერაციის ლობირება და ასე შემდეგ. ამ დროს კი ვეტერანი ფეხბურთელი ქართული სტადიონების კეთილმოწყობითაა დაკავებული. ბრალდებებზე ახალკაცს ეცინება და ამბობს, რომ გვარის გადაკეთებას არ აპირებს:

„რატომღაც ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტის ნოდარ ახალკაცის მიერ ხელშეწყობილ ბიზნესმენად მომნათლეს, და ეს მაშინ, როცა ჩემი ბიზნესი ახალკაცის პრეზიდენტობამდე კარგა ხნით ადრე წამოვიწყე. ვის რაში დასჭირდა ჩემ წინააღმდეგ ჭორების აგორება? ეტყობა, შეტევის ობიექტი გვარისა და ჩამოტანილი პროდუქციის ხარისხის გამო გავხდი. თუმცა გვარის გადაკეთებასა და უხარისხო პროდუქციის ჩამოტანას არ ვაპირებ. სხვათა შორის, მე შემომაქვს არა სამედიცინო პრეპარატები, არამედ კვების დანამატები. ეს სხვადასხვა რამაა. ამ საქმიანობას 2002 წლიდან ვეწევი და მაშინ ნოდარ ახალკაცი ფედერაციის პრეზიდენტი არ ყოფილა. თუმცა, ეტყობა, ჩემს ბიზნესს ლობირებდა და არ მიმხელდა. მოედნების ბიზნესს რაც შეეხება, მე ახალკაცთან ისევე შეკრული ვიყავი, როგორც ეროვნული სტადიონის მეპატრონე გოჩა ძასოხოვთან. მას მხოლოდ სალმით ვიცნობდი იმ პერიოდში, როცა სარბენი ბილიკის დაგება გვთხოვა. ასეთივე შეკრული ვარ „ბაიას" პრეზიდენტ ზვიად სიჭინავასთან, რომელსაც საერთოდ არ ვიცნობდი და თავად დამიკავშირდა - არსებული ვარიანტებიდან, თქვენი კომპანია „ტარკეტის" საფარი ყველაზე ხარისხიანია და მსურს, ჩვენს ბაზაზე დააგოთო. თუკი ყველასთან შეკრული ვარ, გამოდის, ეს ქვეყანა ჩემი ყოფილა! სერიოზულად თუ ვილაპარაკებთ, ეს ბრალდებები სასაცილოა, რადგან მოედნებს ვერავინ დამიწუნებს. მე საქართველოში წარმოვადგენ „ტარკეტსა" და „დესოს", რომლებმაც საფარი მსოფლიოს საუკეთესო სტადიონებზე შეცვალეს. საერთოდ, სამგვარი საფარი არსებობს - ნატურალური, შერეული და ხელოვნური. ჩვენი კომპანიების გაკეთებულია „მანჩესტერის" სტადიონის ნატურალური მოედანი, „ემირატსის" შერეული საფარი და უამრავ სტადიონსა თუ ბაზაზე, მათ შორის, „ლუჟნიკებსა" და საფრანგეთის ნაკრების ბაზაზე ხელოვნური ხალიჩები. ეტყობა, „მანჩესტერი", „არსენალი", საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაცია და ცსკა-ც ჩემთან არიან შეკრულები. მძლეთამძლე ვარ, გეუბნებით და არ გჯერათ".

ახალკაცის კომპანია „ჯორჯიანსპორტსერვისი" ახლა სამ მოედანს აკეთებს, აქედან, ორს მცხეთაში - „ვიტ ჯორჯიას" სტადიონზე და სანაკრებო ბაზაზე და ერთსაც რუსთავში, „ფოლადის" არენაზე.

„სავარაუდოდ, ეს მშენებლობები ოქტომბრის ბოლოს დასრულდება. მცხეთაში სამუშაოები აქამდეც უნდა დაგვეწყო, მაგრამ წვიმებმა შეგვაყოვნა. რუსთავში მიწა უკვე მოჭრილია და ამ დღეებში დრენაჟის დაგებას დავიწყებთ. ყველაზე დიდი სამუშაოები „ბასაში" გავწიეთ, უზარმაზარი გორაკი მოიჭრა, მთავარი მოედნის გვერდით, საკმაოდ დიდი სტადიონის ჩასადგმელი ადგილი გათავისუფლდა და დრენაჟის ორი ფენა დავაგეთ. 10 ოქტომბერს საფარს ველოდებით და წესით, მოედანი ოქტომბრის ბოლოს მზად იქნება".

**მერაბ მამულაშვილი**

არჩევნების წინ

# სიჭინავა უკონკურენტოა

## ხმის მიცემა ფარულად იქნება

სამი დღეც და ფეხბურთის ფედერაციას ახალი თავკაცი ეყოლება. 1-ელ ოქტომბერს გასამართავ რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებში, ზუგდიდის „ბაიას" მეპატრონე **ზვიად სიჭინავას** კონკურენტი არ ჰყავს. არჩევნებისთვის კანდიდატთა რეგისტრაცია შაბათს, 26 სექტემბერს, 18 საათზე დასრულდა. სიჭინავას გარდა, რეგისტრაცია არავის გაუვლია. ბოლო მომენტში არჩევნებში ჩართვა გადაიფიქრა **ნიკა ლეკიშვილმაც**, რომელიც პირველი იყო, პრეზიდენტობაზე რომ განაცხადა პრეტენზია. პოტენციურ კანდიდატებად მოიაზრებოდნენ **ვლადიმერ გუცაევი** და **რევაზ არველაძეც**, თუმცა არჩევნებში არც ისინი ჩაერთვნენ. საფეხბურთო ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა **მიხეილ ყაველაშვილმა** კი გარკვევით განაცხადა - ამ პროცესს ვემიჯნები, რადგან უსამართლობა ხდებაო.

ფეხბურთის ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა 1 ოქტომბერს, ტექნიკურ ცენტრ „ბასაში" 11 საათზე დაიწყება. დელეგატთა რეგისტრაცია ერთი საათით ადრე დაიწყება. ჩვენი ინფორმაციით, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ერთი საპრეზიდენტო კანდიდატია რეგისტრირებული, ხმის მიცემის პროცედურა მაინც ფარული იქნება. არჩევნებში ხმის უფლების მქონე 31 სუბიექტი მიიღებს მონაწილეობას, გამარჯვებისთვის კი 50%+1, ანუ 16 ხმის მიღება იქნება საკმარისი.

**დავით ცაბაძე**

პრეზიდენტის არჩევნების გამო...

# ერთი მსახიობის თეატრი

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადა ისე ამოიწურა, განაცხადი აღარავის შეუტანია! ანუ, ვინც იყო ერთადერთი კანდიდატი, ასეთად დარჩა კიდეც. ახლა კი ისღა დაგვრჩენია, საფეხბურთო სამყაროსთვის უცნობ და „მოულოდნელ" იმ ერთადერთ კანდიდატს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობა მივულოცოთ! მაშ ასე - ზვიად სიჭინავა უკვე დღეიდან ქართული ფეხბურთის ხელმძღვანელია და 1-ელ ოქტომბერს ეს, უბრალოდ, იურიდიულად გაფორმდება...**

**...მსგავსი რამ, ალბათ, არსად მომხდარა და არც მოხდება. გასაგებია, რომ ქართველებს ფეხბურთი ძალიან გვიყვარს და, როგორც ზოგს უყვარს ხოლმე ხატოვნად და ტრიბუნიდან თქმა, ლამის რელიგიის დონემდე გვყავს აყვანილი. სიყვარულს, რა თქმა უნდა, ვერავის დავუშლით, მაგრამ რატომ ხდება მაინცდამაინც ჩვენთან ისეთი „უცნაურობა", როცა ფეხბურთის ფედერაციის არჩევნებს ასეთი ვნებათაღელვა უნდა მოჰყვეს? ეგ კი არა, მნიშვნელობითა თუ მოვლენების განვითარებით, ლამის არის... ქვეყნის საპრეზიდენტო არჩევნებიც დაჩრდილოს!..**

**...რაო, 1-ელ ოქტომბერს არჩევნები იქნებაო? ახლავე გამოვასწორებთ ჩვენს „შეცდომას" და იქნებ, რაიმე სხვა სახელი მოვუძებნოთ. აბა, რომელ არჩევნებზეა ლაპარაკი, როცა ასეთი საპასუხისმგებლო პოსტისთვის მხოლოდ ერთი კანდიდატი „იბრძოდა"? ბოლოს და ბოლოს, იქ, „ზემოთ", სხვაც შეერჩიათ, ვითომკონკურენტი, და არჩევნებისთვის დემოკრატიული ფასადიც შეექმნათ. ამის მერე ეს „დაუნახავი" ჟურნალისტებიც ხომ გაჩერდებოდნენ და, რაც მთავარია, მეორე დღეს სამიოდე შემორჩენილი ქართული სპორტული გაზეთის პირველ გვერდებზეც დიდი ასოებით დაიწერებოდა: გუშინ ჭეშმარიტად დემოკრატიული არჩევნები ჩატარდა და ქართული ფეხბურთის აღმავლობა-აღმშენებლობაც დაიწყოო!..**

...1990 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში, ჭადრაკის სასახლეში რომ ჩატარდა, უფროსმა **ნოდარ ახალკაცმა** ისე გაიმარჯვა, სალაპარაკო არავის მისცემია. რა, კონკურენტები არ ჰყავდა? რამდენიც გნებავთ, მაგრამ ყრილობაზე ისეთი სიტყვით გამოვიდა, სხვა კანდიდატები უშანსოდ დატოვა და იმათაც აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება მიიღეს - ბრძოლას თავი აარიდეს. არანაკლებ ხმაურიანი გამოდგა 1994 წლის არჩევნებიც. პირველის მსგავსად, რამდენიმე ასეული დელეგატი (თან, ხმის უფლებით) რომ ესწრებოდა. ერთი შეხედვით, უფროსი ახალკაცის გამარჯვებაში ეჭვი არავის ეპარებოდა, მაგრამ, თურმე, ყველა ასე არ ფიქრობდა. აღარ გვინდა ძველი სიბინძურეების გახსენება, მაგრამ ის კი ფაქტი იყო, რომ მაშინ „დინამოს" სტადიონის დარბაზში ღალატის სუნი ტრიალებდა. ანუ, „ორმაგ სტანდარტებთან" გვქონდა საქმე და იმის დიდი შანსიც იყო, რომ ახალკაცი მეორედ აღარ აერჩიათ...

...1998 წლის არჩევნებში პირველად მოხდა, რომ ხელისუფლებამ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე საკუთარი კანდიდატურის „გაყვანა" მოინდომა. თუმცა კონკურენტუნარიან გარემოში (ოთხი კანდიდატი იყო) დელეგატთა უმრავლესობამ ფედერაციის პრეზიდენტად **მერაბ ჟორდანია** აირჩია, თან არ დაგვავიწყდეს - მაშინაც რამდენიმე ასეული დელეგატი იყო...

...არანაკლები ვნებათაღელვა მოჰყვა 2002 წლის არჩევნებს, „შერატონ მეტეხი-პალასში" რომ ჩატარდა. ამ შემთხვევაში დელეგატთა რიცხვი აშკარად შემცირებული იყო, თუმცა ყრილობის დაწყებამდე არავინ იცოდა, თუ ვის დარჩებოდა საბოლოო გამარჯვება - მერაბ ჟორდანიას თუ **დავით პეტრიაშვილს**. საბოლოოდ, ჟორდანიამ ხმათა უმრავლესობით აჯობა არცთუ სუსტ კონკურენტს, მაგრამ მიზეზთა გამო, უკვე 3 წლის მერე... რიგგარეშე არჩევნები დაინიშნა. აი, სწორედ 2005 წელს მოხდა პირველად, რომ ქართულ ფეხბურთს ხელმძღვანელი... ზემოდან დაუნიშნეს, არჩევნები უბრალოდ დეკორაცია იყო. არადა, თუ გახსოვთ, რამდენიმე კანდიდატი იყო, თანაც ყველა - ქართული საფეხბურთო „ოჯახიდან"... მაგრამ უცბად გერმანიიდან **ნოდარ ახალკაცი-უმცროსი** „გამოიძახეს" და... „კონკურენტებმა" კანდიდატურები ყრილობამდე მოხსნეს.

აი, ასე დაიწყო უმცროსი ახალკაცის მმართველობის ხანა. არ დავმალავთ და, მის მოსვლას დიდ იმედებს ვუკავშირებდით. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, დიდი ნოდარ ახალკაცის ვაჟს ნამდვილად შეეძლო, სახელოვანი მამის მსგავსად, ქართული ფეხბურთის ისტორიაში შესულიყო, მაგრამ...

...2007 წლის არჩევნებს კი, აღარც ვიცით, რა დავარქვათ. მერე, ის რა ცინიზმი იყო, მაინცდამაინც 13 მაისს რომ დაამთხვიეს - ქართული ფეხბურთის ყველაზე დიდი გამარჯვების დღეს. არადა, ერთი შეხედვით, უჩვეულო არაფერი მომხდარა - ერთმა კონკურენტმა (**გიორგი ნემსაძე**) მეორეს (**ნოდარ ახალკაცი**) აჯობა. იმ მეორემაც, ყრილობის დასრულების შემდეგ, მცირე იმედგაცრუება საჯაროდ დააფიქსირა, მეტოქეს გამარჯვება დიდსულოვნად მიულოცა და ისის იყო, უკან, გერმანიაში უნდა დაბრუნებულიყო, რომ... ყველაფერი თავდაყირა დადგა! აი, „ზემოდან" ჩარევა მაშინ იყო, თუ იყო! - მერე რა, რომ არჩევნები ნემსაძემ მოიგო, პრეზიდენტად... მაინც ახალკაცი უნდა დარჩესო! ყველაზე არასასიამოვნო კი ის იყო, რომ იმ სამარცხვინო ვითომ არჩევნებზე საფეხბურთო საზოგადოების აზრი არავის აინტერესებდა, უბრალოდ, ხელისუფლების ერთი, უფრო ძლიერი (იმ დროისთვის) ფრთა ვერაფრით შეეგუებოდა მეორე დაჯგუფებასთან დამარცხებას...

...ნოდარ ახალკაცი-უფროსი, მერაბ ჟორდანია, დავით პეტრიაშვილი, ნოდარ ახალკაცი-უმცროსი, გიორგი ნემსაძე - ამ ხალხის პრეზიდენტად გახდომის სურვილი არავის გაჰკვირვებია, ისევე როგორც, ეს სურვილი სხვადასხვა არჩევნებზე ჰქონდათ **კახი ასათიანს, ილია დათუნაშვილს, ალექსანდრე ჩივაძეს, ვლადიმერ გუცაევს, რევაზ არველაძეს...** მიზეზი კი ძალიან მარტივია - ყველა ზემოხსენებული პიროვნება საფეხბურთო სამყაროსთვის შინაურზე მეტიც იყო. ჰო, არასდროს და არავის უჩნდებოდა კითხვა - ვინ არიან, საიდან ან რატომ მოდიანო...



ზვიად სიჭინავა

სამაგიეროდ, თვეზე მეტია, ანალოგიური კითხვა ისმოდა ერთი პიროვნების მიმართ. მხოლოდ ქართულ ფეხბურთში ღრმად ჩახედულ ხალხს თუ გაეგონა **ზვიად სიჭინავას** სახელი და გვარი. და აი, 2009 წლის 17 აგვისტოს, საქართველოს ტელევიზიის „პირველი არხის" საფეხბურთო გადაცემა „გოლში" სიჭინავაზე ხმამაღალი მინიშნებაც მოვისმინეთ, თან ვისგან - ქვემო ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულ **დავით კირკიტაძისგან**.

>> მე-5 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა


# ერთი მსახიობის თეატრი


ნოდარ ახალკაცი


მერაბ ჟორდანია


ნოდარ ახალკაცი-უმცროსი

« მეოთხე გვერდიდან

ეგ კი არა, ორი დღის მერე, „ლელოსთან“ ინტერვიუში, მან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა საჯაროდ გააკრიტიკა და მიგვანიშნა კიდეც ზუგდიდის „ბაიას“ მეპატრონე ზვიად სიჭინავაზე. აი, ციტატა დავით კირკიტაძის ინტერვიუდან: *„კარგი იქნებოდა, ფუჭი საუბრის ნაცვლად, ბევრ საფეხბურთო ჩინოსანს მისთვის მიებაძა. ამ კაცმა ზუგდიდური ფეხბურთისთვის ძალიან ბევრი გააკეთა და დარწმუნებული ვარ, თუ საშუალება მიეცემა, ფეხბურთს მთელ საქართველოშიც შესანიშნავად მიხედავს. მე კი ქართული ფეხბურთის განვითარებაში ჩემს მცირე წვლილს რუსთავის „ოლიმპის“ საშუალებით შევიტან...“ (გაზეთი „ლელო“, 2009 წლის 19 აგვისტო).*

ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, კირკიტაძე გამოცდილი პოლიტიკოსია და ასე დაუფიქრებლად ვერ გაილაშქრებდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტისა თუ მისი თანამოაზრეების წინააღმდეგ. მან ხომ კარგად იცოდა, რაოდენ სერიოზული მხარდამჭერები ჰყავდა ხელისუფლებაში უმცროს ახალკაცს. რა თქმა უნდა, იცოდა, მაგრამ მაინც გადავიდა „გადამწყვეტ იერიშზე“ და შედეგიც სახეზეა - ჩვენს ფეხბურთს ახლა უკვე სხვა ხელმძღვანელი ეყოლება ზვიად სიჭინავას სახით!

...სიჭინავაზე ბევრს ვერაფერს ვიტყვით. გვინდა, გვჯეროდეს მისი გულწრფელობის. გასაგებია, რომ საფეხბურთო საზოგადოებისათვის მართლაც ახალი კაცია, მაგრამ იქნებ შესწევს იმის ძალა, რომ ამ დიდ და საპასუხისმგებლო საქმეს თავი ჩინებულად გაართვას. რა თქმა უნდა, ძალიან სასიამოვნოა, რომ ზუგდიდში ამხელა საქმე გააკეთა და „ბაიას“ ევროსტანდარტების ბაზა აუშენა; ისიც გვიხარია, რომ ამ რეგიონში ფეხბურთი დაბრუნდა, მაგრამ... ხანდახან ფაქტებსაც ნუ დავამახინჯებთ: ეს ახლა გაერთიანდა „ბაია“ და „მგლები“, თორემ ორი წლის წინ „მგლები“ რომ უმაღლეს ლიგაში დაბრუნდა, მაშინ იმ „ბაიასთან“, თუ არ ვცდებით, შეხება არ ჰქონია...

არც ის მოგვწონს, ბოლო ერთი კვირის განმავლობაში რომ გვიკიჟინებენ - როგორც იქნა, გამოჩნდა ქართველი ბიზნესმენი, ფეხბურთში ფული რომ ჩადო და ბაზა-სტადიონი ააშენა! მოკლე მეხსიერება გვაქვს თუ თავს ვიტყუებთ? აქამდე მსგავსი არავის გაუკეთებია? „ვიტ ჯორჯიას“ პრეზიდენტი **გურამ რუხაძე** 11 წელიწადია გუნდს ინახავს და ამ დროის განმავლობაში ქართული კლუბი... რენტაბელურიც კი გახადა!

იქნებ, **ზურაბ ფოცხვერია** და „ამერი“ არც ყოფილან - გლდანში სტადიონითა თუ სხვადასხვა ასაკობრივი გუნდით? ან რა - ადრე არ იყვნენ მსგავსი მეცენატები? აბა გაიხსენეთ, რა მდგომარეობაში იყო „დინამოს“ საწვრთნელი ბაზა, ვიდრე **ბადრი პატარკაციშვილი** არ კეთილმოაწყობდა. ანდა, უფრო ადრე, მოსკოვში მოღვაწე ბიზნესმენმა **ზურაბ ხინიკაძემ** რომ ქუთაისის „ტორპედო“ აალორძინა, ან კიდევ უფრო ადრე, **ტარიელ ჩაჩუას** „სამტრედია“ რატომ უნდა დავივიწყოთ? კიდევ ვიმეორებთ - მსგავსი შემთხვევა მრავლად იყო, როცა ბიზნესმენს ფული ფეხბურთში მიჰქონდა - თუნდაც **მიხეილ ფურცელაძისა** და მისი გურჯაანის „ალაზანის“ მაგალითიც ამას მოწმობს...

...კაცს ჯერ მუშაობა არ დაუწყია და ნამდვილად არ გვინდა, მის თითოეულ ნაბიჯსა თუ გამონათქვამს აქედანვე ვუკირკიტოთ. სიჭინავაზე მოგახსენებთ, წინა კვირაში თითქმის ყველასთან შესახვედრად რომ მოიცალა... სპორტული ჟურნალისტების გარდა. რა თქმა უნდა, სასიამოვნოა, რომ პირველ ყოვლისა, მხარში ვეტერანები დაიყენა. ოღონდ, იმ მართლაც დამსახურებული ვეტერანებისაც გაგვკვირვებია, აღფრთოვანებით რომ ლაპარაკობენ ახალ „პრეზიდენტზე“: კი, მაგრამ ქართული ფეხბურთი რომ ასეთ დღეში იყო, ხმას რატომ არ იმაღლებდით? თუ, ეს მხოლოდ სპორტული ჟურნალისტების საქმე და მოვალეობაა? - ამის გამო ლამის ყველას თავი რომ შევაძულეთ...

...1-ელ ოქტომბერს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებია, სადაც მხოლოდ ერთი კანდიდატია, ანუ, „ერთი მსახიობის თეატრს“ ტაში და ოვაცია არ მოაკლდება...

**გია ტუხაშვილი**

ლეგიონერი


გიორგი ბახტაძე

# ბახტაძის წარმატებული დებიუტი

## უნგრელები ქართველ მეკარეზე დიდ იმედებს ამყარებენ

თვეზე მეტია, რაც საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების ყოფილი მეკარე **გიორგი ბახტაძე** ბერძნული „ოლიმპიაკოსიდან“ უნგრულ „დიორი ეტოში“ გადავიდა. მას პირეოსელთა გუნდში ლეგიონერებზე ლიმიტის გამო არ უწევდა თამაში. მეკარისთვის სათამაშო პრაქტიკა უმთავრესია და ამიტომაც გიორგიმ ელადიდან უნგრეთს მიაშურა. მისი ტრანსფერი „დიორ ეტოს“ პრეზიდენტის მრჩეველ **ლაშა ოდილაძის** დამსახურებაა. აქვე უნდა ითქვას, რომ ბახტაძის ტრანსფერში ქართულ მხარეს სწორედ „არველაძეების ფონდი“ წარმოადგენდა. „დიორ ეტოში“ გადასვლა გიორგის **შოთა არველაძემ** ურჩია, **არჩილ არველაძემ** კი 35-ე საფეხბურთო სკოლაში სავარჯიშოდ ყველა პირობა შეუქმნა, მიუხედავად იმისა, რომ ბახტაძე 35-ე საფეხბურთო სკოლის აღზრდილი არ ყოფილა. გიორგი მათი მადლიერია და არც პირველ მწვრთნელს **როლანდ კიზირიას** ივიწყებს, რომელმაც მეკარედ მის ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი დაიდო. სხვათა შორის, „ამირანის“ მწვრთნელი კიზირია ის სპეციალისტია, რომელმაც ქართულ ფეხბურთს ორი შესანიშნავი მოთამაშე - **ლევან კობიაშვილი და ლევან ცქიტიშვილი** აღუზარდა. მისი აღზრდილები არიან აგრეთვე **ილია პავლიაშვილი, გურამ გოგიჩაიშვილი** და **ლევან შარიქაძე**, რომლებიც ახლა „გაგრაში“ გამოირჩევიან.

ბახტაძემ უნგრელთა მოწონება დაიმსახურა. იქ მასზე დიდ იმედებს ამყარებენ. როგორც გავიგეთ, გიორგი მთავარ გუნდში ვარჯიშობს და თანატოლ ჭაბუკებთან - **თემურ შარაშენიძესა და დავით ლორთქიფანიძესთან** ერთად, დიორელთა დუბლებში ასპარეზობს.

„დიორ ეტოს“ სარეზერვო გუნდში ბახტაძის დებიუტი 15 სექტემბერს, სათასო შეხვედრაში ჰქონდა. ლორთქიფანიძისა და შარაშენიძის დარად, ამ მატჩში მანაც სრულად ითამაშა და კარიც „მშრალად“ შეინახა. დიორელებმა „პაპა“ 2:0 დაამარცხეს. ქართულმა ტრიომ მწვრთნელთაგან მოწონება დაიმსახურა. ჩვენებურ ჭაბუკთა კერპი „ეტოს“ ლიდერი **რატი ალექსიძეა.**

*„გიორგი ბახტაძე, თემურ შარაშენიძე და დავით ლორთქიფანიძე ჩვენი გუნდის ხვალინდელი დღეა. მათი კერპი ჩვენი გუნდის ლიდერი რატი ალექსიძეა და მიიჩნევენ, რომ სწორედ მის გზას ადგანან. მათ კარგად იციან, რომ საკუთარ თავზე ძალიან ბევრი მუშაობა მოუწევთ, რათა ალექსიძის დარად დუბლებიდან მთავარ გუნდში დაიმკვიდრონ ადგილი და წამყვანი ფიგურები გახდნენ. მათ საამისო პოტენციალი აქვთ და მჯერა, ამას შეძლებენ კიდეც“*, - აღნიშნავს „დიორ ეტოს“ ოფიციალურ ვებგვერდზე ქართული ტრიოს შესახებ გამოქვეყნებულ წერილში ლაშა ოდილაძე.

გიორგი ბახტაძეც ამ აზრისაა და არ მალავს, რომ არჩევანით კმაყოფილია: *„მოხარული ვარ, რომ ამ კლუბის წევრი ვარ. აქ ჩინებული სავარჯიშო პირობებია. უნგრეთამდე „ირაკლისში“, „ოლიმპიაკოსში“, დანიისა და ავსტრიულ კლუბებშიც ვვარჯიშობდი, მაგრამ აქ უკეთეს პირობებში ვარ. „დიორი ეტოს“ წინადადება რომ მივიღე, იმ მომენტში სხვა ვარიანტებიც მქონდა, მაგრამ ჩემი არჩევანი ფეხბურთელებისადმი ლაშა ოდილაძის პროფესიულმა დამოკიდებულებამ, მზრუნველობამ და ყურადღებამ განაპირობა. ის მხარში მიდგას, მე კი შრომა არ მეზარება და ყველაფერს ვაკეთებ იმისთვის, რათა მთავარ გუნდში გადასვლა რაც შეიძლება მოკლე პერიოდში დავიმსახურო... რაც შეეხება დებიუტს, სასტარტოში ვიყავი და შეუცვლელად ვითამაშე. რთული მატჩი გვქონდა და არაერთხელ მომიხდა კარის გადარჩენა. როგორც ჩანს, ჩემი თამაში მწვრთნელებს მოეწონათ და მატჩის შემდეგ შემაქეს კიდეც. შარაშენიძემ და ლორთქიფანიძემაც კარგად ითამაშეს. ეს ჯერ კიდევ არაფერია, გულმოდგინედ ვვარჯიშობ და კლასის ასამაღლებლად თავს არ დავზოგავ“*, - აღნიშნა გიორგიმ „ლელოსთან“ საუბარში.

**დავით ცაბაძე**

SBM

ეროვნული ფედერაცია „სპორტი ყველასათვის“ და სპორტული სააგენტო SBM გთავაზობთ მინიფეხბურთში ბიზნესის ჩემპიონთა ლიგის მეორე გათამაშებაში მონაწილეობას, რომელიც ნოემბერში დაიწყება და 2010 წლის მაისამდე გასტანს.

გათამაშებაში ვიწვევთ კომერციული და სახელმწიფო ორგანიზაციების, სასწავლო დაწესებულებების გუნდებს.

ტურნირი სამოყვარულოა და მოქმედი ფეხბურთელების მონაწილეობა აკრძალულია.

ტურნირს მოემსახურებიან ფიფას კატეგორიის არბიტრები. მიმდინარეობა გაშუქდება სპორტული პრესით, ვებგვერდებით და ტელევიზიით.

სამონაწილეო გადასახადის ნაწილი მოხმარდება საქველმოქმედო აქციებს.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დარეკეთ: 877 742 247

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონის უქმეები

# ხიზანიშვილმა ნიუკასლი ბრწყინვალედ დაიწყო

## მჭედლიძის საგოლე, ყენიას თითქმის საგოლე

წინდაწინვე ცნობილი იყო, რომ **ზურაბ ხიზანიშვილის** დებიუტი „ნიუკასლ იუნაიტედის" რიგებში შაბათს შედგებოდა. „კაჭკაჭთა" მწვრთნელმა **კრის ჰაუტონმა** „იფსვიჩთან" მატჩამდე განაცხადა, რომ დაცვის მარჯვენა ფლანგზე **დენი სიმპსონს** ქართველი შეცვლიდა. „ზურა კარგი ცენტრალური მცველია, მაგრამ მას დაცვის მარჯვენა ფლანგზეც შეუძლია თამაში", - აცხადებდა ჰაუტონი. „პორტმან როუდზე" ჩრდილოეთის ტრიბუნას **სერ ბობი რობსონის** სახელი მიენიჭა, რობსონის მთელი ოჯახი დაესწრო ამ ემოციურ ცერემონიას. მასპინძლებმა საკადრისი პატივი მაინც ვერ მიაგეს ბობი რობსონს, „იფსვიჩი" 0:4 შერცხვა „ნიუკასლთან". ხიზანიშვილმა დაცვის მარჯვენა ფლანგზე ძალიან აქტიურად ითამაშა, შეტევებში ხშირად ერთვებოდა და დაცვაშიც უშეცდომოდ გაისარჯა. მეოთხე საგოლე კომბინაცია ხიზანიშვილის ნამონწყებულია. მეორე ტაიმში არგენტინელმა **ფაბრისიო კოლოჩინიმ** ტრავმა მიიღო და ჩვენებურმა დაცვის ცენტრში გადაინაცვლა. „ნიუკასლი" ჩემპიონშიპში 22 ქულით გალიდერდა. მოკლედ, ქართველ მცველს შესანიშნავი დებიუტი გამოუვიდა.

რომის „ოლიმპიურ" სტადიონზე, „ლაციოსა" და „პალერმოს" მატჩის 73-ე წუთზე გამოჩნდა **ლევან მჭედლიძე**, თუმცა 19 წლის ქართველმა ფორვარდმა ბევრი მოასწრო - 2 წუთში მისი თავური პასით გაიტანა **ედისონ კავანიმ** „ლაციოს" კარში, შეხვედრის ბოლოს ჩვენებურმა ყვითელი ბარათი მიიღო. ლევანი სერია A-ში მეორედ გამოჩნდა, კვლავ რომაული კლუბის წინააღმდეგ. „ლაციოსთან" მატჩი სიცილიელებმა 1:1 დაასრულეს.

ბუნდესლიგის მე-7 ტურში მნიშვნელოვანი დერბი მოიგო **ფელიქს მაგათის** „შალკემ", დორტმუნდში „ბორუსია" დაამარცხა - 1:0. სასიხარულოა, რომ ერთადერთი გოლი **ლევან ყენიას** წამოწყებულ შეტევას მოჰყვა, მან ცენტრიდან წამოიღო ბურთი და მარცხენა ფრთაზე **ჰალილ ალთინთოფი** მოძებნა, რომელმაც **ფარფანს** გაატანინა. ლევანმა 58 წუთი ითამაშა, შემდეგ მის მაგივრად ურუგვაელი **სანჩესი** გამოვიდა. რაც შეეხება **ლევან კობიაშვილს**, ის საერთოდ არ იყო მატჩის განაცხადში. ყენიას გარჯა „შპორტალმა" 3,5 ქულით შეაფასა, საიტმა გოლმა კი აღნიშნა, რომ „ყენია აქტიურობდა, მაგრამ მის თამაშს სტაბილურობა აკლდა".

„ფრაიბურგმა" 3:0 გაანადგურა მიონხენგლადბახის „ბორუსია", **დავით თარგამაძე** სათადარიგო იყო. „შალკე" 13 ქულით მესამეა, ხოლო „ფრაიბურგი" 10 ქულით მე-10 ადგილზეა.

**ალექსანდრე იაშვილის** „კარლსრუე" „კაიზერსლაუტერნს" ესტუმრა და 0:2 დამარცხდა. „კარლსრუე" 10 ქულით ცხრილის შუაშია ჩარჩენილი. ქართველმა კაპიტანმა 90 წუთი ითამაშა. „შპორტალის" აზრით, იაშვილი თანაგუნდელებში გამორჩეული იყო - 3 ქულა.

„მიუნხენი" „ალიანს არენაზე" „პადერბორნს" დაუზავდა - 0:0, მასპინძელთა რიგებში არ უთამაშია **მათე ღვინიანიძეს**, ის სათადარიგო იყო. „მიუნხენი" 8 ქულით მე-14 ადგილზეა.

ავსტრიული ბუნდესლიგის მე-9 ტურში „შტურმმა" სტუმრად 1:0 დაამარცხა „კაპფენბერი" და 16 ქულით მე-3 ადგილზე აინაცვლა. **ილია კანდელაკმა** კვლავ შეუცვლელად ითამაშა, 27 წლის ქართველ მცველს ამ სეზონში ჯერ წუთიც კი არ გასცდენია. ამჯერად მან დაცვის მარცხენა ფლანგზე ითამაშა.

გამბრინუსლიგის მე-9 ტურში „კლადნომ" 3:2 დაამარცხა „ბოჰემიანსი", მასპინძელთა გამარჯვებას სათავე ქართველმა ფორვარდმა დაუდო - მატჩის 33-ე წუთზე **დიმიტრი ტატანაშვილმა** გახსნა ანგარიში.

**გიორგი ციმაკურიძის** „ჟილინამ" ლიდერობა დაკარგა, მას შემდეგ, რაც ბანსკა ბისტრიცაში „დუკლასთან" 0:1 დათმო. ქართველის გუნდს „სლოვანმა" (23 ქულა) ერთი ქულით გადაასწრო. ჩვენებურს არ უთამაშია.

საბერძნეთში 4:0 მოიგო **გიორგი შაშიაშვილის** „ერგოტელისმა", რომელმაც შინ „პანტრაკიკოსს" აჯობა. თავად ჩვენებურს ამ მატჩში მონაწილეობა არ მიუღია. „ერგოტელისი" 4 თამაშიდან 5 ქულით მე-9 ადგილზეა.

უნგრულ შოპრონილიგაში ქართული გოლი ვიხილეთ - სტუმრად „ნირედიჰაზას" კარში ქართველმა ფორვარდმა **რატი ალექსიძემ** მსაჯის მიერ მე-4 დამატებულ წუთზე შეაგდო - 3:1 „დიოსრი ეტოს" სასარგებლოდ. რატიმ პასი საჯარიმოში მიიღო, მოძრაობაზე დაიჭირა მცველი და 9 მეტრიდან მაღალ კუთხეში გაიტანა. „ეტო" 17 ქულით მე-5 ადგილზეა და სულ 2 ქულით ჩამორჩება ლიდერ „ვიდეოტონს". ეს რატის პირველი გოლია წლევანდელ სეზონში, ქართველს ტრავმის გამო სტარტი გაუცდა. უნგრულმა „ნბ1-მა" რატის თამაში 6 ბალით შეაფასა, რაც გუნდში საშუალო შედეგია.

ებრაულ ტოტოლიგაში მე-4 ტურის მატჩი თელ-ავივის „ჰაპოელსა" და ჰაიფას „მაქაბის" შორის ადრიანად გაიმართა, რადგან ამ გუნდებს ევროთასებზე ასპარეზობაში ხელი არ შეშლოდათ. მაშინ **ლადო დვალიშვილის** „მაქაბიმ" 2:1 იმარჯვა **ზურაბ მენთეშაშვილის** „ჰაპოელზე". 4 ტურის შემდეგ დვალიშვილის გუნდი ქულათა მაქსიმუმით (12) ერთპიროვნული ლიდერია, „ჰაპოელს" კი მხოლოდ 5 ქულა აქვს დაგროვილი. რანგით მეორე, ლეუმითლიგაში კი გუშინ ორი ქართული გოლი გავიდა. ბათ იამის „ირონიმ" სტუმრად რიშონის „ირონი" დაამარცხა - 2:1, გამარჯვების გოლი **კოკა მიკუჩაძემ** შეაგდო. 28 წლის ფორვარდმა სამ მატჩში 2 გოლი გაიტანა. სტუმრად „აჰვას" დაუზავდა რამათ ჰაშარონის „ირონი" - 1:1. ქულის მომტანი გოლი თამაშის დასრულებამდე 7 წუთით ადრე **გაგა ჩხეტიანმა** გაიტანა, ეს მისი პირველი გოლია სეზონში. 4 ტურის შემდეგ ქართველთა გუნდებს 7-7 ქულა აქვთ. ლეუმითლიგაში კიდევ ერთი ჩვენებურია, **გიორგი გაბიდაურმა** შეუცვლელად ითამაშა ბნეი ლოდის და ქვარ საბას „ჰაპოელთა" დუელში, რომელიც 1:1 დასრულდა. ბნეი ლოდელთა შემადგენლობაში 90 წუთი ითამაშა რუსთავის „ოლიმპის" ყოფილმა ნახევარმცველმა. ბნეი ლოდის „ჰაპოელს" 4 ტურში მხოლოდ 2 ქულა აქვს.

ჩემპიონ „რუბინის" მოულოდნელმა მარცხმა ყაზანში „ამკართან" (1:2), საჩემპიონო დოლი კვლავ დაძაბა რუსეთში. „რუბინს" 47 ქულა და პირველი ადგილი შერჩა, „ამკართან" სათადარიგოები იყვნენ **ნუკრი რევიშვილი** და **ლაშა სალუქვაძე**. დუბლების მატჩში (1:0 „რუბინის" სასარგებლოდ) კარი მშრალად შეინახა ნუკრი რევიშვილმა, **დავით კვირკველიამ** კი პირველი ტაიმი ითამაშა.

ლიდერის წაფორხილებით ვერ ისარგებლა მოსკოვის „ლოკომოტივმა", **იური სიომინის** გუნდმა გროზნოში „ტერეკთან" წააგო - 1:2. სტუმართა ერთადერთი გოლი **მალხაზ ასათიანის** პასით **როდოლფომ** თამაშის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე გაიტანა. ამ შეხვედრის განაცხადში ორი ქართველი ლეგიონერი საერთოდ არ ყოფილა, მასპინძელთა მხრიდან **ლევან გვაზავა** და **დავით მუჯირი** სტუმრებიდან, ასათიანმა 90 წუთი ითამაშა, ხოლო „ტერეკის" ახალწვეული **გოგიტა გოგუა** მატჩში 83-ე წუთიდან ჩაერთო და მცირე დროში მხოლოდ ყვითელი ბარათის მიღება მოასწრო. მალხაზ ასათიანს „ჩემპიონატმა" 5,5 ბალი დაუწერა. გოგუას ამ სეზონში 18 მატჩში 6 გაფრთხილება და ერთი გაძევება დაუგროვდა.

მნიშვნელოვანი სამი ქულა მოიპოვა ნალჩიკის „სპარტაკმა", **ალექსანდრე ამისულაშვილმა** შეუცვლელად ითამაშა „როსტოვთან" 1:0 მოგებულ მატჩში, **დავით სირაძე** კი სათადარიგო იყო. ნალჩიკელებმა 23 ქულა დააგროვეს და პრემიერლიგაში დარჩენის შანსი გაიზარდეს. „რუბინის" მარცხით კარგად ისარგებლა მოსკოვის „სპარტაკმა", **ვალერი კარპინის** გუნდმა „ტომი" გაანადგურა - 5:0. სამწუხაროდ, **ჯანო ანანიძეს** თამაშის შანსი არ მისცემია, ის სათადარიგო იყო. „სპარტაკი" 43 ქულით მეორეა და „რუბინს" 4 ქულით ჩამორჩება, ჩემპიონატის დასრულებამდე 7 ტური რჩება.

უკრაინულ ვიშალიგაში მე-8 ტურის მატჩები გაიმართა. ჯერჯერობით ამაოდ ველით „დნიპროს" შემადგენლობაში **ჯაბა კანკავას** გამოჩენას, ტრავმა მას დაბრუნების საშუალებას არ აძლევს, სტუმრად „ზაკარპატიასთან" 2:0 მოგებულ მატჩში ის არ ყოფილა, რაც შეეხება უჟგოროდელთა ქართველ ნახევარმცველ **ვლადიმერ ბურდულს**, ზოგიერთი უკრაინული წყაროს ცნობით, ის გუნდიდან გაუშვეს. „კრივბასი" შინ 0:1 დამარცხდა დონეცკის „მეტალურგთან". სამწუხაროა, რომ ვერც ამ სუსტ გუნდში შეძლო ძირითად გუნდში დამკვიდრება **სანდრო კობახიძემ**, რომელიც „დნიპროდან" იჯარის წესით იმყოფება კრივოი როგში. არადა კობახიძე ერთ დროს ქართული ფეხბურთის ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ ფეხბურთელად მიიჩნეოდა. „მეტალურგთან" კობახიძე სათადარიგოს როლით დააკმაყოფილეს. „კრივბასი" კინკილა ქულით ბოლო ადგილზე იმყოფება.

როგორც იქნა, მოედანს დაუბრუნდა **ლაშა ჯაკობია**, კიევის „არსენალის" ფორვარდი ზაპოროჟიეს „მეტალურგთან" გასვლით მატჩში 87-ე წუთზე გამოვიდა, „არსენალმა" ეს შეხვედრა 1:2 დათმო. გამარჯვების გოლი მასპინძლებმა ბოლო წუთზე გაიტანეს. ზუსტად ამდენი ხანი დაყო მოედანზე „კარპატის" ქართველმა ლეგიონერმა **სანდრო გურულმა**, ოდესაში ლვოველები 1:1 დაუზავდნენ „ჩერნომორეცს". **ვასილ გიგიაძემ** სასტარტოში დაიწყო „ტავრიასა" და „მეტალისტის" მატჩში (0:0), სტუმრებს განაცხადშიც არ ჰყოლიათ **ვახტანგ ფანცხავა**.

აზერბაიჯანში ბაქოს „ოლიმპიკის" რიგებში (3:3 „თურანთან") ორი ქართული გოლი გავიდა, თავი **რომან გოგინაშვილმა** და **ნუგზარ კვირტიამ** გამოიჩინეს. უფრო დაწვრილებით აზერბაიჯანის ქართული ლეგიონის შესახებ ხვალ მოგიყვებით.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ზურაბ ხიზანიშვილი (მარჯვნივ) სადებიუტო მატჩში



რატი ალექსიძე



ლევან მჭედლიძემ (№99) კავანის საგოლედ მიანოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა





# ეგ რა მწვრთნელია, ორ კვირაში გააგდესო...

## ჩემპიონის პირველი მარცხი




ინტერს გამარჯვების გოლი პაცინიმ გაუტანა

ბოლო ტურებია „მარასიზე" დიდი სტუმრიანობაა - ხუთშაბათს აქ „იუვენტუსი" ბრძანდებოდა და „ჯენოასგან" ნანვალები ქულა წაიღო. შაბათს კი „სამპდორიამ" ხელცარიელი გაისტუმრა ჩემპიონი „ინტერი", ვისთვისაც ეს პირველი წაგება იყო ამ ჩემპიონატში. არა, „სამპა" ბრწყინვალე ფორმაშია და ეს შთაბეჭდილება ოდნავადაც ვერ გააფერმკრთალა ოთხშაბათის ფლორენციულმა მარცხმა (0:2).

სწორედ ეს გუნდია ერთ-ერთი ნათელი მაგალითი იმისი, თუ რამდენს ნიშნავს კარგი მწვრთნელი - **ლუიჯი დელ ნერიმ** „დორია" სულ სხვა კუთხით გახსნა. ერთ დროს „კიევოს" ფენომენის მთავარმა შემოქმედმა მრისხანე „ინტერის" წინაშე ქედი არ მოიხარა და... 3 ფორვარდი დაუყენა - **კასანოსა** და **პაცინის** ვეტერანი **ბელუჩიც** დაამატა. თუმცა სასჯელმოხდილი **ჟოზე მოურინიოს** სასახელოდაც უნდა ვთქვათ - მან გამოწვევა მიიღო და **მილიტო-ეტოოს** მიახმარა **ბალოტელიც**, ვის გამოჩენასაც ექსპერტები სიზმარშიც არ ელოდნენ. და სწორედ „სუპერმარიო" გახლდათ ყველაზე თვალსაჩინო ფიგურა მოურინიოს დაულაგებელ სამწყსოში. ხოლო ის, რომ ბალოტელი მეორე ტაიმში სკამზე დასვეს, სიფრთხილის გამო იყო, თორემ ვინ იცის, ეგებ „სამპას" უფრო მეტი თავსატეხი ჰქონოდა...

მაგრამ იმ საღამოს გენუელებსაც ჰქონდათ კოზირები. მაგალითად, კასანო-პაცინის კარგად აწყობილი ტანდემი და... რა თქმა უნდა, მეკარე **კასტელაცი**, რომელმაც თავისიანები ყველა საკვანძო ეპიზოდში იხსნა. იმის გახსენებაც კმარა, **კამბიასომ** რომ შეუქმნა **მილიტოს** დიდებული მომენტი, მაგრამ მასპინძელთა მეკარემ დაბალი დარტყმა სასწაულებრივ მოიგერია. მაგრამ მერე იყო ეპიზოდი, როცა კასტელაციც ვერას გახდებოდა, რომ არა იმავე მილიტოს დოყლაპიობა - არგენტინელმა, რომელიც „სამპას" ფანებს ჭირივით ეჯავრებათ „ჯენოაში" შარშანდელი წარმატებების გამო, **ეტოოს** პასის შემდეგ კარის წინ ბურთს ვერაფერი მოუხერხა...

იქით მხარეს კი მეტწილად კასანო ქმნიდა შანსებს. მისი კუთხურის შემდეგ **პალომბომ** ორჯერ ვერ მოუქნია ბურთს, თორემ **ჟულიო სეზარი** 7-8 მეტრიდან იმის ამღები ნამდვილად არ იყო. მერე თავად კასანო შეიჭრა საჯარიმოში და **მაიკონთან** ორთაბრძოლის შემდეგ გაზონზეც აღმოჩნდა - არბიტრმა პენალტის ნაცვლად სიმულაცია დაინახა და მართალიც იყო.

მეორე ტაიმში ბევრი არაფერი შეცვლილა, თუ არ ჩავთვლით ტაქტიკურ წყობას - მწვრთნელებმა ნახევარდაცვის გამაგრება სცადეს. ჟოზემ თავდასხმიდან ბალოტელი მოხსნა, ხოლო შუა ხაზში, **ვიეირას** ნაცვლად, უფრო სხარტი **სტანკოვიჩი** აამოქმედა. მისმა ვიზავიმ კი ბელუჩის ნაცვლად შეუშვა **ძაური**, რომელსაც მარცხენა ფლანგის კონტროლი და კერძოდ, მაიკონის განეიტრალება დაევალა. თუ მატჩის საბოლოო შედეგს გავითვალისწინებთ (და ცხადია, უნდა გავითვალისწინოთ), დელ ნერის ჭკუამ უფრო გაჭრა. 72-ე წუთზე გავიდა გოლი, რომელიც ამ შეხვედრაში ერთადერთი აღმოჩნდა. მართალია, **მანინის** პასის შემდეგ პაცინიმ ხეირიანად ვერ მოუქნია ბურთს, იქვე „ინტერის" მცველი **სანტონიც** შეცდა, მაგრამ ამას ვინ დაეძებდა - 1:0.

„განსაკუთრებულ" კაცს განსაკუთრებული ზომები დასჭირდა - წინა ხაზის გასაცოცხლებლად მან უხმო **კვარეშმას**, რომელმაც გოლიც გაიტანა, მაგრამ მხოლოდ მას მერე, რაც ბურთი **ლუსიოს** შეეხო, ეს უკანასკნელი კი თამაშგარეში გახლდათ...

მატჩის ბოლოს „ინტერმა" მასპინძელი ალყაში მოაქცია. კასტელაცი კიდევ რამდენჯერმე ჩაერია თამაშში, ხოლო საფინალო სასტვენის წინ უაღრესად მწვავე საჯარიმო დარტყმაც მოიგერია.

მატჩის შემდეგ მოურინიომ ჯავრი კოლეგასა და ვიზავიზე იყარა - დელ ნერი რა მწვრთნელია, „პორტუში" რომ შემცვალა, ორ კვირაში გააგდესო. გასაკვირი არ არის, ჟოზეს ამ კაცის მიმართ ბოლმა რომ ახრჩობს. საქმე ისაა, რომ დელ ნერიმ შარშანაც გაამწარა მოურინიო, როცა „ინტერს" „ატალანტას" მწვრთნელის რანგში 3:1 მოუგო. რაც შეეხება მარცხის მიზეზს, ამაზე ჟოზეს არ ულაპარაკია, მოკლედ მოჭრა - დღეს 3 ქულა დავკარგეთ, ეს არის და ესო. შემდეგ „ინტერის" თავკაცი დაეთანხმა ჟურნალისტს, რომელმაც გოლი მცველ სანტონს აჰკიდა ბრალად, ოღონდ, იქვე დასძინა - არ ვარ ის მწვრთნელი, რომელიც მარცხს ერთი რომელიმე ფეხბურთელის შეცდომას აბრალებსო...

ერთი გოლი გავიდა შაბათის მეორე მატჩშიც და იქაც მეკარის ოსტატობა გახდა საჭირო, რათა „ფიორენტინას" მორიგი 3 ქულა ჩაეწერა აქტივში. „ვიოლას" მწვრთნელმა **ჩეზარე პრანდელიმ** ტოსკანურ დერბიში გამარჯვება პოსტიდან გადამდგარ პრეზიდენტ **ანდრეა დელა ვალეს** მიუძღვნა. მაგრამ ამისთვის მან მადლობა უნდა გადაუხადოს მეკარე **ფრეის**, რომელმაც არა ერთი ურთულესი დარტყმა გაანეიტრალა.

მთელი პირველი ტაიმი და მეორის დასაწყისი „ლივორნოსი" იყო. ისევე, როგორც „იუვენტუსთან" წინა შაბათის მატჩში, ტოსკანელთაგან ამჯერადაც გამოირჩეოდა შემტევი ნახევარმცველი **კანდრევა**, რომელიც ფორვარდებსაც უქმნიდა შანსებს და თავადაც ემუქრებოდა ფრეის კარს. გვინდოდა, სტუმართაგან გამოგვერჩია მცველი **დაინელი**, რომელმაც ერთ ეპიზოდში კარის ხაზიდან გამოიტანა ბურთი, მაგრამ... ამის საშუალება თავად არ მოგვცა - თამაშის ბოლოს მან მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო „ფიო", როცა უხეშობისთვის მეორე გაფრთხილება მიიღო და არბიტრს თავი გააძევებინა...

ამ დროისთვის პრანდელის შეგირდები უკვე იგებდნენ. შეცვლაზე შესულმა **იოვეტიჩმა ჯილარდინოს** წაქცევისთვის დანიშნული 11-მეტრიანი უზადოდ შეასრულა. არბიტრს ერთი პენალტი ფლორენციელთა კარშიც უნდა დაენიშნა - **დე სილვესტრიმ ჩელერინო** აშკარად საჯარიმოში წააქცია...

ასეა თუ ისე, იტალიური პრესა წერს, „ლივორნოში" სამწვრთნელო ცვლილება მომწიფდაო. 6 მატჩში **სტეფანო რუსოს** მონაგარი მხოლოდ 2 ქულა და 1 გატანილი გოლია. არადა, „ლივორნოს" თავდასხმაში ჰყავს ლუკარელი-ტავანოს წყვილი, რაზეც ბევრი სოლიდური გუნდი არ იტყოდა უარს. და ვითომ მარტო მწვრთნელის ბრალია, ასეთი მაღალი კლასის ფორვარდებს გოლები რომ ვერ გააქვთ?

„იუვენტუსმა" ერთპიროვნულად გალიდერების შანსი ბოლო წამებზე დაკარგა. **ტრეზეგეს** გოლით „ბებერი სინიორა" „ბოლონიას" 1:0-ს უგებდა, მაგრამ არბიტრის მიერ წამატებულ დროში **ადაილტონი** ფლანგურ ჩაწოდებას შორეულ ძელთან ჩაუსაფრდა და ახლო მანძილიდან ანგარიში გაათანაბრა. ტურინელებს სერიოზული უპირატესობა კი ჰქონდათ, მაგრამ სტუმრებიც მწარედ იჩხვლიტებოდნენ. „როსობლუს" ადრეც შეეძლო საპასუხო გოლის გატანა, როცა ექსიუვენტუსელი **დი ვაიოს** მიერ მახვილი კუთხიდან დარტყმული **კიელინიმ** ცარიელი კარიდან გამოიტანა. ნამატჩევს **ჩირო ფერარამ** დაცვაში დაშვებულ შეცდომებზე ილაპარაკა. აქცენტი სწორი იყო, თუმცა „იუვე" ვერც შეტევაში ბრწყინავდა.

თვითკრიტიკული გახლდათ „რომას" თავკაცი **კლაუდიო რანიერიც** - ცუდად ვითამაშეთო. თავის მხრივ, მასპინძლები ბოლო წუთების ეპიზოდს აპროტესტებდნენ, **დე როსიმ** რომ გაათანაბრა ანგარიში - კატანიელთა მტკიცებით, კუთხური არბიტრმა გამოიგონა...

ისევე როგორც სხვა თამაშებში, „ლაციო"-"პალერმოს" მატჩშიც მთავარი მოვლენები ბოლოს განვითარდა. რომ არა სიცილიელთა მეკარე **სირიგუს** თავგანწირული თამაში, „ლაციალეს" თავკაცი **დავიდე ბალარდინი** ყოფილ გუნდს 3 ქულას აართმევდა.

„ნაპოლი"-"სიენას" მატჩის წინ მასპინძელთა პრეზიდენტმა **აურელიო დე ლაურენტისმა** სკანდალური განცხადება გააკეთა - შევცდი, მწვრთნელად **რობერტო დონადონი** რომ დავნიშნეო. საინტერესოა, რას ფიქრობს ბოსი იმ თამაშის შემდეგ, რომელიც „სან პაოლოს" მოსახლეებმა 2:1 მოიგეს. აღსანიშნავია, რომ „ნაპოლის" მიერ გატანილი 8 გოლიდან ნახევარზე მეტი (5) შუახაზელ **ჰამშიკს** ეკუთვნის. ისე ჩანს, რომ დონადონის ყველაზე მეტი პრობლემა თავდასხმაში აქვს. თუმცა ამ პრობლემის მოგვარებამ, შეიძლება, სხვა მწვრთნელს მოუწიოს.

დღის ბოლოს „მილანმა" მორიგი უნიჭო სპექტაკლი დადგა - შინ სატურნირო მეზობელი „ბარი" ვერ დაამარცხა (0:0). სტუმრებზე მოგებაც ალალი იქნებოდა. მარტო მეორე ტაიმში „როსონერის" მეკარე **სტორარიმ** იმდენი ხიფათი განმუხტა, რამდენიმე თამაშს რომ ეყოფოდა. „მილანიც" თითქოს რაღაცას ცდილობდა, იყო ბევრი წუნი და შეცდომები ყველა რგოლში, მათ შორის **კახა კალაძის** (სრულად ითამაშა) მხრიდანაც... საბოლოოდ, ქაოტური მატჩი უგოლოდ აღესრულა. **ლეონარდო** და „მილანი" კი მცირერიცხოვანმა პუბლიკამ სტვენით გააცილა. ლეომ იმდენი ქნა, „სან სირო" დააცარიელა. თუმცა ეს მხოლოდ მისი ბრალი არ არის. რატომღაც გვგონია, რომ მალე მას მძიმე განაჩენს გამოუტანენ. ვნახოთ, ბევრი რამ იქნება დამოკიდებული ჩემპიონთა ლიგაში „ციურიხთან" ზეგინდელ საშინაო მატჩზე...

გვერდი მოამზადა
**გიორგი გელაშვილმა**

### მომდევნო ტური

3 ოქტომბერი. **ბარი-კატანია, ინტერი-უდინეზე.** 4 ოქტომბერი. **რომა-ნაპოლი, კალიარი-კიევო, ფიორენტინა-ლაციო, ატალანტა-მილანი, სიენა-ლივორნო, ბოლონია-ჯენოა, სამპდორია-პარმა, პალერმო-იუვენტუსი.**

### სამპდორია-ინტერი 1:0

**სამპდორია:** კასტელაცი 7.5 - გასტალდელო 6.5, ლუკინი 7, სტანკევიჩუსი 6.5, ციგლერი 7 - პალომბო 7, პოლი 6.5 (65. ტისონე 6.5), მანინი 6.5 (80. დ. ფრანჩესკინი) - ბელუჩი 6.5 (69. ძაური 6.5), პაცინი 7, კასანო 6.5.

**ინტერი:** ჟულიო სეზარი 6 - მაიკონი 5.5, ლუსიო 6.5, სამუელი 6, სანტონი 5.5 - ხ. ძანეტი 6.5, კამბიასო 6.5 (72. კვარეშმა 5.5), ვიეირა 5.5 (61. სტანკოვიჩი 6) - ბალოტელი 6.5 (62. კივუ 5.5) - მილიტო 6, ეტოო 5.5.

**გოლი:** 1:0 პაცინი (72)

**გაფრთხილება:** 5-1; **კუთხური:** 3-7; **ჯარიმა:** 14-19; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 7-13 (2-3); **ბურთის ფლობა:** 36%-64%.

**მაყურებელი:** 30 000

### ლივორნო-ფიორენტინა 0:1

**ლივორნო:** დე ლუჩია 6 - პერტიკონე 6 (64. დინისი 4.5), რაიმონდი 5, პულცეტი 6, მორო 6 (78. ჩელერინო 6) - მოცარტი 5.5 (85. გალანტე), კნეჟევიჩი 6, პიერი 5.5, კანდრევა 6 - ტავანო 6.5, კ. ლუკარელი 5.

**ფიორენტინა:** ს. ფრეი 7.5 - დე სილვესტრი 6, კროლდრუპი 6, დაინელი 6, პასკუალი 6 - დონადელი 5.5 (57. კ. ძანეტი 6), მონტოლივო 6 - იორგენსენი 6 (57. მარკიონი 7), მუტუ 5.5 (70. იოვეტიჩი 6.5), ვარგასი 6.5 - ჯილარდინო 6.5.

**გოლი:** 0:1 იოვეტიჩი (76-პენ)

**გაძევება:** დაინელი (84. ფიორენტინა)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 7-3; **ჯარიმა:** 19-26; **თამაშგარე:** 7-5; **კარში დარტყმა:** 12-13 (5-4); **ბურთის ფლობა:** 63%-37%.

**მაყურებელი:** 18 000

### იუვენტუსი-ბოლონია 1:1

**იუვენტუსი:** ბუფონი 7 - ზებინა 6.5 (66. კასერესი 6), კიელინი 6.5, ლეგროტალიე 6.5, მოლინარო 5.5 - კამორანეზი 6.5, ფელიპე მელო 6, მარკიზიო 5.5 - დიეგო 5.5 (59. ჯოვინკო 5.5) - ამაური 5 (84. დელ პიერო), ტრეზეგე 7.

**ბოლონია:** ვივიანო 6.5 - რაჯი 6, პორტანოვა 6, ბრიტოსი 6.5, ლანა 6.5 - ვიჯანი 6 (62. ოსვალდო 5.5), მინგაცინი 6.5, გუანა 6.5, ვალიანი 6 (55. ჯაკ. ტედესკო 6.5) - სალაიეტა 6.5, დი ვაიო 7 (66. ადაილტონი 7).

**გოლები:** 1:0 ტრეზეგე (24), 1:1 ადაილტონი (90)

**გაფრთხილება:** 0-2; **კუთხური:** 9-3; **ჯარიმა:** 17-16; **თამაშგარე:** 7-5; **კარში დარტყმა:** 20-16 (5-4); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 24 456

### უდინეზე-ჯენოა 2:0

**უდინეზე:** ჰანდანოვიჩი 6 - ბაშტა 6.5, კოდა 6, დომიცი 6, ლუკოვიჩი 6.5 - სანჩესი 6, დ'აგოსტინო 5.5, ინლერი 5, პეპე 6 (89. სამარკო) - დი ნატალე 7 (83. ლოდი), ფლორო ფლორესი 5 (87. კორადი).

**ჯენოა:** ამელია 6 - ბიავა 6 (37. ესპოზიტო 6), მორეტი 6.5, ბოკეტი 6.5 - კრიშიტო 6 (34. მოდესტო 6), საპატერი 6.5, მილანეტო 6, მესტო 6 - სკული 6, კრესპო 5, პალასიო 6.5 (63. პალადინო 5.5).

**გოლები:** 1:0 დი ნატალე (81), 2:0 პეპე (88)

**გაფრთხილება:** 3-1; **კუთხური:** 5-4; **ჯარიმა:** 22-20; **თამაშგარე:** 5-3; **კარში დარტყმა:** 12-9 (7-0); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 14 250

### პარმა-კალიარი 0:2

**პარმა:** მირანტე 5 - დ. ძენონი 5, პაჩი 5, ძაკარდო 5, კასტელინი 5 - მორონე 5.5, მარიგა 6, გალოპა 6, ჯემაილი 4.5 (67. ლანცაფამე 5.5) - პალოსკი 5.5, ბიაბიანი 5 (32. ბოჟინოვი 6/67. ამორუზო 5).

**კალიარი:** მარკეტი 6 - მარძორატი 6, კანინი 6.5, ასტორი 5.5, აგოსტინი 6 - დესენა 6.5, კონტი 6, ლაძარი 6.5 (69. ნენე 6) - კოსუ 7.5 (82. პაროლა), მატრი 6 (60. ბიონდინი 6), ჟედა 7.

**გოლები:** 0:1 ჟედა (8), 0:2 დესენა (58)

**გაფრთხილება:** 3-3; **კუთხური:** 10-0; **ჯარიმა:** 18-16; **თამაშგარე:** 8-2; **კარში დარტყმა:** 7-10 (1-7); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 15 319

### კატანია-რომა 1:1

**კატანია:** ანდუხარი 6 - პოტენცა 6.5, სპოლი 7 (72. ბელუში 6), სილვესტრე 6.5, კაპუანო 7 - კარბონი 7, იცკო 6 (57. ლამა 6.5), ბიაჯანტი 6.5 - მასკარა 6.5, რიკოუტი 6.5 (64. დელვეკიო 6), მორიმოტო 7.

**რომა:** ჟულიო სერჟიო 6.5 - კასეტი (29. მოტა 5.5), მექსე (19. ჟუანი 5.5), ბურდისო 5.5, რიისე 6 - დე როსი 6, ბრიგი 5 (56. ჩერჩი 5.5), პისარო 5.5 - პეროტა 5 - ტოტი 5, ვუჩინიჩი 5.

**გოლები:** 1:0 მორიმოტო (22), 1:1 დე როსი (90)

**გაძევება:** დელვეკიო (90. კატანია)

**გაფრთხილება:** 5-2; **კუთხური:** 7-2; **ჯარიმა:** 20-13; **თამაშგარე:** 7-0; **კარში დარტყმა:** 12-13 (5-3); **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

**მაყურებელი:** 14 000

### ლაციო-პალერმო 1:1

**ლაციო:** მუსლერა 5.5 - ლიხტშტაინერი 6.5, კრიბარი 5.5, რადუ 7, დელ ნერო 6.5 (67. დიაკიტი 6) - ფოჯა 6 (72. მათუსალემი 6), ბარონიო 7, დაბო 5.5, მაური 5 - კრუსი 5.5 (58. როკი 7), სარატე 7.

**პალერმო:** სირიგუ 8.5 - კასანი 5.5, კიაერი 6 (71. მჭედლიძე), ბოვო 5.5, ბალცარეტი 6.5 - ნოჩერინო 5, მილიაჩო 5.5, ბრეშანო 5 - სიმპლისიუ 6 (88. ბლაზი) - მიკოლი 5, ბუდანი 5.5 (56. კავანი 6.5).

**გოლები:** 0:1 კავანი (75), 1:1 სარატე (85)

**გაფრთხილება:** 3-3; **კუთხური:** 14-0; **ჯარიმა:** 14-20; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 26-8 (12-1); **ბურთის ფლობა:** 59%-41%.

**მაყურებელი:** 15 000

### კიევო-ატალანტა 1:1

**კიევო:** სორენტინო 6 - ნ. ფრეი 6, მორერო 6, იეპესი 6.5, მანტოვანი 6 - ლუსიანო 5.5 (83. არიატი), იორი 6, მარკოლინი 6 (65. ბენტივოლიო 5.5) - პინცი 6.5 - პელისიერი 7, გრანოკე 6 (73. ბოგდანი).

**ატალანტა:** კონსილი 6 - დარიჩი 6, ბიანკო 4.5, პელუზო 5.5, ბელინი 6 - მადონა 5.5 (61. ჩერავოლო 5.5), პადოინი 6, გუარენტე 6, ხ. ვალდესი 5.5 (81. ლაიუნი) - კ. დონი 6 (75. რადოვანოვიჩი), ტირიბოკი 6.5.

**გოლები:** 0:1 ტირიბოკი (72), 1:1 პელისიერი (77)

**გაფრთხილება:** 0-2; **კუთხური:** 10-5; **ჯარიმა:** 15-11; **თამაშგარე:** 3-4; **კარში დარტყმა:** 21-11 (8-4); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 8 762

### ნაპოლი-სიენა 2:1

**ნაპოლი:** დე სანკტისი 6 - არონიკა 5.5 (46. რინაუდო 6), პ. კანავარო 5.5, კონტინი 6 - მაჯო 6.5, გარგანო 6, ჩიგარინი 5.5 (67. პაციენცა 6), ჰამშიკი 7, დატოლო 6.5 - ლავეცი 6 (90. ჰოფერი), კვალიარელა 7.

**სიენა:** კურჩი 5.5 - როზი 5, ტერცი 6, ბრანდაუ 6, დელ გროსო 5.5 - ვერგასოლა 6 - გეზალი 6 (74. რეჯინალდო), კოდრეა 6, იაიალო 5.5 (64. კალაიო 5), ფინი 5.5 (85. პაოლუჩი) - მაკარონე 7.

**გოლები:** 1:0 ჰამშიკი (49), 1:1 მაკარონე (56), 2:1 ჰამშიკი (64)

**გაფრთხილება:** 2-5; **კუთხური:** 0-3; **ჯარიმა:** 15-18; **თამაშგარე:** 9-3; **კარში დარტყმა:** 12-4 (5-2); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 30 000

### მილანი-ბარი 0:0

**მილანი:** სტორარი 8 - აბატე 5.5, ნესტა 5.5, კალაძე 5, ძამბროტა 5 - გატუზო 5.5, პირლო 5.5, ამბროზინი 5 - ზეედორფი 5 (56. პატო 5) - რონალდინიო 5.5 (70. ოდო), ჰუნტელაარი 5 (64. ფ. ინძაგი 5.5).

**ბარი:** ჟილე 7 - ა. მაზიელო 6.5, რანოკია 7, ბონუჩი 7, ს. მაზიელო 7 - ალვარესი 6.5, დონატი 7, გაცი 7, რივასი 7 (70. მეჯორინი 6) - კუტუზოვი 6.5, ბარეტო 6.5 (87. ლანჯელა)

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 5-4; **ჯარიმა:** 10-13; **თამაშგარე:** 5-0; **კარში დარტყმა:** 12-17 (5-5); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 37 354

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სამპდორია | 6 | 5 | 0 | 1 | 11-5 | 15 |
| 2. იუვენტუსი | 6 | 4 | 2 | 0 | 11-4 | 14 |
| 3. ინტერი | 6 | 4 | 1 | 1 | 12-4 | 13 |
| 4. ფიორენტინა | 6 | 4 | 1 | 1 | 7-4 | 13 |
| 5. უდინეზე | 6 | 3 | 2 | 1 | 10-7 | 11 |
| 6. ჯენოა | 6 | 3 | 1 | 2 | 11-10 | 10 |
| 7. პარმა | 6 | 3 | 1 | 2 | 7-8 | 10 |
| 8. კიევო | 6 | 2 | 2 | 2 | 7-5 | 8 |
| 9. რომა | 6 | 2 | 2 | 2 | 12-12 | 8 |
| 10. მილანი | 6 | 2 | 2 | 2 | 3-6 | 8 |
| 11. ბარი | 6 | 1 | 4 | 1 | 6-4 | 7 |
| 12. ლაციო | 6 | 2 | 2 | 2 | 6-7 | 7 |
| 13. კალიარი | 6 | 2 | 1 | 3 | 5-6 | 7 |
| 14. ნაპოლი | 6 | 2 | 1 | 3 | 8-11 | 7 |
| 15. პალერმო | 6 | 1 | 3 | 2 | 7-8 | 6 |
| 16. ბოლონია | 6 | 1 | 3 | 2 | 4-5 | 6 |
| 17. სიენა | 6 | 1 | 1 | 4 | 7-11 | 4 |
| 18. კატანია | 6 | 0 | 3 | 3 | 6-10 | 3 |
| 19. ატალანტა | 6 | 0 | 2 | 4 | 2-8 | 2 |
| 20. ლივორნო | 6 | 0 | 2 | 4 | 1-8 | 2 |

**ბომბარდირები:** 8 - დი ნატალე (უდინეზე); 5 - ჰამშიკი (ნაპოლი), მილიტო (ინტერი); 4 - პელისიერი (კიევო), ტოტი (რომა); 3 - კრუსი (ლაციო), დე როსი (რომა), ეტოო (ინტერი), ჯილარდინო (ფიორენტინა), იაკვინტა (იუვენტუსი), იოვეტიჩი (ფიორენტინა), ჟედა (კალიარი), მანინი (სამპდორია), მორიმოტო (კატანია), პაცინი (სამპდორია), ტრეზეგე (იუვენტუსი).

### სერია B

### VII ტური

**ალბინოლეფე-კროტონე 1:1**

**გოლები:** 1:0 ჩელინი (15-პენ), 1:1 გაბიონეტა (70)

**ფროზინონე-ტორინო 2:2**

**გოლები:** 0:1 დეილი (25), 1:1 ტროიანიელო (47), 1:2 რ. ბიანკი (72), 2:2 აურელიო (80)

**ლეჩე-მანტოვა 2:1**

**გოლები:** 0:1 კარიდი (66-პენ), 1:1 მარილუნგო (81), 2:1 კორვია (86-პენ)

**პადოვა-გალიპოლი 0:0**

**სასუოლო-ჩეზენა 1:1**

**გოლები:** 1:0 სალვეტი (19), 1:1 ბუკი (53)

**ვიჩენცა-ტრიესტინა 0:0**

**ემპოლი-ჩიტადელა 4:3**

**გოლები:** 0:1 იუნკო (2-პენ), 1:1 ედერი (12-პენ), 1:2 კურიალე (40), 2:2 მარიანინი (43), 3:2 ედერი (52), 3:3 იუნკო (76), 4:3 მარიანინი (90)

**სალერნიტანა-ასკოლი 0:0**

**გაძევება:** რუსო (70. სალერნიტანა)

**გროსეტო-ბრეშა 2:1**

**გოლები:** 1:0 პიხლმანი (13-პენ), 2:0 იოკი (70), 2:1 კოზაკი (78)

**გაძევება:** ბეგა (90. ბრეშა)

**რეჯინა-პიაჩენცა** დღეს

**ანკონა-მოდენა** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფროზინონე | 7 | 4 | 2 | 1 | 12-8 | 14 |
| 2. ტორინო | 7 | 4 | 1 | 2 | 13-5 | 13 |
| 3. ასკოლი | 7 | 3 | 4 | 0 | 10-6 | 13 |
| 4. ბრეშა | 7 | 4 | 1 | 2 | 9-6 | 13 |
| 5. ჩეზენა | 7 | 3 | 3 | 1 | 9-4 | 12 |
| 6. ემპოლი | 7 | 4 | 0 | 3 | 11-11 | 12 |
| 7. ლეჩე | 7 | 3 | 2 | 2 | 12-8 | 11 |
| 8. პადოვა | 7 | 3 | 4 | 0 | 7-4 | 11 |
| 9. სასუოლო | 7 | 2 | 4 | 1 | 9-8 | 10 |
| 10. ანკონა | 6 | 3 | 0 | 3 | 8-7 | 9 |
| 11. გროსეტო | 7 | 2 | 3 | 2 | 8-9 | 9 |
| 12. ვიჩენცა | 7 | 1 | 5 | 1 | 10-9 | 8 |
| 13. ჩიტადელა | 7 | 2 | 2 | 3 | 9-10 | 8 |
| 14. გალიპოლი | 7 | 1 | 5 | 1 | 7-8 | 8 |
| 15. პიაჩენცა | 6 | 2 | 2 | 2 | 5-7 | 8 |
| 16. ტრიესტინა | 7 | 2 | 2 | 3 | 6-10 | 8 |
| 17. მოდენა | 6 | 2 | 1 | 3 | 6-7 | 7 |
| 18. რეჯინა | 6 | 1 | 3 | 2 | 5-8 | 6 |
| 19. ალბინოლეფე | 7 | 1 | 2 | 4 | 8-12 | 5 |
| 20. კროტონე | 7 | 0 | 5 | 2 | 2-6 | 5 |
| 21. მანტოვა | 7 | 0 | 3 | 4 | 6-10 | 3 |
| 22. სალერნიტანა | 7 | 0 | 2 | 5 | 2-11 | 2 |

**ბომბარდირები:** 6 - რ. ბიანკი (ტორინო); 4 - კოლაკონე (ანკონა), იუნკო (ჩიტადელა), ნასი (მანტოვა), ზგრინია (ვიჩენცა); 3 - ანტენუჩი (ასკოლი), ბაკლე (ლეჩე), კარაჩოლო (ბრეშა), ჩელინი (ალბინოლეფე), დი მიკელე (ტორინო), დი ნარდო (პადოვა), მასტრონუნციო (ანკონა), ტროიანიელო (ფროზინონე).

### ლეგა პრო 1/A

### VI ტური

ბენევენტო-ვარეზე 1:0, კრემონეზე-არეცო 5:1, ფოლინიე-კომო 2:0, ლეკო-ფოლინიო 1:1, ლუმეცანე-სორენტო 1:0, პაგანეზე-პროპატრია 0:0, პერუჯა-მონცა 2:1, ვიარეჯო-პერგოკრემა 1:0, ნოვარა-ალესანდრია დღეს.

### ლეგა პრო 1/B

### VI ტური

**კოზენცა-ვირტუს ლანჩანო 0:0, პესკარა-ანდრია 1:0, პორტოგრუარო-ჯულიანოვა 2:0, რავენა-ვერონა 0:1, რეალ მარჩანიზე-პეშინა 0:2, რიმინი-კავეზე 1:0, სპალ-პოტენცა 1:1, ტარანტო-რეჯანა 0:0, ტერნანა-ფოჯა 4:1.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური ფეხბურთი

## საფრანგეთი

VII ტური

| | |
|---|---|
| ოსერი-გრენობლი | 2:0 |
| ლორიანი-პსჟ | 1:1 |
| მონაკო-სტ. ეტიენი | 1:2 |
| მონპელიე-ბულონი | 1:0 |
| ნანსი-სოშო | 2:1 |
| ვალანსი-მარსელი | 3:2 |
| ლიონი-ტულუზა | 2:1 |
| ლე მანი-ლანსი | 3:0 |
| ლილი-ნიცა | 1:1 |
| ბორდო-რენი | 1:0 |

### II დივიზიონი

VIII ტური

აიაჩო-ტური 2:2; შატორუ-ისტრი 0:2; კლერმონი-ანჟერსი 3:2; გინგამი-ბასტია 1:1; ლავალი-დიჟონი 2:2; არლი-ვანი 1:1; პავრი-მეცი 2:0; ნანტი-ნიმი 2:1; სედანი-ბრესტი 0:0; სტრასბური-კაენი დღეს.

## ჰოლანდია

VIII ტური

| | |
|---|---|
| უტრეხტი-ალკმაარი | 1:0 |
| ეინდჰოვენი-ვილემი | 3:1 |
| ვაალვიკი-როდა | 4:1 |
| ტვენტე-ვენლო | 2:1 |
| აიაქსი-დენ ჰააგი | 3:0 |
| გრონინგენი-ვიტესი | 1:0 |
| ბრედა-ფეიენოორდი | 0:2 |
| სპარტა-ჰერენვეენი | 0:2 |
| ნიიმეგენი-ჰერაკლესი | 0:2 |

### II დივიზიონი

IX ტური

კამბური-როსენდაალი 1:1; ემენი-ჰელმონდი 1:3; ექსელსიორი-ომნივორლდი 2:0; ეინდჰოვენი II-ტელსტარი 1:2; ვოლენდამი-დორდრეხტი 3:3; ტოპ ოსი-მაასტრიხტი 3:2; ჰაარლემი-დენ ბოში 3:2; აპელდოორნი-გრააფსხაპი 2:2; ფორტუნა-ცვოლე 0:2; იგლზი-ვეენდამი 3:0.

## ბელგია

IX ტური

| | |
|---|---|
| კორტრიიკი-სტანდარდი | 0:2 |
| ლოკერენი-შარლერუა | 4:1 |
| გენკი-რუზელარე | 1:1 |
| ვესტერლო-სტ. ტრუიდენი | 2:0 |
| ვარეგემი-გენტი | 3:1 |
| ანდერლეხტი-ბევერსხოტი | 1:0 |
| მუსკრონი-ბრიუგე | 1:1 |
| სერკლი-მეხელენი | დღეს |

### II დივიზიონი

VII ტური

დენდერი-ბეევერენი 1:0; ანტვერპენი-რონსე 1:1; ეუპენი-ტურნჰაუტი 2:1; ლიერსი-ტურნე 2:0; მონსი-ბრიუსელი 2:1; ოსტენდე-ლომელი 0:0; ჰეევერლე-ბორინაჟი 1:0; ვაასლანდი-ტინენი 2:2; სტანდარდი (ვ)-ლიეჟი 2:0.

## პორტუგალია

VI ტური

| | |
|---|---|
| ოლჰანენსე-ბრაგა | 0:1 |
| მარიტიმუ-ნავალი | 1:2 |
| რიუ ავე-აკადემიკა | 0:0 |
| სეტუბალი-ფერეირა | 0:1 |
| პორტუ-სპორტინგი | 1:0 |
| ბენფიკა-ლეიქსოესი | 5:0 |
| გიმარაეში-ლეირია | დღეს |

### II დივიზიონი

V ტური

ტროფენსე-პორტიმონენსე 0:3; ფრეამუნდე-ვარზიმი 2:1; ბეირა მარი-ოლივეირენსე 1:0; კარეგადო-ავეში 0:0; შავეში-ეშტორილი 1:1; ჟილ ვისენტე-ფატიმა 1:1; პენაფიელი-კოვილია 1:0.

## შოტლანდია

VI ტური

| | |
|---|---|
| სტ. მირენი-სელტიკი | 0:1 |
| ფალკირკი-კილმარნოკი | 0:0 |
| ჰარტსი-ჰამილტონი | 2:1 |
| მოზერველი-ჰიბერნიანი | 1:3 |
| რეინჯერსი-აბერდინი | 0:0 |
| სტ. ჯონსტონი-დანდი იუნ | 2:3 |

### I დივიზიონი

VII ტური

ეირი-რეითი 1:0; დანფერმლაინი-ქუინი 1:4; დანდი-როსი 2:0; მორტონი-ეირდრი 1:0; ინვერნესი-პარტიკი 2:3.

### II დივიზიონი

VII ტური

ალოა-არბროა 0:1; ბრეჩინი-სტენჰაუზმური 1:0; კოუდენბითი-სტირლინგი 1:2; ისტ ფაიფი-კლაიდი 1:0; პიტერჰედი-დამბარტონი 1:2.

### III დივიზიონი

VII ტური

ანენი-ალბიონი 0:0; ბირუიკი-მონროუზი 2:0; ისტ სტირლინგი-სტრანრარი 1:1; ფორფარი-ელჯინი 3:3; ლივინგსტონი-ქუინზ პარკი 2:1.

## სერბეთი

VI ტური

| | |
|---|---|
| ბორაცი-ნაპრედაკი | 0:1 |
| ჩუკარიჩკი-სპარტაკი | 0:3 |
| მლადი-მეტალაკი | 1:0 |
| იავორი-რად | 2:2 |
| ოფკ-სარტიდი | 1:0 |
| პარტიზანი-ბორჩა | 2:1 |
| ჰაიდუკი-იაგოდინა | 1:1 |
| ვოივოდინა-ცრვენა ზვეზდა | 0:1 |

## ავსტრია

IX ტური

| | |
|---|---|
| კაპფენბერგი-შტურმი | 0:1 |
| მატერსბურგი-ავსტრია (ვ) | 1:3 |
| რაპიდი-ვინერი | 3:1 |
| ავსტრია (კ)-ზალცბურგი | 1:2 |
| რიდი-ლინცერი | 5:2 |

### II დივიზიონი

X ტური

ავსტრია II-ჰარტბერგი 2:3; ავსტრია (ლ)-ზალცბურგი II 2:1; ალტახი-ვენა 3:0; ტიროლი-დორნბირნი 7:0; გრატკორნი-ლუშტენაუ 3:2; სტ. პოლტენი-ადმირა 1:0.

## კვიპროსი

IV ტური

| | |
|---|---|
| აპოლონი-ნეა სალამისი | 4:1 |
| ენოსისი-ერმისი | 2:0 |
| ეთნიკოსი-აეკ | 1:2 |
| აპოელ-დოქსა | 3:0 |
| აპოპ-არისი | 1:1 |
| ანორთოსისი-აელ | 1:0 |
| ალკი-ომონია | დღეს |

## დანია

X ტური

| | |
|---|---|
| ოდენსე-ნორდსილანდი | 2:0 |
| მიდტიულანდი-სონდერილი | 0:2 |
| რანდერსი-ჰერფილგე | 1:1 |
| სილკებორგი-ბრონდბიუ | 4:1 |
| ოლბორგი-კოპენჰაგენი | 1:2 |
| ესბერგი-ორჰუსი | დღეს |

### II დივიზიონი

VIII ტური

ფრემი-ვეილე 0:1; როსკილდე-ჰვიდოვრე 0:2; ტისტედი-სკივე 0:2; აკადემისკი-ვიბორგი 0:0; ფრედერისია-კოლდინგი 5:0; ლუნგბიუ-ბრაბრანდი 3:0; ნაესტვედი-ვესტსიელანდი 3:2; ფინი-ჰორსენსი 2:3.

## ფინეთი

XXIV ტური

| | |
|---|---|
| იუვიასკიულა-ვაასა | 1:2 |
| კუოპიო-ჰონკა | 0:4 |
| ინტერი-ტამპერე | 2:2 |
| ჰაკ-მიუპა | 1:0 |
| ლაჰტი-ჰაკა | 2:4 |
| მარიეჰამნი-იარო | 2:1 |
| როვანიემი-ტურკუ | 0:4 |

### II დივიზიონი

XXIII ტური

პოპა-კპვ 0:1; კიისტო-კოოტეპე 2:3; იიპო-ატლანტისი 3:1; კემი-ჰამეენლინა 1:3; ტპ47-კლუბი04 1:1; პკ35-ოულუ 0:0; ვიიკინგიტი-ტპვ ტამპერე 4:0.

## საბერძნეთი

V ტური

| | |
|---|---|
| ლარისა-იანინა | 0:0 |
| ოლიმპიაკოსი-პანიონიოსი | 1:0 |
| არისი-ქსანთი | 1:0 |
| ასტერასი-ლევადია | 2:1 |
| ერგოტელისი-პანთრაკიკოსი | 4:0 |
| აზრომიტოსი-პაოკ | 0:0 |
| კავალა-ირაკლისი | 1:0 |
| აეკ-პანათინაიკოსი | 0:1 |

### II დივიზიონი

III ტური

დოხა-პიერიკოსი 2:1; კალამატა-ოფი 1:1; აგროტიკოსი-დიაგორასი 1:0; ანაგენისი-ეთნიკოსი (ვ) 0:0; იონიკოსი-პანაიტოლიკოსი 1:1; ოლიმპიაკოსი (ვ)-ილიუპოლი 3:2; პანსერაიკოსი-ეთნიკოსი (ა) 2:1; როდოსი-ილისიაკოსი 3:0; ტრასივულოსი-კერკირა დღეს.

## ისლანდია

XXII ტური

| | |
|---|---|
| ბრეიდაბლიკი-გრინდავიკი | 3:0 |
| ფრამი-ტროტური | 0:1 |
| ფილკირი-კაუნარი | 1:1 |
| კეფლავიკი-ვესტმანაეიარი | 6:1 |
| სტიარნანი-ფიოლნირი | 1:1 |
| ვალური-რეიკიავიკი | 2:5 |

## ირლანდია

XXIX ტური

| | |
|---|---|
| ბრეი-დროგედა | 1:2 |
| დანდალკი-გალვეი | 3:0 |
| სტ. პატსი-კორკი | 1:1 |
| სლიგო-შემროკი | 1:2 |

### II დივიზიონი

XXVII ტური

ლიმერიკი-მონეგანი 3:3; მერვუ-შელბურნი 2:4; სპორტინგი-ფინ ჰარპსი 4:1; უნივერსიტი-კილდეირი 5:0; ეთლონი-უექსფორდი 2:0.

## შვეიცარია

XI ტური

| | |
|---|---|
| არაუ-ბაზელი | 0:2 |
| სტ. გალენი-იანგ ბოიზი | 2:3 |
| ლუცერნი-ბელინცონა | 2:0 |
| სიონი-გრასჰოპერსი | 2:3 |
| ციურიხი-ქსამაქსი | 1:2 |

### ჩელენჯლიგა

IX ტური

ლუგანო-გოსაუ 7:0; თუნი-კრინსი 4:2; ვოლენი-სტად ნიონე 1:1; ბილი-ლე მონი 4:0; ლოზანა-შაფჰაუზენი 1:0; სერვეტი-ლოკარნო 2:3; ვადუცი-ვინტერტური 3:2; ივერდონი-ვილი დღეს.

## ნორვეგია

XXVI ტური

| | |
|---|---|
| ფრედრიკსტადი-ლილესტრიომი | 1:0 |
| ბოდო გლიმტი-ვოლერენგა | 0:2 |
| ლინი-ტრომსიო | 0:1 |
| სანდეფიორდი-სტარტი | 1:0 |
| სტაბეკი-სტრიომსგოდსეტი | 3:1 |
| ვიკინგი-ოლესუნდი | 1:1 |
| მიოლდე-როსენბორგი | 0:2 |
| ბრანი-ოდ გრენლანდი | დღეს |

### II დივიზიონი

XXV ტური

ბრინი-ალტა 3:1; ჰაუგესუნდი-სტავანგერი 0:0; მიონდალენი-ნილი 3:3; სარპსბორგი-ლოვ ჰამი 4:1; სკეიდი-მოსი 2:1; ტრიომსდალენი-სიოგნდალი 3:4; ნოტოდენი-ჰიონეფოსი 2:3.

## შვედეთი

XXV ტური

| | |
|---|---|
| კალმარი-გიოტებორგი | 2:1 |
| მალმიო-ჰამარბიუ | 3:1 |
| ტრელებორგი-ჰელსინგბორგი | 4:2 |
| აიკ-იურგორდენი | დღეს |
| გაის-ერებრუ | დღეს |
| ჰალმსტადი-ელფსბორგი | დღეს |

### II დივიზიონი

XXVI ტური

ატვიდაბერგი-ანგელჰოლმი 1:1; ლიუნგსკილე-ფარკენბერგი 3:0; სირიუსი-მიალბიუ 1:4; ტროლჰატანი-სუნდსვალი 1:1; ვასალუნდსი-კვიდინგი 2:0; ვასბინორჩოპინგი 0:0; სირიანსკა-ასირისკა 0:1.

## თურქეთი

VII ტური

| | |
|---|---|
| გენჩლერი-ტრაბზონი | 2:2 |
| ანთალია-ფენერბაჩე | 1:2 |
| ბურსა-დიარბაქირი | 4:0 |
| გაზიანთეფი-ანკარაგუჩუ | 1:3 |
| ბუიუქსეჰირი-სივასი | 1:0 |
| დენიზლი-მანისა | 1:1 |
| გალათასარაი-ესქიშეჰირი | 1:1 |
| ქაისერი-ქასიმფაშა | 0:0 |
| ანკარა-ბეშიქთაში | გადაიდო |

### II დივიზიონი

VI ტური

ქარსიაქა-ერჩიესი 2:1; რიზე-ალთაი 1:1; ბოლუ-ადანა 3:1; ჰაჩეთეფე-სამსუნი 1:0; ქართალი-ბუკა 3:0; მერსინი-ბბ გაზიანთეფი 0:0; ორდუ-ქონია 1:1; ქოჯაელი-გირეშუნი 1:2; ქარაბუქი-დარდანელი დღეს.

## უელსი

VII ტური

| | |
|---|---|
| პრესტატინი-ეირბასი | 2:2 |
| ტნს-ნიუთაუნი | 2:2 |
| ებერისთვითი-ქონაისი | 1:2 |
| ქერსოუსი-კარმარტენი | 0:3 |
| სუონი-ნითი | 0:1 |
| ჰევერფორდვესტი-ბანგორი | 2:2 |
| რილი-პორტმედოგი | 4:0 |
| უელშპული-პორტ ტელბოტი | 0:2 |
| ლანელი-ბალა თაუნი | 2:0 |

## ბელარუსი

XXI ტური

| | |
|---|---|
| გრანიტი-ბატე | 1:3 |
| მტზ რიპო-მინსკი | 1:0 |
| ნაფტანი-დინამო (მნ) | 0:2 |
| ტორპედო-ტრანსმაში | 0:0 |
| გომელი-დინამო (ბ) | 3:1 |
| შახტიორი-სმორგონი | 2:0 |
| ვიტებსკი-ნემანი | 2:1 |

## ბოსნია

VIII ტური

| | |
|---|---|
| ლაკტაში-ლეოტარი | 0:1 |
| მოდრიცა-ჟრინსკი | 1:2 |
| ველეჟი-ზვიეზდა | 4:0 |
| სლობოდა-სლავია | 1:0 |
| ტრავნიკი-რუდარი | 1:0 |
| ბორაცი-ჟელეზნიჩარი | 2:0 |
| სარაევო-ჩელიკი | 3:1 |
| ოლიმპიკი-შიროკი ბრიეგი | 0:1 |

## ბულგარეთი

VII ტური

| | |
|---|---|
| სლივენი-ლოკომოტივი (ს) | 1:3 |
| სპორტისტი-ჩერნო მორე | 2:1 |
| მონტანა-ცსკა | 1:2 |
| ბოტევი-სლავია | 0:1 |
| ლოკომოტივი (მ)-ბეროე | 2:1 |
| მინიორი-ლიტექსი | 0:1 |
| ლევსკი-ჩერნომორეცი | 0:1 |
| პირინი-ლოკომოტივი (პ) | დღეს |

## ჩეხეთი

IX ტური

| | |
|---|---|
| ლიბერეცი-სლოვაცკო | 2:0 |
| ბანიკი-ტეპლიცე | 2:2 |
| სპარტა-პლზენი | 0:0 |
| ბოჰემიანს 1905-სლავია | 1:1 |
| კლადნო-ბოჰემიანსი | 3:2 |
| სიგმა-იაბლონეცი | 0:1 |
| პრშიბრამი-ბუდეიოვიცე | 3:1 |
| ბოლესლავი-ბრნო | დღეს |

### II დივიზიონი

IX ტური

დუკლა-ვიტკოვიცე 3:1; ჟლინი-ველაშიმი 3:2; იჰლავა-ოპავა 0:0; ჰლუჩინი-ვიქტორია 0:2; მოსტი-ტრშინეცი 3:0; ჩასლავი-სოკოლოვი 0:1; კარვინა-უსტი 2:0; ჰრადეცი-სპარტა II 1:0.

## ხორვატია

IX ტური

| | |
|---|---|
| ზაგრები-შიბენიკი | 0:2 |
| ინკერი-კროაცია | 1:2 |
| რიეკა-მედიმურიე | 4:0 |
| ლოკომოტივა-დინამო | 0:1 |
| ზადარი-ისტრა | 1:1 |
| სლავენი-ოსიეკი | 5:2 |
| ვარტექსი-კარლოვაცი | 0:1 |
| სიბალია-ჰაიდუკი | 0:0 |

## ესტონეთი

XXIX ტური

| | |
|---|---|
| ტრანს ნარვა-კურესაარე | 10:0 |
| ნომე-ტალინა | 3:4 |
| პაიდე-კალევი | 0:1 |
| ტარტუ-ტულევიკი | 0:3 |
| ლევადია-ფლორა | 1:0 |

## უნგრეთი

IX ტური

| | |
|---|---|
| კაპოშვარი-დებრეცენი | 4:4 |
| ფერენცვაროში-ფეჰერვარი | 2:2 |
| ვაშაში-მტკ | 2:0 |
| ნირედიჰაზა-დიოში | 1:3 |
| პონველი-ლომბარდი | 1:3 |
| პალადაში-დიოშდიორი | 2:1 |
| ზალაეგერსეგი-კეჩკემეტი | 3:2 |
| პაქსი-უიპეშტი | 1:0 |

## ისრაელი

IV ტური

| | |
|---|---|
| ჰაპოელი (პ)-მაკაბი (თ-ა) | 3:1 |
| ბნეი იეჰუდა-ბნეი სახნინი | 2:1 |
| ჰაპოელი (ა)-მაკაბი (ა-ნ) | 0:1 |
| ჰაპოელი (რ)-აშდოდი | 1:1 |
| ჰაპოელი (რ-გ)-მაკაბი (ნ) | 1:0 |
| მაკაბი (ფ-თ)-ჰაპოელი (ბ-შ) | 3:0 |
| ბეითარი-ჰაპოელი (ფ-თ) | 3:0 |

## ლატვია

XXVIII ტური

| | |
|---|---|
| დაუგავა-ოლიმპსი | 0:5 |
| ბლაზმა-ვენტსპილსი | 0:2 |
| სკონტო-იურმალა | 3:2 |
| მეტალურგსი-ტრანზიტსი | 4:0 |

## ლიტვა

XXIV ტური

| | |
|---|---|
| ეკრანასი-ბანგა | 5:1 |
| ტელშიაი-კრუოია | 2:1 |
| ტაურასი-ვეტრა | 0:0 |
| შიაულიაი-სუდუვა | 1:1 |

## მოლდოვა

XII ტური

| | |
|---|---|
| დაჩია-აკადემია | 1:0 |
| დინამო-ცსკა | 2:1 |
| ვიიტორული-ოლიმპია | 0:1 |
| ნისტრუ-სფინტული | 2:0 |
| ზიმბრუ-შერიფი | 1:0 |
| ტირასპოლი-ისკრა სტალი | 0:0 |

## პოლონეთი

VIII ტური

| | |
|---|---|
| ლეხია-ზაგლები | 1:0 |
| ლეგია-ლეხი | 2:0 |
| ოდრა-ბელხატოვი | 0:1 |
| კორონა-პიასტი | 3:2 |
| ვისლა-პოლონია (ვ) | 2:1 |
| იაგელონია-კრაკოვია | 0:0 |
| შლიონსკი-რუხი | 0:0 |
| პოლონია (ბ)-არკა | 3:1 |

## რუმინეთი

VIII ტური

| | |
|---|---|
| უნირეა (უ)-ასტრა | 4:1 |
| გაზ მეთანი-დინამო | 1:0 |
| უნირეა (ა)-ვასლუი | 2:0 |
| პოლიტეხნიკა-ჩახლაული | 2:0 |
| ტიმიშოარა-უნივერსიტატეა | 1:1 |
| პანდური-ოცელული | 2:3 |
| გლორია-კლუჟი | 0:2 |
| ბრაშოვი-სტეაუა | 0:0 |
| რაპიდი-ინტერნაციონალი | 4:0 |

## რუსეთი

XXIII ტური

| | |
|---|---|
| რუბინი-ამკარი | 1:2 |
| ზენიტი-ცსკა | 2:0 |
| დინამო-სატურნი | 1:0 |
| მოსკოვი-ხიმკი | 3:0 |
| ნალჩიკი-როსტოვი | 1:0 |
| ტერეკი-ლოკომოტივი | 2:1 |
| სამარა-ტომი | 5:0 |
| კუბანი-კრილია | 0:0 |

## სლოვაკეთი

XI ტური

| | |
|---|---|
| ბისტრიცა-ჟილინა | 1:0 |
| ნიტრა-სლოვანი | 0:1 |
| დუბნიცა-კოშიცე | 1:0 |
| ტატრანი-რუჟომბეროკი | 1:0 |
| დ. სტრედა-ტრნავა | 2:1 |
| პეტრჟალკა-ინტერი | 1:2 |

## სლოვენია

XI ტური

| | |
|---|---|
| კოპერი-დრავა | 0:0 |
| პუბლიკუმი-ნაფტა | 2:2 |
| ოლიმპია-გორიცა | 1:1 |
| დომჟალე-ინტერბლოკი | 1:0 |
| მარიბორი-რუდარი | 0:2 |

## არგენტინა

VI ტური

| | |
|---|---|
| გოდოი-არგ. ხუნიორსი | 2:4 |
| ბანფილდი-ნიუელსი | 2:1 |
| ჩაკარიტა-არსენალი | 1:0 |
| როსარიო-კოლონი | 0:1 |
| ესტუდიანტესი-ბოკა ხუნიორსი | 2:1 |
| ტიგრე-სან ლორენსო | 2:3 |
| ველესი-ურაკანი | 2:0 |
| რასინგი-ინდეპენდიენტე | 1:2 |
| რივერი-ხიმნასია | გვ. დასრულდა |
| ატლეტიკო-ლანუსი | გვ. დასრულდა |

## მექსიკა

X ტური

| | |
|---|---|
| კრუს ასული-ტოლუკა | 1:2 |
| მონტერეი-პუებლა | 2:1 |
| ინდიოსი-ტეკოსი | 1:2 |
| ატლასი-ტიგრესი | 2:1 |
| სან ლუისი-ხაგუარესი | 0:3 |
| მორელია-კერეტარო | 5:0 |
| პუმასი-გვადალახარა | 1:1 |
| ს. ლაგუნა-პაჩუკა | გვ. დასრულდა |
| ამერიკა-ატლანტე | გვ. დასრულდა |

## უკრაინა

VIII ტური

| | |
|---|---|
| დინამო-ზორია | 2:0 |
| კრივბასი-მეტალურგი (დ) | 0:1 |
| ზაკარპატია-დნიპრო | 0:2 |
| მეტალურგი (ზ)-არსენალი | 2:1 |
| ჩერნომორეცი-კარპატი | 1:1 |
| ილიჩივეცი-ვოლინი | 0:0 |
| შახტარი-ობოლონი | 4:0 |
| ტავრია-მეტალისტი | 0:0 |

## ეკვადორი

XI ტური

| | |
|---|---|
| ელ ნასიონალი-დეპ. კუენკა | 4:1 |
| ემელეკი-დეპ. კიტო | 2:0 |
| ლიგა დე კიტო-ბარსელონა | 4:0 |
| პორტოვიეხო-დეპ. მაკარა | 1:1 |
| ოლმედო-ესპოლი | 1:0 |
| ტექ. უნივერსიტარიო-მანტა | 2:3 |

## იაპონია

XXVII ტური

| | |
|---|---|
| კაშიმა-ნაგოია | 1:4 |
| ჯეფ იუნაიტედი-იამაგატა | 1:2 |
| ტოკიო-ივატა | 3:2 |
| კიოტო-ომია | 1:3 |
| გამბა-კავასაკი | 2:1 |
| ჰიროშიმა-ნიიგატა | 1:2 |
| ოიტა-კაშივა | 0:0 |
| შიმიცუ-კობე | 1:0 |
| ურავა-იოკოჰამა | 1:2 |

## ჩრ. ირლანდია

X ტური

| | |
|---|---|
| დუნგანონი-კლიფტონვილი | 1:1 |
| ლინფილდი-ბალიმენა | 1:0 |
| პორტადაუნი-კოლრეინი | 4:0 |
| ლისბურნი-კრუზეიდერსი | 0:1 |
| ნიური-გლენტორანი | 1:2 |
| ინსტიტუტი-გლენავონი | 0:1 |

## ბრაზილია

XXVI ტური

| | |
|---|---|
| ბარუერი-კრუზეირო | 0:1 |
| პალმეირასი-ატ. პარანაენსე | 2:1 |
| კურიტიბა-ნაუტიკო | 2:0 |
| ფლუმინენსე-ავაი | 3:2 |
| გოიაში-გრემიო | 2:1 |
| ინტერნასიონალი-ფლამენგო | 0:0 |
| სან პაულუ-კორინთიანსი | 1:1 |

## ურუგვაი

V ტური

| | |
|---|---|
| რივერ პლეიტი-ნასიონალი | 1:0 |
| დეფენსორი-ფენიქსი | 2:0 |
| რასინგი-სერიტო | 1:1 |
| სერო ლარგო-დანუბიო | 2:3 |
| სერო-სენტრალი | 1:2 |
| მონტევიდეო-ატენასი | 0:0 |
| ტაკუარემბო-რამპლა | 0:1 |
| ლივერპული-პენიაროლი | 2:2 |

## აშშ

| | |
|---|---|
| კოლამბუსი-ლოს ანჯელესი | 2:0 |
| ნიუ ინგლენდი-სიეტლი | 2:1 |
| ჩიკაგო-ტორონტო | 2:2 |
| დალასი-სოლტ ლეიკი | 3:0 |
| კანზასი-კოლორადო | 0:0 |
| ჩივასი-ნიუ იორკი | 1:1 |
| დი სი იუნაიტედი-სან ხოსე | 1:2 |

## კოლუმბია

XI ტური

| | |
|---|---|
| მილიონარიოსი-რეალი | 0:0 |
| ლა ეკუიდადი-დეპ. პერეირა | 0:0 |
| ამერიკა-ინდეპენდიენტე | 1:2 |
| ატ. ნასიონალი-დეპ. პასტო | 1:1 |
| ატ. ხუნიორი-ენვიგადო | გვ. დასრულდა |
| კუკუტა-დეპ. კალი | გვ. დასრულდა |
| ტოლიმა-ჩიკო | გვ. დასრულდა |
| დეპ. კინდიო-სანტა ფე | გვ. დასრულდა |
| ონსე კალდასი-ატ. უილა | გვ. დასრულდა |

## ჩილე

XII ტური

| | |
|---|---|
| პალესტინო-უნ. კატოლიკა | 1:1 |
| ს. მორნინგი-უნ. ჩილე | 3:1 |
| ო'ჰიგინსი-უნ. ესპანიოლა | 2:0 |
| კობრელოა-კურიკო | 0:0 |
| კობრესალი-უნ. კონსეპსიონი | 3:0 |
| უაჩიპატო-ევერტონი | 1:2 |
| რეინჯერსი-მუნისიპალი | 5:3 |
| კოლო კოლო-ნუბლენსე | გვ. დასრულდა |
| ლა სერენა-აუდაქსი | გვ. დასრულდა |

## მსოფლიოს თასი

UNDER 20

| | |
|---|---|
| აშშ-გერმანია | 0:3 |
| კამერუნი-კორეა | 2:0 |
| განა-უზბეკეთი | 2:1 |
| ინგლისი-ურუგვაი | 0:1 |
| ბრაზილია-კოსტა რიკა | 5:0 |
| ჩეხეთი-ავსტრალია | 2:1 |
| საემიროები-ს. აფრიკა | 2:2 |
| ჰონდურასი-უნგრეთი | 3:0 |

ბუნდესლიგა/ბაიერნი

# ვან გაალისა და ლიოვის საიდუმლო შეხვედრა

ოთხშაბათს მთელი საფეხბურთო გერმანია თასის მატჩებს ადევნებდა თვალს და ამ დროს, მიუნხენში ერთი საიდუმლო შეხვედრა შედგა: ერთმანეთს მიუნხენის „ბაიერნის" თავკაცი **ლუის ვან გაალი** და გერმანიის ნაკრების დამრიგებელი **იოახიმ ლიოვი** შეხვდნენ. საუბარი ორსაათნახევარი გაგრძელდა და იმასაც გეტყვით, რომ ვან გაალი და ლიოვი აქამდე ერთმანეთს ახლოს არასდროს შეხვედრიან. ვან გაალმა შეხვედრაზე ასისტენტები არ იახლა, ლიოვს კი მხარს თანაშემწე **ჰანსი ფლიკი**, ბუნდესგუნდის მენეჯერი **ოლივერ ბირჰოფი** და მეკარეების მწვრთნელი **ანდრეას კიოპკე** უმშვენებდნენ.

„ბილდის" ცნობით, საუბრის ერთ-ერთი უმთავრესი თემა ის იყო, რომ ვან გაალმა ტაქტიკა შეცვალა და „ბაიერნს" 4-3-3-ით ათამაშებს, რამაც ის გამოიწვია, რომ ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ ერთი ცენტრფორვარდი თამაშობს ხოლმე, რაც თავის მხრივ მიზეზია იმისა, რომ **მარიო გომესი** ან **მიროსლავ კლოზე** სათადარიგოთა სკამზე უნდა დაჯდეს. ეს კი ლიოვს არ მოსწონს, რადგან მას უნდა, რომ გომესსა და კლოზეს მსოფლიოს ჩემპიონატისთვის სათამაშო პრაქტიკა არ მოაკლდეთ.

მხარეებმა ილაპარაკეს 20 წლის ფეხბურთელ **თომას მიულერზეც**, რომელიც ლიოვის გუნდში მოხვედრის კანდიდატია. ჩვენი გერმანელი კოლეგები იუწყებიან, რომ ლიოვი და ვან გაალი ბევრ საკითხზე შეთანხმდნენ და ერთმანეთს მხარდაჭერა აღუთქვეს. დღეს ლუისმა და ლიოვმა, შესაძლოა, ერთმანეთი კიდევ ნახონ - იოგი „ჰამბურგისა" და „ბაიერნის" მატჩს დაესწრება.

**გოტფრიდ ლენცი**



ლუის ვან გაალმა და იოახიმ ლიოვმა
მარიო გომესსა და თომას მიულერზე ითათბირეს

ეროვნული ბიბლიოთეკა



# რონალდო გაჩერდა, ზლატანი წინ მიიწევს

## ვილია ლივერპულში, 49 მილიონად


ზლატან იბრაჰიმოვიჩმა ამ ტურშიც გაიტანა

აი, პრიმერა დივიზიონის ხუთი ტურიც მიილია და „ბარსელონა" და „რეალი" ისევ გვერდიგვერდ არიან, სუპერგუნდები ყველას უგებენ, მნიშვნელობა არა აქვს, შინ თუ გარეთ, ბრძოლით თუ უბრძოლველად, საბოლოო შედეგი ყოველთვის საამათოდაა. არა, ერთ რამეში მაინც ჩამორჩა „რეალი" ესპანეთის ჩემპიონს - უფრო სწორად, **კრიშტიანო რონალდომ** შეწყვიტა საოცარი სერია (მატჩი-გოლი), მაშინ, როცა **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** მას კვლავ აგრძელებს. არადა, წესით, შვედს უნდა გასჭირვებოდა - მისი თამაში ტრავმის გამო საეჭვო იყო, აკი არც დაიწყო თამაში სასტარტოში...

ბილბაოში ორი გრანდის უახლოეს კონკურენტთა ბრძოლაში ცხადად გამოჩნდა, რომ ბასკთა სასტარტო სპურტი შემთხვევითობა იყო. აი, „სევილია" კი მართლაც სერიოზული გუნდია. „მესტალიაზე" „ვალენსიაც" და „ატლეტიკოც" მინდორს უკმაყოფილონი ტოვებდნენ, ერთია, სტუმართა არგენტინელმა ნახევარმცველმა **მაქსი როდრიგესმა** „ატლეტიკოს" თავკაცი **აბელ რესინო** მოხსნისგან იხსნა.

ვილას გაახსენდება, რომ „რეალმა" მოკრძალებულ „ტენერიფეს" ვერაფერი მოუხერხა პირველ ტაიმში, რომ კანარის კუნძულების გუნდი ხშირად სჯობდა კიდეც „სამეფო კლუბს" და ტაიმიც არ დაანება. გამოვიდნენ შესვენების შემდეგ **გუტი** და **კაკა** და ყველაფერი „დალაგდა", გუნდს სწორედ კაკას გამჭოლი პასები აკლდა, დუბლი შეასრულა **ქარიმ ბენზემამ**, ერთი გოლი (და მერე როგორი!) თავად ბრაზილიელმა ვარსკვლავმა გაიტანა - 3:0.

პირველი გოლი მეორე ტაიმის მეორე წუთზევე გავიდა, **ჩაბი ალონსოს** ჩაწოდება ფრანგმა ფორვარდმა გამოიყენა, მეორე გოლის გატანისას ბენზემამ მცველების და მეკარის შეუთანხმებელი მოქმედებით ისარგებლა. სტუმართა რბევას წერტილი კაკამ დაუსვა სოლო გოლით - 3:0. სხვათა შორის, „ტენერიფეს" არც მეორე ტაიმში მიუტოვებია ბრძოლა, ერთი-ორჯერ კანარელები სახიფათოდ დაემუქრნენ კიდეც **იკერ კასილიასის** კარს. „რეალს" გაცილებით მეტის გატანა შეეძლო, კრიშტიანო რონალდომ, **დრენტემ** თითქმის ასპროცენტიანი შანსები ვერ გამოიყენეს. აღსანიშნავია, რომ ძმებმა ალონსოებმა პირველად ითამაშეს ერთმანეთის წინააღმდეგ, „რეალში" ჩაბიმ და „ტენერიფეში" - **მიკელმა**. *„ერთხელ პრემიერლიგაში გადავეყარეთ ერთმანეYთს, როცა მე „ბოლტონში" ვთამაშობდი, ის კი „ლივერპულში", თუმცა მოედანზე ჩვენი შეხვედრა არ შედგა. რა თქმა უნდა, ბავშვობაში ძალიან ხშირად გვითამაშია ერთმანეთის წინააღმდეგ. დღეს ძალიან ამაღელვებელი საღამო იყო, ჩემთვის, ჩაბისთვის და მთელი ჩვენი ოჯახისათვის"*, - განაცხადა მიკელ ალონსომ თამაშის შემდეგ. „გოლმა" მატჩში საუკეთესოდ ქარიმ ბენზემა შერაცხა 8 ქულით, *„ეს იყო ფრანგის საღამო"*, - წერს პოპულარული საიტი.

„ბარსელონა" „მალაგას" ესტუმრა, თამაშის დასაწყისშივე მოიპოვა უპირატესობა, მაგრამ მოედანზე მასპინძელთათვის საშიში არაფერი ხდებოდა, სანამ 30-ე წუთზე მოედანზე ზლატან იბრაჰიმოვიჩი არ გამოჩნდა. იბრამ ტრავმირებული **ტიერი ანრი** შეცვალა და ტაიმის მიწურულს „თავისი" გოლიც გაიტანა, **მესის** ჩაწოდებას შვედმა პირველმა მოუსწრო - 0:1. მეორე ტაიმში მოედანზე **ჟერარდ პიკე** ვიხილეთ, რომელმაც მეორე გოლი გაიტანა. ამჯერად ასისტენტობა **ჩავიმ** იტვირთა. „მალაგა" უხეშობაზე გადავიდა, მაგრამ ამანაც ვერ გამოიღო შედეგი, მასპინძლებს მსაჯმა **ალბერტ ლუკე** გაუძევა, რომელიც **დანი ალვეშს** ეუხეშა. მაშ ასე, ზლატან იბრაჰიმოვიჩის საოცარი სერია გრძელდება - 5 მატჩში 5 გოლი, შვედი უგოლოდ მოედანს არ ტოვებს. შენაძენიც ასეთი უნდა!

ბილბაოს „ატლეტიკის" გულშემატკივრების იმედებს ცივი შხაპი „სევილიამ" გადაასხა. არავინ ელოდა, რომ ბასკები ანდალუსიელებთან შინ ასე დამარცხდებოდნენ - 0:4. არადა კინაღამ „ბილბაო" დაწინაურდა მატჩში, მე-4 წუთზე **დავიდ ლოპესს** ხელს აღარავინ უშლიდა, რომ არა მცველი **დრაგუტინოვიჩი**, რომელიც ტანით გადაეღობა ბურთს, შესაძლოა, მატჩი სულ სხვა სცენარით განვითარებულიყო. ზუსტად ერთ წუთში „სევილიამ" ანგარიში საჯარიმო დარტყმით გახსნა, რომელიც უნაკლოდ **რენატომ** შეასრულა. მე-20 წუთზე „რეალიდან" გადასულმა **ნეგრედომ** კარგად გამოიყენა **კაპელის** პასი და იოლად მოუგო დუელი ბილბაოელთა გოლკიპერ **ირაისოსს**. პირველ ტაიმში ირაისოსის შეცდომას კიდევ ერთი გოლი მოჰყვა ბასკთა კარში, მან ნეგრედოს დარტყმული ვერ შეიმაგრა და დამატებაზე ფრანგმა **კანუტემ** იყოჩაღა. მეორე ტაიმში ბასკები 10 კაცის ამარა დარჩნენ და მათ რბევას წერტილი **ნავასმა** დაუსვა.

შეცვლაზე შესულმა **მაქსი როდრიგესმა** მსაჯის მიერ დამატებულ მე-3 წუთზე „ვალენსიას" დაცვაში არეულობით ისარგებლა და საჯარიმოს მარჯვენა კუთხიდან გაათანაბრა ანგარიში - 2:2. ამით მან აბელ რესინოს პოსტი შეუნარჩუნა, ხოლო „ატლეტიკოს" ჩემპიონატში მესამე ქულა მოუპოვა. მატჩში თავიდან სწორედ „ატლეტიკო" დაწინაურდა, **სერხიო აგუეროს** გოლით, მალე არგენტინელმა გოლის გატანის ბრწყინვალე შანსი გაანიავა, რასაც **პაბლო ერნანდესისა** და **დავიდ ვილიას** გოლები მოჰყვა. სამი გოლი თამაშის პირველ ტაიმში გავიდა, ყველაფერი რესინოს გუნდის კატასტროფისკენ მიექანებოდა, როცა მასპინძელთა თავკაცმა **უნაი ემერიმ** გაუგებარი ცვლილებები გააკეთა, შედეგად „ვალენსია" მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე დაისაჯა - 2:2.

მატჩის შემდეგ ორივე გუნდის თავკაცი მიიჩნევდა, რომ მოგებას მისი გუნდი იმსახურებდა აბელ რესინოსა და უნაი ემერის კომენტარები გადაჭრილი ვაშლივით ჰგავდა ერთმანეთს.

ინგლისურმა „სანდი ფიფლმა" გუშინ სენსაციური სიახლე გვამცნო - „ვალენსიასა" და ესპანეთის ნაკრების ფორვარდი დავიდ ვილიას იანვარში „ლივერპული" შეიძენს. დასახელებულია სატრანსფერო თანხაც - 49 მილიონი ევრო. შეგახსენებთ, რომ დავიდ ვილიამ შარშან ლა ლიგაში 28 გოლი გაიტანა, წლეულს კი 5 მატჩში მის ანგარიშზე უკვე 6 გოლია.

გუშინ „მალიორკამ" 3:0 მოუგო „ვალიადოლიდს" და ლიდერთა შორის დამკვიდრდა. მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა ბარსელონაში, სადაც „ესპანიოლმა" ვერ შეძლო უიმედო აუტსაიდერის, „ხერესის" დამარცხება - 0:0. „ალმერია" სანტანდერის „რასინგს" დაუზავდა - 2:2, ხოლო „ოსასუნამ" მინიმალური ანგარიშით იმარჯვა პამპლონაში „სპორტინგის" წინააღმდეგ - 1:0.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ლაშა დვალიშვილის სტუდია და ტელეკომპანია მზე გთავაზობთ ინგლისისა და ესპანეთის საფეხბურთო ჩემპიონატების შეხვედრებს თქვენი შერჩევით

ინტერაქტივი ესპანეთი

| | |
|---|---|
| ტენერიფე-დეპორტივო | 80 44 0 10 |
| ბარსელონა-ალმერია | 80 44 0 11 |
| ატლეტიკო-სარაგოსა | 80 44 0 12 |
| რასინგი-ვალენსია | 80 44 0 13 |
| სევილია-რეალი | 80 44 0 14 |
| ხერესი-მალაგა | 80 44 0 15 |

### მომდევნო ტური

3 ოქტომბერი. ტენერიფე-დეპორტივო, ბარსელონა-ალმერია, ატლეტიკო-სარაგოსა. 4 ოქტომბერი. ხერესი-მალაგა, ვილიარეალი-ესპანიოლი, ვალიადოლიდი-ბილბაო, სპორტინგი-მალიორკა, ხეტაფე-ოსასუნა, რასინგი-ვალენსია, სევილია-რეალი.

### ბილბაო-სევილია 0:4

**ბილბაო (4-4-2):** ირაისოსი - ირაოლა, უსტარიცი, ამორებიეტა, კოიკილი - დ. ლოპესი (58. ენეკო), გურპეგი (46. იესტე), ხ. მარტინესი, სუსაეტა (46. მუნიაინი) - ლორენტე, ტოკერო.

**სევილია (4-4-2):** პალოპი - სანჩესი, სკილაჩი, დრაგუტინოვიჩი, ნავარო - ნავასი (79. ხოსე კარლოსი), რენატო, ლოლო, კაპელი (71. აკოსტა) - კანუტე (63. ლუიშ ფაბიანო), ნეგრედო.

**გოლები:** 0:1 რენატო (5), 0:2 ნეგრედო (20), 0:3 კანუტე (45), 0:4 ნავასი (74).

**გაძევება:** ამორებიეტა (53).

**გაფრთხილება:** 4-1; **კუთხური:** 4-3; **ჯარიმა:** 22-13; **თამაშგარე:** 3-0; **კარში დარტყმა:** 13-16 (3-8); **ბურთის ფლობა:** 38%-62%.

**მაყურებელი:** 39 000

### რეალი-ტენერიფე 3:0

**რეალი (4-3-3):** კასილიასი - რამოსი (46. გუტი), პეპე, ალბიოლი, დრენტე - ჩ. ალონსო, ლ. დიარა, გრანერო (46. კაკა) - რაული, ბენზემა, რონალდო (79. მ. დიარა).

**ტენერიფე (4-2-3-1):** არაგონესესი - ბერტრანი (38. სისილია), მანოლო (61. ომარი), ლუნა, ბელვისი - მ. ალონსო, რომანი - ალფარო, რიჩი, კომე (80. დინეი) - ნინო.

**გოლები:** 1:0 ბენზემა (47), 2:0 ბენზემა (58), 3:0 კაკა (77)

**გაფრთხილება:** 1-6; **კუთხური:** 5-8; **ჯარიმა:** 15-23; **თამაშგარე:** 0-2; **კარში დარტყმა:** 18-20 (7-7); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 75 000

### მალაგა-ბარსელონა 0:2

**მალაგა (4-4-1-1):** მუნიუა - გამესი, კვადრადო, ველინგტონი, მ. ტორესი - ფერნანდო (46. ვალდო), ხ. ტორესი, ხუანიტო, დუდა (76. ლუკე) - ბაჰა (55. ფორესტიერი) - ობინა.

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - დანი ალვეში, ჩიგრინსკი (55. პიკე), პუიოლი, აბიდალი - ჩავი, ტურე (78. ბუსკეტსი), კეიტა - პედრო, ანრი (28. იბრაჰიმოვიჩი), მესი.

**გოლები:** 0:1 იბრაჰიმოვიჩი (39), 0:2 პიკე (59)

**გაძევება:** ლუკე (85)

**გაფრთხილება:** 4-2; **კუთხური:** 3-1; **ჯარიმა:** 18-19; **თამაშგარე:** 7-5; **კარში დარტყმა:** 3-11 (0-6); **ბურთის ფლობა:** 34%-66%.

**მაყურებელი:** 25 000

### ვალენსია-ატლეტიკო 2:2

**ვალენსია (4-2-3-1):** მოია - ბრუნო, ალექსისი, დელბერტი, მატიო - მარჩენა, ბანეგა (80. მადურო) - პაბლო, სილვა, მატა (82. ხოაკინი) - ვილია.

**ატლეტიკო (4-4-2):** რობერტო - ვალერა (40. ხუანიტო), პერეა, უიფალუში, ა. ლოპესი - ხურადო, ასუნსაო, სანტანა (75. რეიესი), სიმაო (57. მაქსი როდრიგესი) - ფორლანი, აგუერო.

**გოლები:** 0:1 აგუერო (7), 1:1 პაბლო (25), ვილია (27), 2:2 მაქსი როდრიგესი (92)

**გაფრთხილება:** 2-1; **კუთხური:** 13-5; **ჯარიმა:** 16-10; **თამაშგარე:** 4-3; **კარში დარტყმა:** 15-15 (7-3); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 36 000

### ესპანიოლი-ხერესი 0:0

**ესპანიოლი (4-2-3-1):** კამენი - ჩიკა, პარეხა, რონკალია, დ. გარსია - მოისესი, ვერდიუ (77. მარკესი) - კორომინასი (63. საპარი), ალონსო (54. ლუის გარსია), ნაკამურა - კალეხონი.

**ხერესი (4-2-3-1):** რენანი - ფრანსისი, აიტამი, პრიეტო, მენდოსა - ბერგანტინოსი, კეიტა (61. ვიკერა) - კალვო, არმენტეროსი, მომო (78. სანჩესი) - მადლონადო (59. ბერმეხო)

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 10-2; **ჯარიმა:** 13-10; **თამაშგარე:** 1-5; **კარში დარტყმა:** 16-4 (3-1); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 33 000

### მალიორკა-ვალიადოლიდი 3:0

**მალიორკა (4-4-2):** ავატე - ხოსემი, ნუნიესი, რამისი, აიოსე - ალვარესი (66. მარტი), სუარესი, ვალერო, ტუნი (78. კეიტა) - ვიქტორი, ადურისი (76. კასტრო).

**ვალიადოლიდი (4-2-3-1):** ხაკობო - ლოპესი, ბარახა, ნივალდო, მარკოსი (66. მარკიტოსი) - ბორხა, რუბიო - სისი (46. ბუენო), კანობიო, ასიერი (75. ბარაგანი) - კოსტა.

**გოლები:** 1:0 ნუნიესი (3), 2:0 ადურისი (59), 3:0 ვალერო (62)

**გაფრთხილება:** 0-0; **კუთხური:** 9-5; **ჯარიმა:** 16-19; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 13-6 (8-0); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 12 809

### ოსასუნა-სპორტინგი 1:0

**ოსასუნა (4-4-2):** რიკარდო - ოიერი, ფლანო, ხოსეჩო, მონრეალი - ხუანფრანი (90. კალეხა), პუნიალი, ნეკუნამი, მასუდი (70. კამუნიასი) - არანდა (83. გალანი), პანდიანი.

**სპორტინგი (4-4-2):** პაბლო - სასტრე, ერნანდესი, ხერარდი, კანელია - პედრო (58. კასტრო), მიჩელი (71. კამაჩო), რივერა, მალდონადო (48. მიგელი) - ბარალი, ბილიჩი.

**გოლები:** 1:0 ნეკუნამი (55 პენ)

**გაფრთხილება:** 1-3; **კუთხური:** 5-1; **ჯარიმა:** 14-18; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 12-9 (2-0); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 15 000

### ალმერია-რასინგი 2:2

**ალმერია (4-2-3-1):** ალვესი - მასედო, პელერანო, ჩიკო, გილერმე - ბერნარდელო, სორიანო (72. ორტისი) - ნიეტო (60. კორონა), პიატი (83. როდრიგესი), კრუსატი - უჩე.

**რასინგი (4-4-2):** ტონიო - კრესპო, ენრიკე, მორისი, კრისტიანი - არანა, დიოპი, ლასენი, სერანო - ჩიტე (64. სისკო), მუნიტისი (74. ლუის გარსია).

**გოლები:** 1:0 კრუსატი (17), 1:1 ჩიტე (59), 1:2 ლასენი (71), 2:2 უჩე (89)

**გაფრთხილება:** 3-2; **კუთხური:** 7-4; **ჯარიმა:** 14-19; **თამაშგარე:** 5-6; **კარში დარტყმა:** 13-13 (4-6); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 15 000

### სარაგოსა-ხეტაფე 3:0

**სარაგოსა (4-2-3-1):** კარისო - პულიდო, აიალა, პავონი, პარედესი - გაბი, პონსიო - ბაბიჩი (70. პენანტი), აგილარი (83. სონგოო), ლოპესი - არისმენდი (78. ევერტონი).

**ხეტაფე (4-3-3):** უსტარი - ტორესი, დიასი, რაფა, მანე - კასკერო (46. სოლდადო), სელესტინი, ბოატენგი (63. გონსალესი) - ლეონი, მანუ, გავილანი (46. ალბინი).

**გოლები:** 1:0 პავონი (17), 2:0 აგილარი (24), 3:0 აგილარი (81)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 5-3; **ჯარიმა:** 15-9; **თამაშგარე:** 6-0; **კარში დარტყმა:** 19-12 (10-4); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 24 000

### დეპორტივო-ვილიარეალი 1:0

**დეპორტივო (4-4-2):** არანსუბია - პაბლო, კოლოტო, ლოპო, ფილიპე - ალვარესი, ჟუკა (17. ტომასი), სერხიო, გუარდადო - ადრიანი (65. რიკი), ლასადი (55. ვალერონი).

**ვილიარეალი (4-4-2):** ლოპესი - ვენტა, მარკანო, გოდინი (78. ბრუნო), კაპდევილია - კასორლა, სენა, ეგურენი, კანი (72. პირესი) - როსი, ლორენტე (55. ნილმარი).

**გოლი:** 1:0 ჟუკა (8)

**გაფრთხილება:** 1-3; **კუთხური:** 3-8; **ჯარიმა:** 22-13; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 12-13 (7-7); **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

**მაყურებელი:** 20 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 5 | 5 | 0 | 0 | 16-2 | 15 |
| 2. ბარსელონა | 5 | 5 | 0 | 0 | 16-3 | 15 |
| 3. სევილია | 5 | 4 | 0 | 1 | 12-3 | 12 |
| 4. მალიორკა | 5 | 3 | 1 | 1 | 10-3 | 10 |
| 5. დეპორტივო | 5 | 3 | 0 | 2 | 9-6 | 9 |
| 6. ბილბაო | 5 | 3 | 0 | 2 | 5-7 | 9 |
| 7. ვალენსია | 5 | 2 | 2 | 1 | 11-9 | 8 |
| 8. სარაგოსა | 5 | 2 | 1 | 2 | 7-7 | 7 |
| 9. ოსასუნა | 5 | 2 | 1 | 2 | 5-6 | 7 |
| 10. ესპანიოლი | 5 | 2 | 1 | 2 | 5-7 | 7 |
| 11. ალმერია | 5 | 1 | 3 | 1 | 5-5 | 6 |
| 12. ტენერიფე | 5 | 2 | 0 | 3 | 3-9 | 6 |
| 13. ხეტაფე | 5 | 2 | 0 | 3 | 7-8 | 6 |
| 14. სპორტინგი | 5 | 1 | 2 | 2 | 4-7 | 5 |
| 15. რასინგი | 5 | 1 | 2 | 2 | 7-12 | 5 |
| 16. ვალიადოლ. | 5 | 1 | 1 | 3 | 5-10 | 4 |
| 17. მალაგა | 5 | 1 | 0 | 4 | 5-7 | 3 |
| 18. ატლეტიკო | 5 | 0 | 3 | 2 | 7-13 | 3 |
| 19. ვილიარეალი | 5 | 0 | 2 | 3 | 4-7 | 2 |
| 20. ხერესი | 5 | 0 | 1 | 4 | 0-11 | 1 |

**ბომბარდირები:** 6 - ვილია (ვალენსია); 5 - მესი (ბარსელონა), იბრაჰიმოვიჩი (ბარსელონა), რონალდო (რეალი); 3 - სოლდადო (რასინგი), ბენზემა (რეალი), ადურისი (მალიორკა), პანდიანი (ოსასუნა).

### სეგუნდა დივიზიონი

### V ტური

**სელტა-ერკულესი 0:1**
გოლი: 0:1 პასი (55)

**ვილიარეალი ბ-ალბასეტე 2:2**
გოლები: 1:0 მონტერო (15), 1:1 სტუანი (32), 1:2 სალვა (80), 2:2 რუბენი (90)
გაძევება: კრისტობალი (90. ვილიარეალი), სოუსა (90. ალბასეტე)

**მურსია-სალამანკა 2:2**
გოლები: 1:0 ჩანდო (45), 1:1 ლინარესი (56), 2:1 ჩანდო (73), 2:2 გოიკოეჩეა (90)

**ლას პალმასი-ლევანტე 0:1**
გოლი: რუბენი (54)

**ხირონა-უნიონი 0:2**
გოლები: 0:1 ბრიტი (55), 0:2 დორკა (69 ს.კ.)

**კასტელონი-რაიო ვალეკანო 1:3**
გოლები: 0:1 კასტრო (23), 0:2 პიტი (46), 0:3 აგანსო (86), 1:3 ულოა (90)

**კადისი-უელვა 1:0**
გოლი: 1:0 ორმასაბალი (55)

**ბეტისი-კარტახენა 0:0**
გაძევება: არსუ (55. ბეტისი), გარსია (75. ბეტისი)

**რეალ სოსიედადი-უესკა 2:0**
გოლები: 1:0 გრიესმანი (39), 2:0 ბუენო (88)

**ხიმნასტიკი-ნუმანსია 0:1**
გოლები: 0:1 სოლა (89)

**ელჩე-კორდობა 3:0**
გოლები: 1:0 უსერო (29), 2:0 სანტოსი (44), 3:0 სებალოსი (73 ს.კ.)
გაძევება: აკიარი (80. ელჩე)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კარტახენა | 5 | 3 | 2 | 0 | 6-2 | 11 |
| 2. ბეტისი | 5 | 3 | 1 | 1 | 11-4 | 10 |
| 3. ვალეკანო | 5 | 3 | 1 | 1 | 9-4 | 10 |
| 4. ნუმანსია | 5 | 3 | 1 | 1 | 8-4 | 10 |
| 5. ერკულესი | 5 | 3 | 1 | 1 | 5-3 | 10 |
| 6. რ. სოსიედადი | 5 | 2 | 3 | 0 | 7-4 | 9 |
| 7. ლევანტე | 5 | 2 | 3 | 0 | 7-5 | 9 |
| 8. უელვა | 5 | 3 | 0 | 2 | 5-5 | 9 |
| 9. ლას პალმასი | 5 | 2 | 2 | 1 | 4-3 | 8 |
| 10. ხიმნასტიკი | 5 | 2 | 1 | 2 | 4-4 | 7 |
| 11. ალბასეტე | 5 | 2 | 1 | 2 | 9-11 | 7 |
| 12. კორდობა | 5 | 2 | 1 | 2 | 4-7 | 7 |
| 13. სალამანკა | 5 | 1 | 3 | 1 | 6-6 | 6 |
| 14. უესკა | 5 | 1 | 2 | 2 | 4-5 | 5 |
| 15. კადისი | 5 | 1 | 2 | 2 | 2-3 | 5 |
| 16. ვილიარეალი B | 5 | 1 | 2 | 2 | 7-9 | 5 |
| 17. მურსია | 5 | 0 | 4 | 1 | 4-5 | 4 |
| 18. უნიონი | 5 | 1 | 1 | 3 | 3-5 | 4 |
| 19. ელჩე | 5 | 1 | 1 | 3 | 7-10 | 4 |
| 20. ხირონა | 5 | 0 | 3 | 2 | 4-7 | 3 |
| 21. სელტა | 5 | 0 | 2 | 3 | 3-6 | 2 |
| 22. კასტელონი | 5 | 0 | 1 | 4 | 5-12 | 1 |

# ნაუგებელი აღარავინაა



როი კინმა პოკერი შეასრულა

**პეტრ ჩეხი** მოედნიდან გააგდეს - „ჩელსიმ" პირველი მარცხი იწვნია. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, პირველი ქულები დაკარგა, რადგან აქამდე ექვსი შეხვედრიდან ექვსი გამარჯვებით იწონებდა თავს, ფრეც კი არ ჰქონდა. ლონდონელების გოლკიპერი მეორე ტაიმის დასაწყისშივე გააძევეს. მიზეზი: საგოლე პოზიციაზე შესული „უიგანის" ნახევარმცველი, **უგო როდალეგა** დასცა. მსაჯმა, **ფილიპ დოუდმა** პენალტი დანიშნა, რომელიც თავად როდალეგამ დაარტყა - ასე გავიდა ლიდერის კარში მეორე გოლი. მანამდე ანგარიში 1:1 იყო. მსაჯის წამატებულ წუთებში კი მასპინძლებმა მრისხანე სტუმრებს ერთიც გაუტანეს და პრემიერლიგის დიდი ოთხეულის წარმომადგენელთან ისტორიაში პირველად გაიმარჯვეს.

არადა, „ლურჯებს" უკვე მეორე წუთზე შეეძლოთ ანგარიშის გახსნა - **ეშლი კოულმა** ბურთი **მიკაელ ესიენს** დაუგორა, მაგრამ ესიენის დარტყმულს მეკარე **კრის კირკლენდი** გაუმკლავდა. შემდეგ, **ნიკოლა ანელკამ** ააცილა მიზანს, **ფრენკ ლემპარდმა** კი კიდევ ერთხელ შეამოწმა კირკლენდის ოსტატობა - ერთი სიტყვით **კარლო ანჩელოტის** გუნდი იმთავითვე დაწინაურებას ცდილობდა. შემდეგ, თავის გამოჩენა უკვე ჩეხს მოუხდა - **ჯეისონ სკოტლანდის** დარტყმული მოიგერია. „უიგანის" თავდამსხმელის ამ თავხედობამ შეხვედრას ფსიქოლოგიური ნირი უცვალა და **ტიტუს ბრამბლმა** კიდეც გააკეთა ის, რაც ათი თვის განმავლობაში არ გაეკეთებინა - გოლი გაიტანა. ამის შემდეგ, შეურაცხყოფილმა „ჩელსიმ" ერთი-ორი ჩქმეტა სცადა, მაგრამ ჩქმეტა და პწკენა კი არა, ჩეხს რომ არ ეყოჩაღა, მალე ორი ბურთით ჩამორჩებოდა - სტუმართა გოლკიპერმა **ემერსონ ბოისს** ენით აუწერელი რეაქცია შეაგება.

ლონდონელებმა მეორე ტაიმის დასაწყისშივე გაათანაბრეს, ეს **დიდიე დროგბამ** შეძლო. შემდეგ, **პოლ შარნერის** თავგამოდება რომ არა, ისინი **ჯონ ტერის** მეცადინეობით მალევე დაწინაურდებოდნენ კიდეც, მაგრამ როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ჩეხი გააგდეს და ყველაფერი ყირაზე დადგა: „ჩელსის" მეკარე როდალეგას წაქცევისთვის პირდაპირ წითლით დასაჯეს და როდალეგამ თერთმეტმეტრიანი ნიშნულიდან შეაგდო.

შემდეგ, ლემპარდმა სცადა თავურით გაქვითვა, მაგრამ ბურთი კარს გადააცილა, მერე კი... „ჩელსი" მოედანზე ცხრა კაცით დარჩა - **ეშლი კოული** დაშავდა. ცხრაკაციან სტუმარს ზემოხსენებულმა შარნერმა კიდევ ერთი გოლიც მიაყოლა ზურგში.

მატჩის შემდეგ ანჩელოტიმ განაცხადა: *„ჩვენ ცუდად ვითამაშეთ. ახლა ვერ გეტყვით, რატომ ვერ ვითამაშეთ კარგად, მაგრამ ზოგადად, ერთმანეთს მიწყობილი მოგებების შემდეგ ასეთი რამ ხდება ხოლმე. სხვა რა გზაა, რაც მოხდა, ფაქტია და დღევანდელი ნაკლი შემდეგი შეხვედრისთვის უნდა ალმოვფხვრათ. „უიგანმა" ჩვენზე უკეთ ითამაშა და დამსახურებულად გაიმარჯვა. მეტოქეს გაოცებული შევყურებდი, რადგან მისგან ასეთ ფეხბურთს არ ველოდი".*

„უიგანის" მწვრთნელი **რობერტ მარტინესი**: *„როცა მხოლოდ და მხოლოდ „უიგანი" ხარ და დიდი ოთხეულის წარმომადგენელს ეთამაშები, ან მოგებაზე უნდა ნახვიდე, ან გაგანადგურებენ. სწორედ ეს მოხდა ამ ჩემპიონატში. „არსენალმა" და „მანჩესტერ იუნაიტედმა" 4:0 და 5:0 გადაგვიარა, „ჩელსის" კი მოვუგეთ, იმიტომ, რომ იმ ორი მარცხიდან დასკვნები გამოვიტანეთ".*

ასეთი გახლდათ მეშვიდე პრემიერლიგური ტურის ყველაზე დრამატული და გარკვეული გაგებით სენსაციური შეხვედრა, დანარჩენი კი წყალივით შეგვიძლია მოვყვეთ. აი, მაგალითად, „ლივერპულმა" „ენფილდ როუდზე" „ჰალ სიტის" 6:1 გადაურბინა. ამ შეხვედრაში **ფერნანდო ტორესის** ნახვა ერთ რამედ ღირდა. ესპანელმა ფორვარდმა ჰეთ-თრიკი შეასრულა, მის აღტყინებას აყოლიებულმა მერსისაიდელებმა კი კიდევ სამი შეაგდეს - ერთი **სტივენ ჯერარდმა** და ორი **რაიან ბაბელმა**. ცნობისთვის: „ჰალ სიტის" „ლივერპული" არასდროს, არც ერთ შეჯიბრებასა თუ მოედანზე არ დაუმარცხებია.

თუმცა აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ჰალელებმა თავიდან ანგარიში გაქვითეს ანუ ტორესის პირველ გოლს პასუხი გაუბედეს, მაგრამ პრემიერლიგის გიგანტს მეტი ველარაფერი დაუპირისპირეს. და კიდევ ერთი: ფერნანდო ტორესისთვის ეს „ლივერპულის" შემადგენლობაში მეოთხე ჰეთ-თრიკი გახლდათ.

„მანჩესტერ იუნაიტედის" „ბერიკაცი" **რაიან გიგზი** კი დაფრინავს და მიწაზე დაბრუნებას აღარ აპირებს: საქმეში სტოკის „ბრიტანია სთედიუმზე" მეორე ტაიმის მეთერთმეტე წუთზე ჩაერთო, როდესაც ანგარიში 0:0 იყო და ორი საგოლე პასიც შეასრულა. ჯერ **დიმიტარ ბერბატოვს** მიაწოდა ისე, რომ მას ბურთის კარში შესაგდებად ფეხის მიკვრა დასჭირდა, შემდეგ კი **ჯონ ოშის** თავური გაატანინა. აი, მანამდე კი, მიკიბ-მოკიბვის გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ინგლისის ჩემპიონმა „სტოკ სიტის" ვერაფრით აჯობა.

„არსენალი" ლონდონიდან არ გასულა, „კრეივენ კოტეჯზე" „ფულჰემთან" ითამაშა და 1:0 გაიმარჯვა. და, როგორ გგონიათ, ვინ გამოიჩინა ყველაზე მეტად ამ შეხვედრაში თავი? **ანდრეი არშავინმა**, რომლის გამოჯანმრთელებასაც ასე მოუთმენლად ელოდა მწვრთნელი **არსენ ვენგერი**? **რობინ ვან პერსიმ**, რომელმაც შეხვედრის ერთადერთი გოლი გაიტანა? იქნებ, კაპიტანმა **სესკ ფაბრეგასმა**? არც ერთმა, არც მეორემ და არც მესამემ. გამარჯვებულთაგან დაშავებული მეკარის **მანუელ ალმუნიას** შემცვლელმა ახალგაზრდა **ვიტო მანონემ** გაიბრწყინა.

*„ამხელა გუნდის ძირითად შემადგენლობაში ასე კარგად რომ ითამაშებ, რასაკვირველია, ბედნიერი იქნები,* - ხარობდა მატჩის შემდეგ 21 წლის იტალიელი ფეხბურთელი, რომელიც ლონდონელებს ბერგამოს „ატალანტადან" ჰყავთ წამოყვანილი, - *როდესაც შანსი გეძლევა, უნდა გამოიყენო. მთელმა გუნდმა ჩინებულად ვითამაშეთ, ბიჭებმა დიდი ერთსულოვნება გამოვამჟღავნეთ".*

კმაყოფილი გახლდათ თავად არსენ ვენგერიც: *„ჩვენ კიდევ შეგვეძლო გოლის გატანა, მაგრამ თავის მხრივ აშკარა შესაძლებლობები ჰქონდა „ფულჰემსაც". დღეს „არსენალის" კარში გოლი იმიტომ არ გავიდა, რომ მეკარემ გადაგვარჩინა. ვიტო ნიჭიერი ახალგაზრდაა და ეს ნიჭი დღეს სრულად გამოავლინა. მართალია, ჯერ მხოლოდ ერთ თამაშში გაიბრწყინა, მაგრამ ეს შეხვედრა დიდი გამოცდილების მომტანი იქნება".*

ლონდონელთა გოლი კი ფაბრეგასის ჩინებული პასით ვან პერსიმ შეაგდო.

„ტოტენჰემმა" „ბარნლი" გაანადგურა - 5:0. ამ შეხვედრას ვარსკვლავი ან, თუ გნებავთ, უფრო ალმატებით ხარისხშიც ვთქვათ, ვარსკვლავთ ვარსკვლავი ჰყავდა - **რობი კინი**. ლონდონელთა მიერ გატანილი ხუთი გოლიდან ირლანდიელმა თავდამსხმელმა ოთხი შეაგდო. საბრალო **პიტერ კრაუჩი**... გასული კვირის შუაში, სათასო შეხვედრაში სამი გოლის გატანის შემდეგ ეგონა, ძირითად შემადგენლობაში ადგილი დავიბევეო, მაგრამ კინმა ცივი წყალი გადაასხა თავზე.

*„სათასო ჰეთ-თრიკის შემდეგ კრაუჩის სათადარიგოთა სკამზე დასმა ძალიან ძნელი საქმე იყო, მაგრამ ჩემპიონატი დეფოსა და კინის წყვილით დავიწყეთ და გადავწყვიტე არჩეული გზისთვის არ მეღალატა,* - თქვა მატჩის შემდეგ „სფურზის" თავკაცმა **ჰარი რედნაპმა**, - *რობი დიდებული ფეხბურთელია და გარდა იმისა, რომ გოლები გააქვს, იმ იშვიათთაგანია, ვისაც გასახდელში თანაგუნდელებთან სიტყვა ეთქმის, მათი შეგულიანება შეუძლია".*

„ბლექბერნმა" „ასტონ ვილას" თამაშის მიწურულს გატანილი პენალტის წყალობით მოუგო. 1:1 იყო, როდესაც **ფრანკო დი სანტოს** მაკრატელა დარტყმა მცველმა **რიჩარდ დანიმ** ალმართული ხელებით შეაჩერა და ჩინებულ ფორმაში მყოფმა **დევიდ დანმა** პენალტი ზუსტად შეასრულა. გამარჯვებულთა მწვრთნელმა, **სემ ელერდაისმა** არ დამალა, რომ ფრითაც ძალიან კმაყოფილი დარჩებოდა. ასე რომ, გამარჯვებამ ორმაგად გაახარა.

„ბირმინგემისა" და „ბოლტონის" შეხვედრის ბედიც დამთავრების პირას გადაწყდა - კარი სტუმარმა **ჩანგ იანგ ლიმ** მოიჯახუნა. „პორტსმუთი" კი კიდევ უფრო ღრმად ჩავიდა ჯოჯოხეთში - „ევერტონთან" დამარცხების შემდეგ შვიდიდან შვიდი თამაში აქვს წაგებული.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

## მომდევნო ტური

3 ოქტომბერი. ვულვზი-პორტსმუთი, ბარნლი-ბირმინგემი, ჰალი-უიგანი, ბოლტონი-ტოტენჰემი, მანჩესტერ იუნაიტედი-სანდერლენდი. 4 ოქტომბერი. არსენალი-ბლექბერნი, ევერტონი-სტოკ-სიტი, ვესტ ჰემი-ფულჰემი, ჩელსი-ლივერპული. 5 ოქტომბერი. ასტონ ვილა-მანჩესტერ სიტი.

ლაშა დვალიშვილის სტუდია და გელეკომპანია მზე გთავაზობთ ინგლისისა და ესპანეთის საფეხბურთო ჩემპიონატების შეხვედრებს თქვენი შერჩევით
ინტერაქტიური ინგლისი

| | |
|---|---|
| ჰალი-უიგანი | 80 44 01 |
| ბოლტონი-ტოტენჰემი | 80 44 02 |
| არსენალი-ბლექბერნი | 80 44 03 |
| ევერტონი-სტოკი | 80 44 04 |
| ვესტ ჰემი-ფულჰემი | 80 44 05 |
| ჩელსი-ლივერპული | 80 44 06 |

### პორტსმუთი-ევერტონი 0:1

**პორტსმუთი:** ჯეიმსი, ვანდენ ბორი, ქაბული, უილსონი, ბენ-ჰაიმი, მოკოენა (73. იებდა), ბრაუნი (82. კანუ), ბოატენგი, ოჰარა, დინდანე, სმიტი (90. ვებერი).

**ევერტონი:** ჰოვარდი, ჰეიტინგა, იობო, დისტინი, ბეინესი, ოსმანი (75. ჰიბერტი), კეჰილი, ფელანი, პინეაარი (60. ბილიალეტდინოვი), როდუელი, საა (90. ჟო).

**გოლი:** 0:1 საა (42)

**გაფრთხილება:** 0-3; **კუთხური:** 5-6; **ჯარიმა:** 15-17; **თამაშგარე:** 0-3; **კარში დარტყმა:** 19-13 (3-6); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 18 116

### ბლექბერნი-ასტონ ვილა 2:1

**ბლექბერნი:** რობინსონი, იაკობსენი, სამბა (89. სალგადო), ნილსენი, შიმბონდა, დიუფი (71. ენდრიუსი), ნზონზი, გრელა, პედერსენი (56. ემერტონი), დანი, დი სანტო.

**ასტონ ვილა:** ფრიდელი, კუელარი, კოლინზი, დანი, უორნოკი, მილნერი, დელფი (57. ჰესკი), პეტროვი, იანგი, აგბონლაორი, კარეუ.

**გოლები:** 0:1 აგბონლაორი (3), 1:1 სამბა (24), 2:1 დანი (88-პენ)

**გაძევება:** გრელა (69. ბლექბერნი)

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 6-5; **ჯარიმა:** 15-13; **თამაშგარე:** 4-2; **კარში დარტყმა:** 20-8 (4-4); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 25 172

### ტოტენჰემი-ბარნლი 5:0

**ტოტენჰემი:** კუდიჩინი, ჩორლუკა, ჰადლსტოუნი, ბასონგი (88. დოუსონი), ასუ-ეკოტო, ლენონი (85. ბეილი), ჯენასი, პალასიოსი, კრანჩარი, კინი, დეფო (57. კრაუჩი).

**ბარნლი:** იენსენი, მირსი, კერლისლი, ბიკეი, ჯორდანი, ფლეტჩერი (73. ტომპსონი), ელიოტი, გუდიონსონი, ბლეიკი (81. ვასკესი), ალექსანდერი, ნაჯენტი (64. იგლსი).

**გოლები:** 1:0 კინი (18-პენ), 2:0 ჯენასი (33), 3:0 კინი (74), 4:0 კინი (77), 5:0 კინი (87)

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 2-7; **ჯარიმა:** 10-13; **თამაშგარე:** 8-7; **კარში დარტყმა:** 19-12 (10-5); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 35 462

### ბირმინგემი-ბოლტონი 1:2

**ბირმინგემი:** ჰარტი, კარი, ჯონსონი, დენი, ვინიალი (76. ფილიპსი), ლარსონი, ბოიერი, ფერგიუსონი, ფეპეი, ტაინიო (61. ოკონორი), ბენიტესი.

**ბოლტონი:** იაასკელაინენი, რიკეტსი, კეჰილი, ნაითი, სემუელი, დევისი, მუამბა, ტეილორი, გარდნერი (71. მაკკენი), კოენი, კლასნიჩი (54. ლი).

**გოლები:** 0:1 კოენი (10), 1:1 ფილიპსი (84), 1:2 ლი (86)

**გაფრთხილება:** 2-1; **კუთხური:** 8-4; **ჯარიმა:** 10-16; **თამაშგარე:** 4-3; **კარში დარტყმა:** 15-12 (4-4); **ბურთის ფლობა:** 62%-38%.

**მაყურებელი:** 28 671

### უიგანი-ჩელსი 3:1

**უიგანი:** კირკლენდი, მელხიოტი, ბრამბლი, ბოისი, ფიგეროა, ნზოგბია, ტომასი, დიამე, როდალეგა, შარნერი, სკოტლანდი (89. კინგი).

**ჩელსი:** ჩეხი, ბოსინგვა (68. კალუ), კარვალიუ, ტერი, ე. კოული, ლემპარდი, მიკელი (46. ბელეტი), ესიენი, მალუდა (52. ილარიო), დროგბა, ანელკა.

**გოლები:** 1:0 ბრამბლი (16), 1:1 დროგბა (47), 2:1 როდალეგა (53-პენ), 3:1 შარნერი (90)

**გაფრთხილება:** 1-3; **გაძევება:** 0:1; **კუთხური:** 4-7; **ჯარიმა:** 12-15; **თამაშგარე:** 4-3; **კარში დარტყმა:** 16-16 (10-2); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 18 542

### სტოკი-მანჩესტერ იუნ 0:2

**სტოკი:** სიორენსენი, ჰუტი, შოუკროსი, ფაიე, კოლინზი, ლოურენსი (86. პაფი), უილანი, უაიტჰედი (72. ბიტი), დილაპი, კიტსონი (72. თუნჯაი), ეზერინგტონი.

**მანჩესტერ იუნაიტედი:** ფოსტერი, ოში, ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა, ვალენსია, ფლეტჩერი, სქოულზი (81. კარიკი), ნანი (56. გიგზი), ბერბატოვი, რუნი (80. ოუენი).

**გოლები:** 0:1 ბერბატოვი (62), 0:2 ოში (77)

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 2-7; **ჯარიმა:** 12-8; **თამაშგარე:** 1-4; **კარში დარტყმა:** 2-14 (1-3); **ბურთის ფლობა:** 31%-69%.

**მაყურებელი:** 27 500

### ლივერპული-ჰალი 6:1

**ლივერპული:** რეინა, ჯონსონი, შკრტელი, კარაგერი, ინსუა, ბენაიუნი (77. ვორონინი), ჯერარდი (74. მასკერანო), ლუკასი, რიერა, კუიტი, ტორესი (68. ბაბელი).

**ჰალი:** მიჰილი, მაკშეინი, სონკო, კუპერი, დოუსონი, ჯოვანი (83. ალტიდორი), ბოატენგი, კილბეინი (64. მერნი), ჰანტი, გილასი, ვენეგოორი (64. კუზენი).

**გოლები:** 1:0 ტორესი (12), 1:1 ჯოვანი (15), 2:1 ტორესი (28), 3:1 ტორესი (47), 4:1 ჯერარდი (61), 5:1 ბაბელი (88), 6:1 ბაბელი (90)

**გაფრთხილება:** 1-4; **კუთხური:** 13-2; **ჯარიმა:** 11-5; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 25-10 (8-2); **ბურთის ფლობა:** 65%-35%.

**მაყურებელი:** 44 392

### ფულჰემი-არსენალი 0:1

**ფულჰემი:** შვარცერი, პენტსილი, ჰიუზი, ჰენგელანდი, კონჩესკი, დაფი (9. გერა), მერფი, ეტუჰუ (84. გრინინგი), დემპსი, ჯონსონი, სამორა.

**არსენალი:** მანონე, სანია, გალასი, ვერმაელენი, კლიში, ბენდტნერი, დიაბი, ბილონგი, არშავინი (69. როსიცკი), ფაბრეგასი, ვან პერსი (84. ებუ).

**გოლი:** 0:1 ვან პერსი (52)

**გაფრთხილება:** 4-0; **კუთხური:** 4-6; **ჯარიმა:** 15-13; **თამაშგარე:** 4-2; **კარში დარტყმა:** 20-16 (8-4); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 25 700

### სანდერლენდი-ვულვერჰემ. 5:2

**სანდერლენდი:** გორდონი, და სილვა (75. ფერდინანდი), ტერნერი, მენსა, რიჩარდსონი, მოლბრანკი, კანა, კეტერმოლი (46. ჰენდერსონი), რიდი, ბენტი (90. მაკკარტნი), ჯონსი.

**ვულვერჰემპტონი:** ჰენესი, ჰელფორდი, მანსიენი, ბერა, ელოკობი, ედვარდსი, კასტილიო (46. კითლი) ჰენრი, ჯერვისი, დოილი (77. ებანკს-ბლეიკი), კეო (77. მაიერჰოფერი).

**გოლები:** 1:0 ბენტი (8-პენ), 2:0 ჯონსი (48-პენ), 2:1 მენსა (50-საკ. კარში), 2:2 დოილი (55), 3:2 ჯონსი (70), 4:2 ტერნერი (73), 5:2 ბენტი (90)

**გაფრთხილება:** 1-3; **კუთხური:** 6-9; **ჯარიმა:** 20-13; **თამაშგარე:** 2-2 **კარში დარტყმა:** 11-20 (8-5); **ბურთის ფლობა:** 49%-52%.

**მაყურებელი:** 37 566

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერ იუნ. | 7 | 6 | 0 | 1 | 17-6 | 18 |
| 2. ჩელსი | 7 | 6 | 0 | 1 | 16-6 | 18 |
| 3. ლივერპული | 7 | 5 | 0 | 2 | 22-10 | 15 |
| 4. ტოტენჰემი | 7 | 5 | 0 | 2 | 17-10 | 15 |
| 5. არსენალი | 6 | 4 | 0 | 2 | 18-8 | 12 |
| 6. მანჩესტ. სიტი | 5 | 4 | 0 | 1 | 11-6 | 12 |
| 7. ასტონ ვილა | 6 | 4 | 0 | 2 | 9-5 | 12 |
| 8. სანდერლენდი | 7 | 4 | 0 | 3 | 14-11 | 12 |
| 9. ევერტონი | 6 | 3 | 0 | 3 | 8-10 | 9 |
| 10. უიგანი | 7 | 3 | 0 | 4 | 7-13 | 9 |
| 11. ბარნლი | 7 | 3 | 0 | 4 | 5-15 | 9 |
| 12. სტოკი | 7 | 2 | 2 | 3 | 5-9 | 8 |
| 13. ბოლტონი | 6 | 2 | 1 | 3 | 8-9 | 7 |
| 14. ბირმინგემი | 7 | 2 | 1 | 4 | 4-6 | 7 |
| 15. ბლექბერნი | 6 | 2 | 1 | 3 | 6-9 | 7 |
| 16. ვულვზი | 7 | 2 | 1 | 4 | 7-13 | 7 |
| 17. ფულჰემი | 6 | 2 | 0 | 4 | 4-8 | 6 |
| 18. ვესტ ჰემი | 5 | 1 | 1 | 3 | 5-6 | 4 |
| 19. ჰალი | 7 | 1 | 1 | 5 | 6-19 | 4 |
| 20. პორტსმუთი | 7 | 0 | 0 | 7 | 3-13 | 0 |

**ბომბარდირები:** 7 - ბენტი (სანდერლენდი); 6 - რუნი (მანჩესტერ იუნ); 5 - დეფო (ტოტენჰემი), ტორესი (ლივერპული), დროგბა (ჩელსი), ტორესი (ლივერპული); 4 - საა (ევერტონი), ადებაიორი (მანჩესტერ სიტი); 3 - ბელამი (მანჩესტერ სიტი), ბალაკი (ჩელსი), ბენაიუნი (ლივერპული), კუიტი (ლივერპული), ფაბრეგასი (არსენალი), ვერმაელენი (არსენალი), აგბონლაორი (ასტონ ვილა).

## ჩემპიონშიფი

### IX ტური

**სკანთორპი-დონკასტერი 2:2**

გოლები: 0:1 ვუსდი (13-პენ), 0:2 შარპი (61), 1:2 ბერნი (72), 2:2 მაკკენი (90)

**შეფილდ უენ-კარდიფ სიტი 3:1**

გოლები: 1:0 ესაიასი (4), 1:1 უიტინგჰემი (16), 2:1 ვერნი (48), 3:1 კლარკი (80)

**სუონსი-შეფილდ იუნაიტედი 2:1**

გოლები: 1:0 ტრანდლი (52-პენ), 1:1 ქუინი (73), 2:0 ბატლერი (82)

**ვესტ ბრომვიჩი-კრ. პალასი 0:1**

გოლი: 0:1 ნდაიე (63)

**ბლექპული-პიტერბორო 2:0**

გოლები: 1:0 იუელი (3), 2:0 ბუაზა (11)

**ქოვენთრი-მიდლსბრო 2:2**

გოლები: 0:1 ლეჯერი (40), 0:2 უილიამსი (45), 1:2 მორისონი (78), 2:2 ბესტი (90)

**დერბი-ბრისტოლი 1:0**

გოლი: 1:0 ტილი (85)

**ლესტერი-პრესტონი 1:2**

გოლები: 0:1 მელორი (41), 0:2 ჩიპლოუ (66), 1:2 ბერნერი (90)

**ქუინზ პარკი-ბარნსლი 5:2**

გოლები: 1:0 ლეიგერტვუდი (7), 2:0 ბუშაკი (15), 3:0 ბუშაკი (39), 3:1 ფოსტერი (51), 3:2 გრეი (56), 4:2 უოტსონი (67), 5:2 სიმპსონი (79)

**რიდინგი-უოტფორდი 1:1**

გოლები: 1:0 რასიაკი (7), 1:1 გრემი (66)

**იფსვიჩი-ნიუკასლი 0:4**

გოლები: 0:1 ნოლანი (30), 0:2 ნოლანი (32), 0:3 ტეილორი (34), 0:4 ნოლანი (51)

**პლიმუთი- ნოტინგემი 0:1**

გოლი: 0:1 განტერი (45)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნიუკასლი | 9 | 7 | 1 | 1 | 17-4 | 22 |
| 2. ვესტ ბრომ. | 9 | 6 | 2 | 1 | 20-8 | 20 |
| 3. პრესტონი | 9 | 5 | 3 | 1 | 17-10 | 18 |
| 4. მიდლსბრო | 9 | 5 | 2 | 2 | 16-11 | 17 |
| 5. ბლექპული | 9 | 4 | 4 | 1 | 13-7 | 16 |
| 6. შეფილდ იუნ. | 9 | 4 | 3 | 2 | 15-11 | 15 |
| 7. უოტფორდი | 9 | 3 | 5 | 1 | 14-12 | 14 |
| 8. ქუინზ პარკი | 8 | 3 | 4 | 1 | 12-7 | 13 |
| 9. კარდიფი | 9 | 4 | 1 | 4 | 13-10 | 13 |
| 10. ლესტერი | 9 | 3 | 4 | 2 | 11-10 | 13 |
| 11. ბრისტოლი | 9 | 3 | 4 | 2 | 8-9 | 13 |
| 12. შეფილდ უენ. | 9 | 3 | 3 | 3 | 17-13 | 12 |
| 13. ქოვენთრი | 9 | 3 | 3 | 3 | 12-13 | 12 |
| 14. კრ. პალასი | 8 | 3 | 2 | 3 | 7-10 | 11 |
| 15. სკანთროპი | 9 | 3 | 2 | 4 | 13-17 | 11 |
| 16. დერბი | 9 | 3 | 1 | 5 | 11-13 | 10 |
| 17. ნოტინგემი | 8 | 2 | 4 | 3 | 9-11 | 10 |
| 18. სუონსი | 9 | 2 | 4 | 3 | 5-9 | 10 |
| 19. დონკასტერი | 9 | 1 | 6 | 2 | 10-12 | 9 |
| 20. პიტერბორო | 9 | 1 | 4 | 4 | 10-15 | 7 |
| 21. რიდინგი | 9 | 1 | 4 | 4 | 7-12 | 7 |
| 22. ბარნსლი | 9 | 1 | 2 | 6 | 8-19 | 5 |
| 23. იფსვიჩი | 8 | 0 | 4 | 5 | 8-19 | 4 |
| 24. პლიმუთი | 9 | 0 | 2 | 7 | 7-18 | 2 |

**ბომბარდირები:** 7 - ჩოპრა (კარდიფ სიტი), ფრიატი (ლესტერი); 5 - მორისონი (ქოვენთრი), გრემი (უოტფორდი), მეინარდი (ბრისტოლი), თადჯი (შეფილდ უენ), ჯონსონი (მიდლსბრო); 4 - ამეობი (ნიუკასლი), მელორი (პრესტონი), უორდი (შეფილდ იუნ), ჰუპერი (სკანთორპი).

## პირველი ლიგა

### IX ტური

ბრისტოლი-ბრაიტონი 1:1, კერლისლი-საუთჰემპტონი 1:1, ჩარლტონი-ექსეტერი 2:1, ჯილინგემი-ნორვიჩი 1:1, ჰარტლპული-უოლსოლი 3:0, ჰადერსფილდი-სტოკპორტი 0:0, ლეიტონი-მილუოლი 1:0, მილტონი-ლიდსი 0:1, საუთენდი-ოლდჰემი 0:1, სუინდონი-უაიკომბი 1:1, ტრანმერი-კოლჩესტერი 1:1, იეოვილი-ბრენტფორდი 2:0.

## მეორე ლიგა

### IX ტური

ეკრინგტონი-ქრუ ალექსანდრა 5:3, ბურნმუთი-ბარტონი 1:0, ოლდერშოტი-ჩელტენჰემი 4:1, ბრედფორდი-ჩესტერფილდი 3:0, ბერი-ლინკოლნი 2:0, დაგენჰემი-მორკემბი 1:1, გრიმსბი-დარლინგტონი 1:1, მაკლესფილდი-თორგუეი 2:1, ნოთს ქაუნთი-პორტ ვეილი 3:1, როჩდეილი-ჰერეფორდი 4:1, როტერჰემი-ბერნეტი 3:0, შრუზბერი-ნორთემპტონი 3:0.

## კონფერენსი

### XIII ტური

უიმბლდონი-ჰისტონი 4:0, კემბრიჯი-ლუტონი 3:4, ქროული-რაშდენ ენდ დაიმონდსი 2:1, ისტბერნი-ტამუორთი 1:1, ფორესტ გრინი-გრეისი 2:1, გეიტსჰედი-ოქსფორდი 0:1, კიტერინგი-იბსფლიტი 3:0, მენსფილდი-ჰეიეს ენდ იადინგი 3:1, სელისბერი-ბეროუ 3:0, სტივინეიჯი-ელტრინჩემი 1:1, იორკი-კიდერმინსტერი 3:2, რექსჰემი-ჩესტერი 0:0.

მომგებიანი ბილეთი

## აღმოაჩინე 3 ერთნაირი ერთეული






## იპოვე შენი იღბლიანი შვიდიანი






# შეიძინე 1 ოქტომბრიდან და მოიგე 1 000 ლარამდე!

## მიიღეთ მოგებული თანხა სახალხო ბანკის ფილიალებში

GLC შპს საქართველოს ლატარიის კომპანია
Georgian Lottery Company LLC

649 649
www.georgianlottery.com

სახალხო ბანკი
PEOPLE'S BANK




# რას კადრულობ, მანუელ?

## შალკეს მეკარემ დერბის წესი დაარღვია

ოთხი თვის წინ, „ბაიერნის“ ვეტერან ბრაზილიელ ნახევარმცველ **ზე რობერტოს** მიუნხენური კლუბის დატოვება არ უნდოდა. 35 წლის ზეს რეკორდმაისტერთან კონტრაქტი უმთავრდებოდა და მას სიამოვნებით გააგრძელებდა, ოლონდ მხოლოდ ორი წლით. „ბაიერნის“ შეფებმა კი მიიჩნიეს, რომ 35 წლის ფეხბურთელისთვის ორწლიანი კონტრაქტის გაფორმება დიდი რისკი იყო და მხოლოდ ერთწლიანი თანამშრომლობა შესთავაზეს, რაზეც გაბრაზებული ზე რობერტოსგან უარი მიიღეს და ბრაზილიელმა „ჰამბურგს“ მიაშურა - გუნდს, სადაც მისი ასაკისთვის ყურადღება არავის მიუქცევია. და შაბათს, „ბაიერნი“ სწორედ ზე რობერტომ დაამარცხა და დასაჯა.

ჩრდილოსამხრეთულ დუელში, რომელიც „ჰამბურგმა“ 1:0 მოიგო, ზე საუკეთესო ფეხბურთელი გახლდათ. გოლი, რომელიც **მლადენ პეტრიჩმა** მეორე ტაიმში გაიტანა, სწორედ ზე რობერტოს დამსახურებაა, რომელმაც გენიალური პასი მისცა ხორვატ თავდამსხმელს და ამ უკანასკნელს ისღა ევალებოდა, რომ ბურთი ცარიელ კარში შეეგორებინა, რასაც პეტრიჩმა საკმაოდ იოლად გაართვა თავი. პასი კი მართლაც გენიალური იყო, ბრაზილიელმა ნახევარმცველმა ამ გადაცემით „ბაიერნის“ მთელი დაცვა გააბითურა.

*„დღევანდელი გამარჯვება იყო ნიშანი იმისა, რომ ჩვენ ჩემპიონობისთვის ვიბრძვით. „ჰამბურგის“ მიზანი „ვერცხლის სინის“ მოგებაა და ჩვენ ამ მიზნის მიღწევა შეგვიძლია, რაც დღეს ასი პროცენტით დავამტკიცეთ“*, - თქვა მატჩის გმირმა საფინალო სასტვენის შემდეგ.

თამაშის დაწყებამდე 70 წუთით ადრე, „ბაიერნის“ მენეჯერი **ული ჰიონესი** „ჰამბურგის“ გასახდელს ესტუმრა, ზე რობერტოს თბილად მიესალმა და მას საჩუქარიც გადასცა. ბრაზილიელი ამბობს, ჰიონესმა შესანიშნავი საათი მაჩუქა და მადლობა გადამიხადა იმ წლებისთვის, „ბაიერნს“ რომ შევალიეო. ზე კმაყოფილი გახლდათ იმით, რომ ჰიონესმა დააფასა და თქვა, ულისთან ყოველთვის მეგობრული ურთიერთობა მქონდაო. მაგრამ საჩუქარმა ვეტერან ნახევარმცველს მოტივაცია არ დააკარგვინა - ზემ მთელი 90 წუთი დაუღლელად ირბინა და კარიერის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა. რაც შეეხება „ბაიერნს“: ვან გაალმა ამ შეხვედრაში ისევ ახალი ტაქტიკური სქემა აირჩია და თამაში 3-3-3-1-ით დაიწყო, თუმცა მატჩის განმავლობაში სქემა რამდენჯერმე შეცვალა. ჰოლანდიელმა ძირითად შემადგენლობაში პირველად ათამაშა ბრაზილიელი მცველი **ბრენო**, ხოლო **ფილიპ ლამი** კი ხან ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგზე ჰყავდა, ხანაც მარჯვენაზე. მაგრამ ლუისის მცდელობებმა შედეგი არ გამოიღო. „ჰამბურგს“ კი რეკორდმაისტერთან უკვე 6 თამაშია, არ წაუგია (3 ფრე, 3 მოგება). ამავდროულად, ბრუნო ლაბადიას გუნდმა გერმანიის თასზე განცდილი სამარცხვინო მარცხის გამო (ჩრდილოელები „ოსნაბრიუკთან“ გავარდნენ) ფანებს ბოდიში მოუხადა.

*„დღეს ჩვენ დავამტკიცეთ, რომ ნებისმიერის დამარცხება შეგვიძლია,“* - ეს გამარჯვების გოლის ავტორის, პეტრიჩის სიტყვებია. შუა კვირაში „ჰამბურგს“ ევროლიგის თამაში უწევს „თელ ავივთან“, მიუნხენური გრანდი კი ჩემპიონთა ლიგაში ტურინის „იუვენტუსს“ უნდა დაუპირისპირდეს. ფაქტია, ვან გაალის გუნდს ასეთი დაცვით „იუვესთან“ წარმატების მიღწევა გაუჭირდება...

„რურის დიდი დერბი“ დაძაბულობისა და გართულებების გარეშე არასდროს ჩაივლის. გამონაკლისი, არც ამ შაბათის მატჩი გახლდათ. სიტუაცია იმან უფრო გაამწვავა, რომ „შალკემ“ შეძლო და მოსისხლე მტერს მის სტადიონზე მოუგო. საფინალო სასტვენის შემდეგ, გელზენკირხენელთა მეკარე **მანუელ ნოიერმა** წარმატება იმ ტრიბუნის წინ იზეიმა, სადაც „ბორუსიას“ ყველაზე ერთგული ფანები იყრიან ხოლმე თავს, ტრიბუნაზე, სადაც 25 000 დასადგომი ადგილია. ნოიერმა ბევრი ირბინა და მუშტებიც იქნია და როცა ფეხბურთელებთან დაბრუნდა, დორტმუნდელებმა შურისძიება სცადეს, „შალკეს“ მეკარეს უყვიროდნენ, ლანძღავდნენ და ხელს ჰკრავდნენ.

*„მე ნოიერთან მივედი და პირში მივახალე, რომ არასწორად მოიქცა. რომ პროფესიონალი ფეხბურთელები ასე არ იქცევიან. მან კი სახეში იდაყვი მითავაზა. ცხვირი ახლაც მტკივა, ამ მარცხმა კი, ნოიერის საქციელის გამო ორმაგად მატკინა გული. არ მეგონა, თუ ასეთი ჭკუასუსტი პროვოკატორი იყო“*, - განაცხადა მატჩის შემდეგ დორტმუნდელთა ნახევარმცველმა **კევინ გროსკროიტცმა**, რომელსაც „შალკე“ ბავშვობიდან სძულს. გროსკროიტცს ასი პროცენტით ეთანხმება თურქი ნახევარმცველი **ნური შაჰინიც**: *„ნოიერი ძალიან ცუდად მოიქცა. მე დავინახე, როგორ ჩაარტყა განგებ კევინს და თუ ამბობს, რომ ეს არ უქნია, სამარცხვინოდ ცრუობს.“* თვითონ ნოიერი კი იდაყვის „უშნოდ“ მოქნევას, რა თქმა უნდა, უარყოფს და აცხადებს, იმედი მაქვს, რომ გროსკროიტცს ყველა კბილი ადგილზე აქვს, მე მას ნამდვილად არ შევხებივარო.

*„დორტმუნდის ფანები მთელი მატჩის განმავლობაში მაგინებდნენ და სხვადასხვა საგანს მესროდნენ. რა გასაკვირია, რომ წარმატება ძალიან გამიხარდა და ემოციურად ვიზეიმე. ამაში ცუდი არაფერია“*, - აცხადებს „შალკეს“ კარის დარაჯი. მაგრამ როგორც ჩანს, მისი საქციელი თვით „შალკეს“ თავკაც **ფელიქს მაგათსაც** ძალიან არ მოეწონა, რადგან თამაშის შემდეგ ფელიქსმა მანუელი სასტიკად დატუქსა, ჟურნალისტებთან საუბარში კი ამ საკითხზე ასეთი განცხადება გააკეთა: *„ჩემს ფეხბურთელებს ჩვენს ფანებთან უნდა ეზეიმათ. ეს დერბის წესია, რომლის დარღვევა არ შეიძლება. გოლის დროსაც, ჩვენი ქომაგებისკენ კი არ წავიდნენ, ადგილობრივ ფანებთან ახლოს ხტოდნენ. ასე არ შეიძლება“*.

რაც შეეხება მატჩს: „შალკეს“ გამარჯვება დამსახურებულია, რადგან გელზენკირხენელებმა მასპინძლებს აჯობეს. „დორტმუნდი“ ერთობ ქაოსურად თამაშობდა და **იურგენ კლოპი** შეგირდები ხშირად ერთმანეთსაც კი ხელს უშლიდნენ შეტევების დროს. მართალია, „ბორუსიას“ მონდომება არ აკლდა, მაგრამ ფაქტია, რომ დიდი დერბისთვის თავისი გუნდი მაგათმა გაცილებით უკეთ მოამზადა, ვიდრე კლოპმა, თორემ „დესპოტ ფელიქსს“ ნამდვილად არ ჰყავს „კლოპოზე“ უკეთესი ფეხბურთელები. საგოლე შეტევაში ლომის წილი დაიდო **ლევან ყენიამ** და საერთოდ, მან საკმაოდ კარგად ითამაშა, რაზეც შეფასებაც მეტყველებს.

დერბი საფინალო სასტვენის შემდეგ უკვე დორტმუნდის ქუჩებში გაგრძელდა. შეტაკებებისას 43-მა გულშემატკივარმა სხეულის დაზიანებები მიიღო. დაშავდა 2 პოლიციელიც...

„კიოლნს“ რაინის დერბიში „ლევერკუზენისთვის“ 12 წელია, არ მოუგია და ვერც ახლა მოუგო. „ბაიერს“ მოსისხლე მტერთან ამჯერად კაპიტანმა **სიმონ როლფესმა** მოაგებინა. „თხების“ პორტუგალიელი ნახევარმცველი **მანიშე** კი ძალიან ცუდად მოიქცა, რისთვისაც მოედანი ნაადრევად დაატოვებინეს. პორტუგალიელმა ჯერ **რენე ადლერს** ჩაარტყა, მერე კი **არტურო ვიდალს**! რაც მთავარია, გამარჯვება **იუპ ჰაინკესის** შეგირდებს დარჩათ, ასე რომ, „ბაიერმა“ სატურნირო ცხრილში წამყვანი პოზიცია შეინარჩუნა.

ფრანკფურტის „აინტრახტმა“ შინ „შტუტგარტთან“ 0:3 წააგო და წაუგებელი სერია შეწყვიტა. **მიხაელ სკიბეს** ბიჭებს ამ ტურამდე მარცხი არ ჰქონდათ განცდილი და მაინცდამაინც კრიზისში მყოფ „შტუტგარტთან“ წააგეს, თანაც დიდი ანგარიშით. შვაბთა თავკაცმა **მარკუს ბაბელმა** რუსი თავდამსხმელი **პაველ პოგრებნიაკი** ძირითად შემადგენლობაში აღარ გაამწესა და მის ნაცვლად ახალგაზრდა **შიბერი** ათამაშა, რომელმაც ბაბელის იმედები გაამართლა - დუბლი შეასრულა.

ბრემენის „ვერდერმა“ კი „მაინცის“ პარპაშს მოუღო ბოლო. „მუსიკოსებმა“ **თომას ტუხელის** შეგირდებს 3:0 მოუგეს და მეცხრე ციდან მიწაზე დააბრუნეს. ბრემენელთაგან დუბლი შეასრულა **კლაუდიო პისარომ**. წარმატებულ გზაზე დაბრუნდა „ვოლფსბურგიც“, თუმცა გერმანიის ჩემპიონს აშკარად ეტყობა, რომ დაცვაში არასტაბილურია. „მგლებმა“ „ჰანოვერს“ კი მოუგეს, მაგრამ 2 გოლი გაუშვეს გუნდისგან, რომელსაც მანამდე 6 ტურში მხოლოდ 4 გოლი ჰქონდა გატანილი.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

### მომდევნო ტური

2 ოქტომბერი. შალკე-აინტრახტი. 3 ოქტომბერი. ბაიერნი-კიოლნი, ლევერკუზენი-ნიურნბერგი, ჰანოვერი-ფრაიბურგი, ბოხუმი-ვოლფსბურგი, მაინცი-ჰოფენჰაიმი, ბორუსია (მ)-ბორუსია (დ). 4 ოქტომბერი. შტუტგარტი-ვერდერი, ჰერტა-ჰამბურგი.

### ნიურნბერგი-ბოხუმი 0:1

**ნიურნბერგი (4-1-3-2)**: რ. შეფერი 3.5 - დიკმაიერი 4, ა. ვოლფი 4 (26. მარო 4), პინოლა 4, იუდტი 5 - ნორდტვეიტი 4 (73. ფრანტცი) - კლუგე 5 (61. რისსე 4.5), მინტალი 5, გიუნდოგანი 4.5 - ჩუპო-მოტინგი 4, ბუნიაკუ 5.

**ბოხუმი (4-4-2)**: ლუთე 3 - პფერტცელი 4, მალტრიტცი 2.5, იაია 3, კ. ფუხსი 3.5 - ფრაიერი 3, აზაუაგი 4, იმჰოფი 3 (73. დაბროვსკი), გროტე 4 (59. ონო 3.5) - ეპალე 3, კლიმოვიჩი 3 (92. ჰაშემიანი).

**გოლი**: 0:1 კლიმოვიჩი (7)

**გაფრთხილება**: 1-2; **დარტყმა**: 15(2)-11(3); **ჯარიმა**: 14-20; **კუთხური**: 8-5; **ბურთის ფლობა**: 66%-34%.

**მაყურებელი**: 35 376

### ჰამბურგი-ბაიერნი 1:0

**ჰამბურგი (4-4-2)**: ფ. როსტი 2.5 - დემელი 4.5 (46. მ. ბერგი 5), როზენალი 3, მატიისენი 2.5, ჟ. ბოატენგი 2 - იაროლიმი 2.5, ზე რობერტო 2 - ტროხოვსკი 4 (91. ტეშე), აოგო 4 - პეტრიჩი 2, ელია 3.

**ბაიერნი (3-3-3-1)**: ბუტი 2.5 - ბრენო 4.5, ვან ბუიტენი 2, ბადშტუბერი 3.5 - ლამი 4, ტიმოშჩუკი 4 (63. ოტლი 4.5), შვაინშტაიგერი 4 (81. კლოზე) - რობენი 3.5, თ. მიულერი 4.5, რიბერი 4 - ოლიჩი 4.5 (66. გომესი 5).

**გოლი**: 1:0 პეტრიჩი (72)

**გაფრთხილება**: 2-3; **დარტყმა**: 14(4)-9(5); **ჯარიმა**: 19-19; **კუთხური**: 4-7; **ბურთის ფლობა**: 45%-55%.

**მაყურებელი**: 57 000

### ვერდერი-მაინცი 3:0

**ვერდერი (4-1-2-1-2)**: ვიზე 3.5 - კ. ფრიტცი 4 (27. პასანენი 3), მერტეზაკერი 4, ნალდო 2.5, ბიონიში 3.5 - ფრინგსი 3 (83. ნიმაიერი) - ბარგფრედე 2.5, ბოროვსკი 4 (80. იოზილი) - ჰანტი 3 - მარინი 3, პისარო 2.

**მაინცი (4-4-1-1)**: ჰ. მიულერი 3.5 - ფ. ჰელერი 4.5, ბუნგერტი 4, ნოვესკი 3.5, ლიოვი 4.5 - ჰოოგლანდი (5. პეკოვიჩი 4.5), ბ. სვენსონი 5 (77. გუნკელი) - შიურლე 5, სოტო 4 (68. ჰიკა 4.5) - ივანშიტცი 4.5 - ბონსე 4.

**გოლები**: 1:0 ჰანტი (38), 2:0 პისარო (71), 3:0 პისარო (82)

**გაფრთხილება**: 0-2; **დარტყმა**: 16(7)-5(2); **ჯარიმა**: 8-18; **კუთხური**: 9-2; **ბურთის ფლობა**: 62%-38%.

**მაყურებელი**: 32 875

### კიოლნი-ლევერკუზენი 0:1

**კიოლნი (4-4-2)**: მონდრაგონი 3 - შორხი 5, ჟერომელი 4, მოჰამადი 4.5, ბრეჩკო 3.5 - პეტიტი 4.5, მანიშე 5.5 - ფრაისი 5 (72. საწუ), ერეთი 4.5 (83. ცილინსკი) - იშიაკუ 4.5 (77. ნოვაკოვიჩი), პოდოლსკი 4.5.

**ლევერკუზენი (4-4-2)**: რ. ადლერი 3.5 - შვააბი 4, მ. ფრიდრიხი 3.5, ჰიიპია 3, კასტრო 3 - ვიდალი 3, როლფესი 2.5 - რენატო 4 (75. კროოსი), ბარნეტა 3.5 - კისლინგი 4.5 (91. რაინარტცი), დერდიოკი 5 (72. გეკასი).

**გოლი**: 0:1 როლფესი (82)

**გაძევება**: მანიშე (86. კიოლნი)

**გაფრთხილება**: 4-2; **დარტყმა**: 7(1)-13(3); **ჯარიმა**: 18-23; **კუთხური**: 1-10; **ბურთის ფლობა**: 44%-56%.

**მაყურებელი**: 49 300

### ბორუსია (დ)-შალკე 0:1

**ბორუსია დ. (4-1-2-1-2)**: ვაიდენფელერი 2.5 - ოვომოიელა 4, სუბოტიჩი 4.5, სანტანა 3.5, შმელცერი 4.5 - ჰუმელსი 4 (62. გროსკროიტცი 4) - ტინგა 5, ნ. შაჰინი 4.5 - ჰაინალი 4 (75. რანგელოვი) - ზიდანი 3.5, ბარიოსი 3.5 (62. ვალდესი 4).

**შალკე (4-1-2-1-2)**: ნოიერი 3 - ჰიოვედესი 3.5, სამბრანო 3.5, ბორდონი 2.5, ვესტერმანი 3 - მორიტცი 3 - რაფინია 4 (46. პლიციკასი 4), შმიტცი 3.5 - ყენია 3.5 (58. სანჩესი 3.5) - ფარფანი 2.5, ჰალილ ალთინთოფი 3 (73. ასამოა).

**გოლი**: 0:1 ფარფანი (31)

**გაფრთხილება**: 0-1; **დარტყმა**: 16(3)-12 5(); **ჯარიმა**: 13-13; **კუთხური**: 5-3; **ბურთის ფლობა**: 58%-42%.

**მაყურებელი**: 80 552

### ვოლფსბურგი-ჰანოვერი 4:2

**ვოლფსბურგი (4-1-2-1-2)**: ლენცი 3 - რიტერი 4, მადლუნგი 4.5, ბარძალი 4.5, მ. შეფერი 4.5 - ჟოსუე 4 - ჰასებე 3, გენტნერი 2 (83. ზიანი) - მისიმოვიჩი 2.5 (90. რ. კოშტა) - გრაფიტე 3.5 (67. პეკარიკი 3.5), ჯეკო 2.

**ჰანოვერი (4-1-2-1-2)**: ფრომლოვიტცი 4 - ჩერუნდოლო 3.5, ჰაგი 5.5, კ. შულცი 5 (53. ბალოგუნი 3), რაუში 4 (46. როზენტალი 4) - ბალიტში 3 - ჩაჰედი 4.5 (76. რამა), ჯაპკა 2.5 - კრჟინოვეკი 4 - შტაინერი 4, ია კონანი 3.5.

**გოლები**: 1:0 მისიმოვიჩი (8), 1:1 ბალიტში (28), 2:1 გენტნერი (45), 3:1 ჰასებე (48), 3:2 მადლუნგი (50-საკ. კარში), 4:2 ჯეკო (62)

**გაფრთხილება**: 2-2; **დარტყმა**: 11(6)-17(7); **ჯარიმა**: 16-15; **კუთხური**: 7-5; **ბურთის ფლობა**: 47%-53%.

**მაყურებელი**: 30 000

### აინტრახტი-შტუტგარტი 0:3

**აინტრახტი (4-1-2-1-2)**: ნიკოლოვი 4.5 - ფრანცი 3.5, კრისი 4, რუსი 5.5, შპიხერი 4 - შვეგლერი 5 - ტებერი 5 (81. შტაინჰიოფერი), ბაირამოვიჩი 4.5 - კაიო 5 (57. ფენინი 4.5) - ლიბეროპულოსი 4 (39. კიოლერი 4), ა. მაიერი 4.

**შტუტგარტი (4-4-2)**: ლემანი 3.5 - ჩელოცი 3.5, ტასკი 2.5, დელპიერი 3, ბოკა 3 - ხედირა 2.5 (78. კუზმანოვიჩი), ჰიტცლშპერგერი 2 - ჰილბერტი 3.5 (66. ვალხი 4), გებჰარდტი 3 - მარიკა 3.5, შიბერი 2 (84. კაკაუ).

**გოლები**: 0:1 შიბერი (17), 0:2 შიბერი (31), 0:3 ჰიტცლშპერგერი (54)

**გაძევება**: რუსი (33. აინტრახტი)

**გაფრთხილება**: 1-0; **დარტყმა**: 10(4)-20(10); **ჯარიმა**: 13-16; **კუთხური**: 3-5; **ბურთის ფლობა**: 55%-45%.

**მაყურებელი**: 49 750

### ფრაიბურგი-ბორუსია (მ) 3:0

**ფრაიბურგი (4-4-2)**: პუპლინი - დუ რი ჩა, კრმასი, ბასტიანსი, ბუტშერი - ბანოვიჩი, ფლუმი - აბდესადკი (86. მუიჟა), მაკიადი (82. გლოკნერი) - ბეხმანი (69. ი. შუსტერი), იდრისუ.

**ბორუსია მ (4-1-4-1)**: ბეილი - სტალტერი, ბრაუერსი, დანტე, ლეველსი - მეეუვისი - მატმური (79. ლამიდი), ტ. მარქსი (61. ფრენდი), არანგო, როისი (46. ბრედლი) - ბობადილია.

**გოლები**: 1:0 იდრისუ (54), 2:0 აბდესადკი (72), 3:0 ი. შუსტერი (80)

**გაფრთხილება**: 0-1; **დარტყმა**: 14(8)-11(5); **ჯარიმა**: 17-21; **კუთხური**: 5-2; **ბურთის ფლობა**: 55%-45%.

**მაყურებელი**: 24 000

### ჰოფენჰაიმი-ჰერტა 5:1

**ჰოფენჰაიმი (4-3-3)**: ჰილდებრანდი - ბეკი, შიმუნიჩი (46. ჰ. ნილსონი), კომპერი, აიხნერი - კარლოს ედუარდო (74. ძუკულინი), ლუის გუსტავო, სალიჰოვიჩი - ობასი, იბიშევიჩი (67. მაიკოსუელი), ბა.

**ჰერტა (4-4-2)**: ტ. ოხსი - იანკერი (46. შტაინი), ა. ფრიდრიხი, ბენგტსსონი, პეჩინოვიჩი - პიეჩეკი, დარდაი, ჰარტმანი, ნიკუ - რაფაელი, რამოსი.

**გოლები**: 1:0 იბიშევიჩი (1), 2:0 იბიშევიჩი (4), 3:0 იბიშევიჩი (21), 3:1 რაფაელი (45+1), 4:1 ობასი (58), 5:1 კარლოს ედუარდო (62-პენ)

**გაფრთხილება**: 2-1; **დარტყმა**: 16(6)-7(3); **ჯარიმა**: 19-13; **კუთხური**: 8-1; **ბურთის ფლობა**: 48%-52%.

**მაყურებელი**: 29 600

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰამბურგი | 7 | 5 | 2 | 0 | 17-7 | 17 |
| 2. ლევერკუზენი | 7 | 5 | 2 | 0 | 14-5 | 17 |
| 3. ჰოფენჰაიმი | 7 | 4 | 2 | 1 | 14-5 | 14 |
| 4. შალკე | 7 | 4 | 1 | 2 | 9-5 | 13 |
| 5. ვერდერი | 7 | 3 | 3 | 1 | 12-6 | 12 |
| 6. ვოლფსბურგი | 7 | 4 | 0 | 3 | 15-14 | 12 |
| 7. ბაიერნი | 7 | 3 | 2 | 2 | 13-7 | 11 |
| 8. მაინცი | 7 | 3 | 2 | 2 | 10-12 | 11 |
| 9. აინტრახტი | 7 | 2 | 4 | 1 | 8-8 | 10 |
| 10. ფრაიბურგი | 7 | 3 | 1 | 3 | 11-12 | 10 |
| 11. შტუტგარტი | 7 | 2 | 2 | 3 | 9-10 | 8 |
| 12. ბორუსია (მ) | 7 | 2 | 1 | 4 | 9-16 | 7 |
| 13. ბოხუმი | 7 | 2 | 1 | 4 | 8-14 | 7 |
| 14. ჰანოვერი | 7 | 1 | 3 | 3 | 6-8 | 6 |
| 15. ბორუსია (დ) | 7 | 1 | 3 | 3 | 6-13 | 6 |
| 16. ნიურნბერგი | 7 | 1 | 2 | 4 | 4-8 | 5 |
| 17. კიოლნი | 7 | 1 | 1 | 5 | 5-10 | 4 |
| 18. ჰერტა | 7 | 1 | 0 | 6 | 1-17 | 3 |

**ბომბარდირები**: 5 - კისლინგი (ლევერკუზენი); 4 - ჯეკო (ვოლფსბურგი), გერერო (ჰამბურგი), იდრისუ (ფრაიბურგი), მისიმოვიჩი (ვოლფსბურგი), ობასი (ჰოფენჰაიმი), პისარო (ვერდერი).

### II ბუნდესლიგა

#### VII ტური

**კოტბუსი-ფრანკფურტი** 3:0

გოლები: 1:0 სოკოლენკო (21), 2:0 იულა (45), 3:0 რადუ (65)

**ობერჰაუზენი-დუისბურგი** 1:0

გოლი: 1:0 შმიდტგალი (6)

**უნიონი-ალენი** 2:1

გოლები: 0:1 რაიხვაინი (5), 1:1 მატუშკა (24), 2:1 ბენიამინა (42)

**არმინია-ზტ. პაული** 1:0

გოლი: 1:0 ფედერიკო (3)

**კაიზერსლაუტერნი-კარლსრუე** 2:0

გოლები: 1:0 როდნი (42), 2:0 ბ. შულცი (53-პენ)

**აუგსბურგი-კობლენცი** 1:1

გოლები: 0:1 კუქი (11), 1:1 თურკი (68)

**მიუნხენი-პადერბორნი** 0:0

**ჰანზა-ფიურტი** 4:0

გოლები: 1:0 იენიკე (45), 2:0 ლანგენი (51), 3:0 ბარტელსი (65), 4:0 შრიოკი (74-საკ. კარში)

**ფორტუნა-ალემანია** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კაიზერსლაუტ. | 7 | 5 | 2 | 0 | 12-4 | 17 |
| 2. უნიონი | 7 | 5 | 2 | 0 | 14-7 | 17 |
| 3. არმინია | 7 | 5 | 0 | 2 | 16-8 | 15 |
| 4. ზტ. პაული | 7 | 4 | 1 | 2 | 17-8 | 13 |
| 5. ობერჰაუზენი | 7 | 4 | 1 | 2 | 8-9 | 13 |
| 6. ფორტუნა | 6 | 3 | 1 | 2 | 9-6 | 10 |
| 7. აუგსბურგი | 7 | 2 | 4 | 1 | 13-11 | 10 |
| 8. კოტბუსი | 7 | 3 | 1 | 3 | 14-15 | 10 |
| 9. კარლსრუე | 7 | 3 | 1 | 3 | 10-12 | 10 |
| 10. პადერბორნი | 7 | 2 | 3 | 2 | 11-9 | 9 |
| 11. ფიურტი | 7 | 3 | 0 | 4 | 15-14 | 9 |
| 12. ჰანზა | 7 | 3 | 0 | 4 | 11-13 | 9 |
| 13. ალემანია | 6 | 2 | 2 | 2 | 7-8 | 8 |
| 14. მიუნხენი | 7 | 2 | 2 | 3 | 7-8 | 8 |
| 15. დუისბურგი | 7 | 2 | 2 | 3 | 10-13 | 8 |
| 16. კობლენცი | 7 | 1 | 2 | 4 | 6-11 | 5 |
| 17. ალენი | 7 | 0 | 1 | 6 | 3-13 | 1 |
| 18. ფრანკფურტი | 7 | 0 | 1 | 6 | 3-17 | 1 |

**ბომბარდირები**: 7 - ფედერიკო (არმინია); 6 - თურკი (აუგსბურგი); 5 - კუქი (კობლენცი), ნიოთე (ფიურტი), შაო (კოტბუსი), ს. ვაგნერი (დუისბურგი).

### III ბუნდესლიგა

რეგენსბურგი-ინგოლშტადტი 0:2, დრეზდენი-ბრაუნშვაიგი 1:1, კარლ ცაისი-ვერდერი II 2:2, უნტერჰახინგი-ოფენბახი 1:2, ზანდჰაუზენი-ერფურტი 1:2, ვეენი-ოსნაბრიუკი 4:0, შტუტგარტი II-ბორუსია (დ) II 2:1, ჰაიდენჰაიმი-ბურგჰაუზენი 6:1, ბაიერნი II-აუე 2:3, ვუპერტალი-კილი 5:3.

**ბერძნულ-რომაული ჭიდაობა**

მსოფლიოს ჩემპიონატი

# ვერცხლი და ცრემლები

ცრემლიანი აღმოჩნდა დანიაში დასრულებული ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატი ჩვენთვის - 66 კილოგრამ წონით კატეგორიაში დაჯილდოების ცერემონიალზე კვარცხლბეკის მეორე საფეხურზე მდგარი **მანუჩარ ცხადაია** ცხარე ცრემლებით მისტიროდა მსაჯებისგან წართმეულ ოქროს მედალს. მისი განბილება იმდენად დიდი იყო, მთელი ცერემონიალის განმავლობაში ნერვები ვერაფრით მოთოკა და გულამომჯდარი ტიროდა. ასეთი განწყობით შეხვდა ხობელი ფალავანი კარიერაში ჯერჯერობით ყველაზე დიდ წარმატებას. ამის მიუხედავად, ეყო ვაჟკაცობა და აზერბაიჯანელ **ფარიდ მანსუროვს** გამარჯვება მიულოცა...

ცხადაიას ნაგება და ცრემლები ორმაგად დასანანია, მაგრამ მადლობა ღმერთს, უარესს გადავრჩით - **მანუჩარ კვირკველიას** (74), **ბადრი ხასაიას** (84) და **რამაზ ნოზაძის** (96) უსახელოდ გავარდნის შემდეგ რეალურად იყო საშიშროება, საერთოდ უმედლოდ დავრჩენილიყავით, მაგრამ სრული კრახისგან ბოლო დღემ და ცხადაიამ გვიხსნეს.

მანუჩარ ცხადაიამ მთელი ტურნირი ისე ჩაატარა, დამატებითი დრო არც ერთ შეხვედრაში არ დასჭირვებია. ნინასნარ ეტაპზე მან ჩეხი **ტომაშ სობეცკი**, უნგრელი **ტამაშ ლორინცი** და ფინელი **იუჰა ჰილტუნენი** დაამარცხა, რითაც ნახევარფინალში გავიდა. ამ ეტაპიდან იმ მეტოქეებს შეხვდა, რომლებთანაც ევროპირველობის დასკვნით ნაწილში იჭიდავა, ოღონდ ამჯერად შეხვედრები განსხვავებული შედეგით დაასრულა. როგორც ევროპაზე, ნახევარფინალში ახლაც რუსეთის სახელით მოასპარეზე თანამემამულე **ამბაკო ვაჩაძეს** შეხვდა. მაშინ თუ ვაჩაძემ გაიმარჯვა და მერე ევროპის ჩემპიონიც გახდა, ამჯერად ცხადაიამ დამაჯერებელი რევანში აიღო. ფინალში ჩვენებურს აზერბაიჯანელი მსოფლიოს მოქმედი და ოლიმპიური ჩემპიონი ფარიდ მანსუროვი ხვდებოდა, ვისაც ვილნიუსში, ევროპის ჩემპიონატზე ბრინჯაოსთვის ბრძოლაში ბდლვირი ადინა. ძალიან დიდი იყო იმედი, ახლაც ასე მოხდებოდა და იქნებ კიდეც მომხდარიყო, მსაჯთა საეჭვო გადაწყვეტილება რომ არა. მანსუროვი ძალზე გამოცდილი ფალავანია და ის მანუჩარ კვირკველიასთვისაც უხერხული მეტოქე იყო, როცა ჩვენი ოლიმპიური ჩემპიონი ამ წონაში გამოდიოდა. ამდენად, მასთან ჭიდაობა არ იქნებოდა იოლი, თუმცა აშკარაა - მან ჩოქბჯენში ჭიდაობით მოიგო. როგორ და რამდენად სამართლიანად, ამაზე კამათი კიდევ დიდხანს გაგრძელდება, მაგრამ ყველა ქულა ლეიბიდან მიითვალა. რატომღაც ცხადაიამ ამჯერად გასაღები ვერ მოუძებნა. ალბათ, იმიტომაც, რომ ევროპირველობის შემდეგ კარგად დაუმუშავებია ცხადაიას საწინააღმდეგო სტილი. უეჭველია, ამაში ძალიან ნაადგებოდა **ოთარ ტატიშვილის** რჩევებიც - აზერბაიჯანელთა ახლანდელი თავკაცი ხომ ჩინებულად იცნობს ჩვენი ნაკრების ყველა წევრს. სამწუხაროდ, ცხადაიამ პირველ პერიოდში ვერც თავისი შანსი გამოიყენა, როცა მეტოქე ჩოქბჯენიდან ვერ დაატრიალა და მეორეში ვერც თვითონ გაექცა... არადა, რა ცოტა დააკლდა აქამდე. პრინციპში, კიდეც გაექცა, მაგრამ... ალბათ, ამ ეპიზოდზე კიდევ დიდხანს იკამათებენ, მაგრამ შედეგს არავინ შეცვლის. ამ ვითარებაში თავს იმით თუ დავიმშვიდებთ, რომ ის მომავალშიც არაერთხელ გაგვახარებს წარმატებებით. უბრალოდ, გულსატკენია ასეთი არასასურველი დასასრული, თორემ სადებიუტო ტურნირებზე ვერცხლისა და ბრინჯაოს მოპოვებაზე ბევრმა იქნებ წინასწარ მოაწეროს ხელი.

ცხადაიასა და მანსუროვის ფინალი მწვრთნელების დუელითაც საინტერესო იყო. მსაჯებს თავი დავანებოთ და ტატიშვილმა ორჯერ პირადი დუელიც მოუგო **ბეგი დარჩიას** (60 და 66 კილოგრამ წონით კატეგორიებში) და საერთო შედეგებითაც აჯობა - ბაქოში 1 ოქროთი და 2 ბრინჯაოთი ბრუნდება.

სამწუხაროდ, თავს ვერაფრით ვინუგეშებთ ჩვენი ნაკრების სხვა წევრების, განსაკუთრებით კი ლიდერების გამოსვლების გამო. შედარებით ახალი კადრებიდან ბორჯომელ **რევაზ ლაშხს** (60) თუ გამოვარჩევთ - მსოფლიოს ჩემპიონატის დებიუტანტმა სამი შეხვედრა მოიგო და აზერბაიჯანელ ოლიმპიური ვიცე-ჩემპიონთან, ამ პირველობის ბრინჯაოს პრიზიორ **ვიტალი რახიმოვთან** დამარცხდა. ნაკრების უმთავრესი ლიდერები - კვირკველია და ნოზაძე ძალზე ადრე დაემშვიდობნენ ჩემპიონატს. კვირკველია სულაც პირველ წრეში დამარცხდა იაპონელ **ცუკასა ცურუმაკისთან**, ჩერნოგორიელ **ვლადიმირ რადოსავლიევიჩის** მძლეველ ნოზაძეს კი ბედისწერად კვლავ რუსი ოლიმპიური ჩემპიონი **ასლანბეკ ხუშტოვი** ერგო. გურამ ფერსელიძემ დანიაში ერთადერთი შეხვედრა მოიგო - ტაჯიკ **მურადიან ტიუჩიევთან**, გერმანელ **ნიკო შმიდტთან** კი დამარცხდა.

ლიდერთაგან მხოლოდ ხასაიამ გაიბრძოლა, ბრინჯაომდეც მივიდა, მაგრამ საბოლოოდ მაინც უმედლოდ, მეხუთეზე დარჩა. შვედ **ფისნიკ ზაჰიტისთან**, ბულგარელ **ხრისტო მარინოვთან** და ავსტრიელ **ამერ ჰრუსტანოვიჩთან** მოგებების შემდეგ მოულოდნელად ფრანგ **მელონინ ნოუმონვისთან** წააგო! მართალია, ფრანგი ევროპის ორგზის ბრინჯაოსანია, ახლა კი მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონიც გახდა, მაგრამ ხასაია მასზე ძლიერი გვგონია და ეს წაგება ამიტომაც გვემცხეთა. ჩვენებური დამამშვიდებელში უკრაინელ **ბოლატ აბდულაევს** კი გასცდა და ბრინჯაოსთვის ბრძოლის უფლებაც მოიპოვა, მაგრამ ირანელ **ჰაბიბოლა აკლაგისთან** ვერაფერს გახდა.

ასე დამთავრდა ეს მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელმაც, მთლიანობაში, ძალზე არასასურველი სურათი დაგვიხატა და ძალზე ბევრი საგანგაშო ტენდენცია წარმოაჩინა. ვფიქრობთ, ორივე ნაკრებს, მთელ ფედერაციას მდგომარეობის გამოსასწორებლად სასწრაფო რეფორმები სჭირდება, თორემ ასე უსუსური გუნდები კარგა ხანია, არ გვყოლია. ვიცი, ამაზე მწვრთნელები შემედავებიან, მაგრამ მიმაჩნია, რომ ეს ყველაფერი დისციპლინის შესუსტების შედეგია. ალბათ, იმასაც მეტყვიან, რომ ნაოლიმპიადევს ჩავარდნა ყველა გუნდს ემართება, მაგრამ არც მთლად ასეა საქმე და თუ ლიდერი ისვენებს ან პირდაპირ ვთქვათ - ზარმაცობს, მისმა შემცვლელმა ერთი წრე მაინც ვერ უნდა გაიაროს? თუმცა შემცვლელებს ვინ დაეძებს, როცა ეს ლიდერებსაც კი უჭირდათ. ან, ოლიმპიადა მარტო ჩვენთვის ხომ არ იყო და აგერ, რუსეთის ნაკრების წევრი **ისლამ-ბეკ ალბიევი** ნახეთ - 21 წლის ინგუშმა შარშან ოლიმპიადა მოიგო, წლეულს - ჯერ ევროპის ჩემპიონატი, მერე მსოფლიოს თასი, ახლა კი მსოფლიოს ჩემპიონიც გახდა. ჩვენდა სამწუხაროდ, უცხოური გუნდებისგან მსგავსი მაგალითების მოყვანა ბლომად შეიძლება, ჩვენს გუნდებზე კი მხოლოდ საწინააღმდეგოს თუ ვიტყვით.

**კვარცხლბეკი**

60 კგ - 1. **ისლამ-ბეკ ალბიევი** (რუსეთი); 2. **დილშოდ არიფოვი** (უზბეკეთი); 3. **ვიტალი რახიმოვი** (აზერბაიჯანი); 3. **ნურბაკიტ ტენგიზბაიევი** (ყაზახეთი); 7. **რევაზ ლაშხი** (საქართველო).

66 კგ - 1. **ფარიდ მანსუროვი** (აზერბაიჯანი); 2. **მანუჩარ ცხადაია** (საქართველო); 3. **ამბაკო ვაჩაძე** (რუსეთი); 3. **პედრო ისააკ მულენი** (კუბა).

74 კგ - 1. **სელჩუკ ჯები** (თურქეთი); 2. **მარკ ოვერგაარდ მადსენი** (დანია); 3. **ალექსანდრ კიკინოვი** (ბელარუსი); 3. **ფარშად ალიზადე** (ირანი); 21. **მანუჩარ კვირკველია** (საქართველო).

84 კგ - 1. **ნაზმი ავლუჯა** (თურქეთი); 2. **მელონინ ნოუმონვი** (საფრანგეთი); 3. **ჰაბიბოლა აკლაგი** (ირანი); 3. **პაბლო სორეი** (კუბა). 5. **ბადრი ხასაია** (საქართველო).

96 კგ - 1. **ბალაშ კიში** (უნგრეთი); 2. **ჯიმი ლიდბერგი** (შვედეთი); 3. **ამირ ალიაკბარი** (ირანი); 3. **ასლანბეკ ხუშტოვი** (რუსეთი). 13. **რამაზ ნოზაძე** (საქართველო).

120 კგ - 1. **მიხაილ ნუნიეს ლოპესი** (კუბა); **დრემილ ბერსი** (აშშ); 3. **რიზა კაიაალპი** (თურქეთი); 3. **იალმარ სობერგი** (შვედეთი); 11. **გურამ ფერსელიძე** (საქართველო).

**ირაკლი თავაძე**

**ჭადრაკი**



შეხვედრაზე ოლიმპიურ კომიტეტში

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# მსოფლიოს ნაკრებებს შევეჭიდებით

მალე მაკედონიის ქალაქი ოჰრიდი მოჭადრაკე ქალ-ვაჟთა ევროპის საკლუბო ჩემპიონატს უმასპინძლებს. კაცები შეჯიბრებას ოცდამეხუთედ გამართავენ, მანდილოსნები კი მეთოთხმეტედ ჩაებმებიან მედლებისთვის ბრძოლაში. საგულისხმოა, რომ ქალთა ტურნირის დაარსებაში დიდი წვლილი მიუძღვის დიდოსტატ **ნანა ალექსანდრიას**, რომელიც გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში ფიდეში ქალთა კომიტეტს ხელმძღვანელობდა.

პირველი შეჯიბრება 1996 წელს იუგოსლავიის ქალაქ სმედერევსკა პალანკაში გაიმართა და ოქროს მედლები ერთდროულად ორმა გუნდმა — თბილისის „მერანმა" (**მაია ჩიბურდანიძე, ნინო გურიელი, ნინო ხურციძე, ნანა ალექსანდრია**) და ბელგრადის „აგროუნივერსალმა" დაიმსახურა. იმავე წელინადს ბელგრადის „რადის" ღირსებას იცავდა **ნანა იოსელიანი**, ხოლო ასპარეზობის მასპინძელი ქალაქის გუნდში **ნონა გაფრინდაშვილი** გამოდიოდა.

ქართველ მოჭადრაკე ქალბატონებს სხვა დროსაც არაერთხელ უასპარეზიათ წარმატებით ევროპის საკლუბო ჩემპიონატში. თბილისის ნტნ-მა ზედიზედ ორჯერ — 2004-2005 წლებში (**ნანა ძაგნიძე, მაია ლომინეიშვილი, ლელა ჯავახიშვილი, ანა მათნაძე, სოფიო გვეტაძე** — 2005 წელს იგი თამარ წერეთელმა შეცვალა) ჩემპიონობა მოიპოვა. 2001 წელს პირველი ადგილი „აგროუნივერსალმა" დაიკავა, რომლის შემადგენლობაში ნინო ხურციძეც თამაშობდა. ნინომ და მაია ჩიბურდანიძემ უდიდესი წვლილი შეიტანეს 2006 წელს სომხეთის „მიკას" გაჩემპიონებაში, თან პირველ და მესამე დაფებზე საუკეთესო შედეგებისთვის მცირე ოქროს მედლებიც მოიხვეჭეს. ისინი 2007 წელსაც იცავდნენ „მიკას" ღირსებას და 10 ქულით მესამე ადგილი დაიკავეს — გამარჯვებულ „მონტე კარლოს" (ინდოელი **ჰამფი კონერუ**, შვედი **პიი კრამლინგი**, ყატარელი **ჟუ ჩენი**, პოლონელი **მონიკა სოცკო**, ფრანგი **ელმირა სკრიპჩენკო**) მხოლოდ ქულით ჩამორჩნენ. „მონტე კარლომ" შარშანაც ყველას აჯობა. მის შემადგენლობაში უკვე ჟუ ჩენის ნაცვლად ნანა ძაგნიძე გამოდიოდა, რომელმაც შვიდი პარტიიდან 6 ქულა შესძინა გუნდს. წლეულს ქუთაისელი დიდოსტატი ევროპის საკლუბო ჩემპიონატში ვერ იასპარეზებს, რადგან ჩინეთშია და ფიდეს გრან-პრის გათამაშებაში ჩაება.

შეგახსენებთ, რომ შარშან დრეზდენში მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის მოგების შემდეგ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის **გია ნაცვლიშვილის** ინიციატივით შეიქმნა საჭადრაკო კლუბი „სამაია", რომელიც ოჰრიდში ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას დაიცავს.

— რამდენჯერ მკითხეს, ჭადრაკი ოლიმპიური სახეობა არ არის და სეოკი რატომ აფინანსებსო, — გვითხრა **გია ნაცვლიშვილმა** — კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო: ჩვენთან სპორტის ეს სახეობა იმდენად პოპულარულია და ისეთი მდიდარი ტრადიციები აქვს, რომ მისი უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება. გული მწყდებოდა, ჩვენი დიდოსტატები ევროპის საკლუბო პირველობებზე სხვა ქვეყნების სახელით რომ გამოდიოდნენ. ამიტომ გადავწყვიტეთ, ერთ ძლიერ კოლექტივად შეგვეკრა, რომლის სახელიც ჩვენმა ლეგენდარულმა მაია ჩიბურდანიძემ შეარჩია — „სამაია". მინდა, გზა დავულოცო დებიუტანტ გუნდს. ვნახოთ, ჩვენი ქალები ამ ჩემპიონატზე რას იზამენ, იმედია, კვარცხლბეკზე მოსახვედრად ძალლონესა და მონდომებას არ დაიშურებენ, რადგან გამოცდილება არავის აკლია. აი, საგაისოდ დაფინანსება გაიზრდება, გუნდსაც გავაძლიერებთ და მიზანიც მხოლოდ ოქროსთვის ბრძოლა იქნება.

**გია გიორგაძე**, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი:

— უპირველესად, მადლობა მინდა გადავუხადო ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ გია ნაცვლიშვილს, რომლის ინიციატივითა და დაფინანსებითაც ჩამოყალიბდა საჭადრაკო კლუბი „სამაია".

რაც შეეხება უშუალოდ შეჯიბრებას, მასპინძლებმა ბოლო მომენტში ვიზებთან დაკავშირებით სიურპრიზი შემოგვთავაზეს, თუმცა ჩვენი წარმომადგენელი სასწრაფოდ გაემგზავრა სტამბოლს და ყველა პრობლემა დროულად მოაგვარა. ასე რომ, 28 სექტემბერს გუნდი ასეთი შემადგენლობით გაემგზავრება მაკედონიაში: **მაია ჩიბურდანიძე, ლელა ჯავახიშვილი, მაია ლომინეიშვილი, სოფიკო ხუხაშვილი** და **სალომე მელია**, კაპიტანია **ნინო გურიელი**, მწვრთნელები — **ზურაბ სტურუა** და **ხვიჩა სუპატაშვილი**. ჩემპიონატი 3 ოქტომბერს დაიწყება. „სამაია" ტურნირამდე ხუთდღიან საწვრთნელ შეკრებას ოჰრიდში გაივლის.

ჩინეთის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ იყო მოსაზრება, რომ კლუბში მოგვეწვია დიდოსტატი ბელა ხოტენაშვილი, რომელიც ბოლო დროს საკმაოდ კარგად თამაშობს საერთაშორისო ტურნირებში, მაგრამ გუნდში ერთი ცვლილება უკვე განხორციელდა — ნაცვლად ნანა ძაგნიძისა, რომელიც ამჟამად ჩინეთშია, სალომე მელია გამოვა. ჭადრაკის ფედერაციის გამგეობამ შეჯიბრების წინ ერთბაშად ორი ცვლილება მიზანშეუწონლად მიიჩნია. მით უმეტეს, რომ საკლუბო პირველობის შემდეგ ქალთა და ვაჟთა ნაკრებები 11 ოქტომბერს სერბეთს გაემგზავრებიან და ევროპის გუნდური ჩემპიონატის დაწყებამდე (21 ოქტომბრამდე) 110 დღის განმავლობაში იქვე ივარჯიშებენ. იმ დროისთვის ქალთა გუნდში, შესაძლოა, ცვლილებები კიდევ მოხდეს. თუმცა სამი წევრი ამთავითვე ცნობილია. ესენი არიან — ჩიბურდანიძე, ძაგნიძე და ჯავახიშვილი. დანარჩენი ორი ადგილისთვის საკლუბო ჩემპიონატზე ლომინეიშვილის, ხუხაშვილის, მელიას და ნინო ხურციძის (იგი სხვა გუნდში თამაშობს) მომზადების დონეს დავაკვირდებით. ვინც უკეთესი იქნება, ნაკრებშიც ის მოხვდება.

შესარჩევი გვეყოლება ქალთა ნაკრების მწვრთნელიც, რადგან ზურაბ სტურუამ დუბაის გუნდთან გააფორმა ხელშეკრულება და ჩვენთან ვერ იმუშავებს. უახლოეს დღეებში ეს პრობლემაც გადაწყდება. ცხადია, არც ბელა ხოტენაშვილს დავტოვებთ უყურადღებოდ. ახალგაზრდებთან სამუშაოდ და ნაკრების გადასახალისებლად სპეციალურ პროგრამას შევიმუშავებთ. როგორც ხოტენაშვილის, ასევე, ახალგაზრდა ნიჭიერი მოჭადრაკეების — სოფიო გურამიშვილის, ქეთი წაწალაშვილის, მერი არაბიძის და სხვათა ოსტატობის ამაღლებაზე ეროვნული ნაკრების მწვრთნელებიც იზრუნებენ. მთავარია, მათ საქართველოს ჩემპიონატზე დაამტკიცონ თავიანთი სიძლიერე.

**მაია ჩიბურდანიძე**, ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი: — ჩინეთიდან გულდაწყვეტილი დავბრუნდი. წარმატების მიღწევა შეგვეძლო და შანსი ვერ გამოვიყენეთ. საწყენად ნურავის დარჩება და, მედლები მეოთხე დაფის სუსტი თამაშის გამო დავკარგეთ. არადა, რა კარგი სტარტი ავიღეთ. ზედიზედ ის სამი მატჩი არ უნდა წაგვეგო. ევროპის საკლუბო ჩემპიონატის კვარცხლბეკზე ასვლა უფრო ძნელი იქნება, რადგან რამდენიმე კლუბს სხვადასხვა ქვეყნის უძლიერესი დიდოსტატები ჰყავს მიწვეული. ფაქტობრივად, მსოფლიოს ნაკრებების წინააღმდეგ მოგვიწევს ბრძოლა. არადა, „სამაიას" გაძლიერება შეიძლებოდა უცხოეთში მცხოვრები ქართველი მოჭადრაკეებით, თუნდაც ქეთევან არახამიათი და ქეთევან კახიანით.

ამჟამინდელი შემადგენლობით, თანაც ძაგნიძის გარეშე, ძალიან გაგვიჭირდება საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლა, თუმცა წინასწარ ფარ-ხმლის დაყრას არ ვაპირებთ.

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩოგბურთი

# თელავური ტიტული უნგრელს დარჩა

## ქართველებმა წყვილთა ფინალი დააგვიანეს

თელავის პირველი საერთაშორისო ტურნირის პირველი გამარჯვებული იტალიელი **კორინა დენტონი** (148) იყო. ორი წლის მერე ტიტული უნგრელმა ჩოგბურთელმა მოიპოვა - 18 წლის **რეკა-ლუკა იანიმ** (325). ქართველებს კი სანუგეშოდ ის დაგვრჩა, რომ ჩვენმა ერთ-ერთმა დუეტმა წყვილთა თანრიგის ფინალში ითამაშა. 25-ათასიანი ტურნირის ერთეულთა თანრიგში ჩვენს თანამემამულეთაგან ყველას 21 წლის **თათია მიქაძემ** (738) აჯობა, „უაილდ ქარდით" მოთამაშემ ტურნირის ნახევარფინალს უწია. საკვირველია, რატომ აღარ მისცეს „ველური ბარათი" თათიას თბილისის ტურნირის ორგანიზატორებმა. თელავში თამაში თათია მიქაძეს 24 სარეიტინგო ქულას მოუმატებს, **ოქსანა კალაშნიკოვას** (198) კი - 14-ს, **სოფიო შაფათავამ** (371) და **მანანა შაფაქიძემ** (554) მერვედფინალში თამაშით 8-8 ქულა დაიბევეს.



რეკა-ლუკა იანი

ტურნირის ფინალი კი სრულფასოვანი მატჩი ვერ გამოდგა, მე-3 ნომრად განთესილმა ავსტრიელმა **მელანი კლაფნერმა** (273) მხრის ტრავმა მიიღო და ვერაფერი გააწყო მე-6 ნომრად განთესილ იანისთან - 2:6, 4:6. იანი სექტემბერში შესაშურ ფორმაშია, თელავში ჩამოსვლის მან ბუდაპეშტის საერთაშორისო ტურნირი (10 ათასი $) მოიგო. სხვათა შორის, ეს ის ჩოგბურთელია, ვინც წლეულს შვედეთში კრისტიენშამნის ტურნირის ფინალში **ანა ტატიშვილთან** (158) დამარცხდა. იანი თელავიდან 50 ქულით ხელდამშვენებული წავიდა.

შაბათს წყვილთა თანრიგის ერთი ნახევარფინალური მატჩი უნდა გამართულიყო, რომელიც ქართველ გულშემატკივართა დიდ ინტერესს იწვევდა, მაგრამ მე-2 ნომრად განთესილმა დუეტმა ოქსანა კალაშნიკოვასა და მელანი კლაფნერის შემადგენლობით მოედანზე მხოლოდ ერთი სეტი გაძლო, შემდეგ კლაფნერს მხარი წამოსტკივდა მხოლოდ კალაშნიკოვა ვერაფრით გაუმკლავდებოდა ორ მეტოქეს, თათია მიქაძესა და მანანა შაფაქიძეს. „უაილდ ქარდით" მიწვეულმა ქართულმა დუეტმა 6:2, 2:0 იმარჯვა და ფინალში გავიდა. ფინალიც შაბათს გაიმართა, ქართველებმა ვერაფერი დაუპირისპირეს ჰოლანდიელებს, **ჩეინ ევიკს** (645) და **მარლო მედენსს** (350) - 2:6, 4:6. ასე რომ, თელავური ტურნირის წყვილთა თანრიგის ჩემპიონები ჰოლანდიელები გახდნენ. თელავის საჩოგბურთო ქარავანმა კი თბილისში გადაინაცვლა...

ჩვენი მოწინავე ჩოგბურთელები ანა ტატიშვილი და **მაკა ჩახნაშვილი** (241) ამ კვირაშიც უცხოეთში თამაშს არჩევენ - ტატიშვილი ლას ვეგასშია (50 ათასი $) განთესილთა შორის, ხოლო ჩახნაშვილი - ესპანურ გრანადაში (25 ათასი $).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# მარცხიანი დღე

ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე გუშინ დაიწყო ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდია 25 ათასი ამერიკული დოლარი.

საკვალიფიკაციო ტურნირში 14 ქვეყნის 32 წარმომადგენელი ჩაება, მათ შორის 8 ქართველი (ერთი — **ნათელა ძალამიძე** რუსეთის სახელით გამოდიოდა). სამწუხაროდ, პირველსავე წრეში ყველამ წააგო. ძალამიძე ჩეხ **პიკოვასთან** დამარცხდა — 2:6, 4:6. **თამარ კომახიძეს** რუსმა **რაპოპორტმა** აჯობა — 6:2, 7:5, **ნინო სულაშვილი** ბელარუს **პირაზნენკას** დანებდა — 4:6, 5:7, ამ უკანასკნელის თანამემამულე **არტიომავამ დიანა დავითაია** დაჯაბნა — 6:2, 6:1. გუშინ კიდევ ერთმა ბელარუსმა იზეიმა გამარჯვება — **იემიალანავამ სოფიო შარანგიას** სძლია — 7:5, 6:4; დანარჩენ სამ შეხვედრაშიც სტუმრების უპირატესობა აშკარა იყო: **ლაზარევა** (რუსეთი)-**სალომე კვიტაშვილი** 6:3, 6:3, **მარსინკევიცა** (ლატვია)-**ია თოიძე** 6:0, 6:1, **დუვანაევა** (ყირგიზეთი)-**ბაბილინა მაჩაიძე** 6:1, 6:2.

**ვაჟა დანელია**

ჭადრაკი

# ქართველთა კვარტეტი ლიდერებში

ბაქოში გრძელდება მოჭადრაკეთა დიდი საერთაშორისო ტურნირი, 162 ქალ-ვაჟის მონაწილეობით.

გუშინ მე-7 ტურში ლიდერები — აზერბაიჯანელი **შაჰრიარ მამედიაროვი** და რუსი **ბორის სავჩენკო** დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ტურნირზე რეიტინგით პირველმა აზერბაიჯანელმა მოჭადრაკემ (2721) თეთრებით მეტოქესთან ვერაფერი გააწყო და დამარცხდა კიდეც. **თორნიკე სანიკიძე გატა კამსკის** დაუზავდა. ყაიმზე შეთანხმდნენ **კონსტანტინე შანავა** და **თამაზ გელაშვილი, ვიქტორ მახალევსკი** და **დავით ბენიძე, ნინო ხურციძე** და **დავით მალალაშვილი. ილია სმირინმა მალხაზ სულაშვილს** სძლია, **ლევან ფანცულაიამ გაიოზ ნიგალიძეს** მოუგო. ქართველთა დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: **ფარიდ ზეინალოვი-დავით ჯოჯუა** 0:1, **შოთა აზალაძე-ელშან ომუჯოვი** 1:0, **ბელა ხოტენაშვილი-ალიზამინ ჯაფარლი** 1:0, **კოოხესთანი-ივერი ჭილაძე** 0:1, **ბაჩანა მორჩიაშვილი-დარგაჰ რუსტამზადე** 0,5:0,5, **მიხეილ კეკელიძე-ხაიალა აბდულა** 0:1, **ნარმინ სოიულუ-ლილე ცალუღელაშვილი** 0:1, **ჰასან გულიევი-მაკა ფურცელაძე** 0:1.

შვიდი ტურის შემდეგ 6,5 ქულით **სავჩენკო** ლიდერობს. მას ნახევარი ქულით **სმირინი** ჩამორჩება. 5,5-5,5 ქულა 9 მონაწილემ მოაგროვა, მათ შორის ოთხი ქართველია.

ლიდერთაგან დღეს ითამაშებენ: **სავჩენკო** (6,5)-**შანავა** (5,5), **სმირინი** (6)-**მამედიაროვი** (5,5), **გატა კამსკი** (5,5)-**მუსტაფა ილმაზი** (5,5), **თამაზ გელაშვილი** (5,5)-**თორნიკე სანიკიძე** (5,5), **მერთ ერდოლუ** (5,5)-**ლევან ფანცულაია** (5,5), **ლოგმან გულიევი** (5,5)-**ვიქტორ მიხალევსკი** (5).

ტურნირი ხვალ დამთავრდება.

**ვაჟა დანელია**

# 22 გუნდის მონაწილეობით...




თურქეთში გრძელდება 16-წლამდელთა მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადა, რომელშიც 22 გუნდი მონაწილეობს. საქართველოს სპორტულ ღირსებას იცავენ **ზურაბ ჯავახაძე, გიორგი ნიკოლაიშვილი, ნოდარ ლორქიფანიძე** და **ირაკლი ბერაძე.**

გუშინ ჩვენი მოჭადრაკეები აზერბაიჯანელებს დაუზავდნენ - 2:2, ინდოელებმა, რომლებმაც მე-3 ტურში ჩვენებს 3:1 სძლიეს, გუშინ, თურქებს 2,5:1,5 მოუგეს. ასეთივე ანგარიშით რუსებმა სომხები დაამარცხეს. ლიდერობს ინდოეთი 13,5 ქულით. საქართველო 11 ქულით მეორე ადგილზეა. 10,5-10,5 ქულით მესამე-მეექვსე ადგილებს თურქები, ინგლისელები აზერბაიჯანელები და რუსები იყოფენ.

**ვაჟა დანელია**

# გრან-პრი სოლიდური ფულადი პრიზით

ჩინეთის ქალაქ ნანცზინში დღეს დაიწყება ფიდეს გრან-პრის მე-2 ეტაპი დიდოსტატ ქალთა მონაწილეობით. შეჯიბრებაში მთავარი ჯილდოსთვის იბრძოლებენ: **ჟაო სიუ** (ჩინეთი, 2544), **ნანა ძაგნიძე** (საქართველო, 2536), **მარი სებაგი** (საფრანგეთი, 2531), **სი იუჰუა** (ჩინეთი, 2485), **ჟუ ჩენი** (ყატარი, 2473), **ლილიტ მკრტიჩიანი** (სომხეთი, 2467), **შენ იანი** (2453), **ცზიუ ვენცზიუნი** (ჩინეთი, 2443), **ბაიათ მონგოთული** (მონგოლეთი, 2412), **ბაიარა კოვანოვა** (რუსეთი, 2406), **მარტა ფიერო** (ეკვადორი, 2394), **ბელთუს ილდიზი** (თურქეთი, 2217). ისინი წრიული სისტემით 11 ტურად შეხვდებიან ერთმანეთს. ტურნირის საპრიზო ფონდი 50 ათასი ევროა, დასვენების დღე კი 3 ოქტომბერი. სააპელაციო კომიტეტში მიწვეულია ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი **ნონა გაფრინდაშვილი.**

**ვაჟა დანელია**

ყინულის ჰოკეი

# ტრაგედიიდან მსოფლიოს ჩემპიონატამდე

**ყინულის ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციამ ტუნისში ჩატარებულ კონგრესზე ჩვენთვის სასიხარულო გადაწყვეტილება მიიღო – საქართველოს ეროვნული ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე დივიზიონში იასპარეზებს!**

მართალია, პირველ ჯერზე უკონკურსოდ, მაგრამ ეს მაინც მნიშვნელოვანი სიახლეა, რაც ქართული ჰოკეის განვითარებას ერთიორად დააჩქარებს. საბოლოოდ ჩამოყალიბდება ეროვნული ნაკრები და ქართული ჰოკეის მესვეურები საერთაშორისო ორგანიზაციის წინაშე აღებულ ვალდებულებასაც შეასრულებენ, რაც ყინულის სტანდარტული მოედნის აგებასა და მინიმუმ ოთხგუნდიანი ეროვნული ჩემპიონატის ჩატარებას ითვალისწინებს. იმის მიუხედავად, რომ პირველ ჯერზე ზედა დივიზიონში ასვლის შანსი არ მოგვეცემა, ტურნირის მოსაგებად აუცილებლად უნდა ვიბრძოლოთ. ეს ჩვენს საერთაშორისო ავტორიტეტსაც აამაღლებს და ერთი წლის შემდეგ სრულფასოვანი მონაწილეობის პერსპექტივასაც გაზრდის.

არადა, ტუნისში ამასაც ვერ მივაღწევდით, იქით მიმავალ გზაზე ჩვენი ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი **დენის დავიდოვი** და გენერალური მდივანი **ლაშა ცაგარეიშვილი** რომ არ დაღუპულიყვნენ. IIHF-მ ამ ტრაგედიამდე რამდენიმე დღით ადრე თბილისში უარის წერილი გამოგზავნა, შემდეგ კი დენისისა და ლაშას ხსოვნას სცა პატივი და, როგორც გამონაკლისი, მაინც დაგვრთო ერევანში გასამართ ტურნირში მონაწილეობის ნება. თუმცა ამას ბევრი ქვეყნის წარმომადგენლები ეწინააღმდეგებოდნენ. ამ და სხვა საინტერესო ამბების, მათ შორის ეროვნული ნაკრების დაკომპლექტების შესახებ კი უფრო ვრცლად "ლელოს" უახლოეს ნომრებში გიამბობთ.

ახლა მსოფლიოს ჩემპიონატის სტრუქტურას გავეცნოთ. ფინალური ტურნირი გაისად, 7-23 მაისს გერმანიაში გაიმართება, რომელშიც შემდეგი ქვეყნები იასპარეზებენ:

A ჯგუფი: **რუსეთი, ბელარუსი, სლოვაკეთი, ყაზახეთი**

B ჯგუფი: **კანადა, შვეიცარია, ლატვია, იტალია**

C ჯგუფი: **შვედეთი, ჩეხეთი, ნორვეგია, საფრანგეთი**

D ჯგუფი: **ფინეთი, აშშ, გერმანია, დანია**

ამას პირველი დივიზიონი მოსდევს, რომელიც ორ ჯგუფად იყოფა:

A ჯგუფი (2010 წლის 19-25 აპრილი, ტილბურგი): **ჰოლანდია, ავსტრია, უკრაინა, იაპონია, ლიტვა, სერბეთი**

B ჯგუფი (2010 წლის 17-23 აპრილი, ლიუბლიანა): **სლოვენია, უნგრეთი, დიდი ბრიტანეთი, პოლონეთი, ხორვატია, სამხრეთ კორეა**

**მეორე დივიზიონი:**

A ჯგუფი (2010 წლის 11-17 აპრილი, მეხიკო): **მექსიკა, ავსტრალია, ბელგია, ესპანეთი, ბულგარეთი, თურქეთი**

B ჯგუფი (2010 წლის 10-16 აპრილი, ტალინი): **ესტონეთი, რუმინეთი, ჩინეთი, ისლანდია, ისრაელი, ახალი ზელანდია**

**მესამე დივიზიონი:**

A ჯგუფი (2010 წლის 13-17 აპრილი, ათენი): **საბერძნეთი, ლუქსემბურგი, ირლანდია, გაერთიანებული საემიროები**

B ჯგუფი (2010 წლის 15-18 აპრილი, ერევანი): **სომხეთი, ჩრდილოეთ კორეა, სამხრეთ აფრიკა, მონღოლეთი, საქართველო**

**ლევან ჯანეზაშვილი**

ქართული ჭიდაობა



ვასილ მიღდისაშვილი

# ცოცხალი გალავანი გალავნის უბანში

მცხეთის რაიონის ისტორიულ სოფელ მუხრანში გაიმართა ქეთევან წამებულის ხსენების დღისადმი მიძღვნილი სახალხო დღესასწაული „ქეთევანობა".

მუხრანელი დედოფალი ქეთევან წამებული ოთხი საუკუნის წინათ შაჰ-აბასის ბრძანებით სპარსეთში ქრისტიანობისთვის მოწამეობრივად აღესრულა. მისი წმინდა ნაწილები ალავერდის ტაძარში დაიკრძალა. მუხრანში არის ეკლესია, რომელიც ქეთევან წამებულის სახელს ატარებს. სწორედ ამ ეკლესიაში დაიწერა ჯვარი დედოფალმა ქეთევანმა.

"ქეთევანობის" სახალხო დღესასწაული ათიოდე წელიწადია, რაც აღდგა, ზეიმი ისე არ ჩაივლის, რომ აქ ქართული ჭიდაობის შეჯიბრება არ მოეწყოს. გალავნის უბანში, პირველი სკოლის ეზოში საგანგებოდ მოწყობილია საჭიდაოს ირგვლივ გულშემატკივართა ტევა არ იყო. მაყურებელი არც სოფლის ცენტრში გაჩაღებულ ცეკვასიმღერას არ აკლდა, მაგრამ ქართული ჭიდაობა სულ სხვა იყო. ასპარეზობა ხუთ საათს გაგრძელდა. ტურნირის მოწყობაში აქაურ ენთუზიასტებს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა და მუხრანელი ბიზნესმენი **დავით ზეიკიძე** დაეხმარნენ.

უწინ სამეფო სოფელი მუხრანი ფალავნებითაც იყო ცნობილი, მუხრან ბატონის ფავორიტი ფალავანი **გიორგი ჯიქიძე** დიდის გვარსაც ატარებდა. ის ჯიქიძე-მერაბიშვილი იყო. ხალხში კი ყველა „დრიგინას" უწოდებდა. ერთხელ სვეტიცხოვლობას მუხრან ბატონს ყველა რჩეული ფალავანი „გაულახეს". მაშინ ბატონიშვილს დრიგინა მოუკითხავს. საჭიდაოდ გასვლის წინ გიორგის ჯამით ღვინო მოუთხოვია. შეუსვამს თუ არა, წრეში გასულა და ის „ურჩი ფალავანი" ზედ მუხრან ბატონის წინ გაუკრავს თონის ლავაშივით... ცნობილი იყო ფიდო მუხრანელი (ტაბატაძე), „ტილა" (ვანო დოლიშვილი), გიგია და ლადო ჩუგუაშვილები, „ცუმპრავი" (გოგი დოლიშვილი). აღარაფერს ვამბობთ თანამედროვე მუხრანელ მოჭიდავეებზე...

„ქეთევანობის" სახალხო ჭიდაობაზე ყველაზე დიდი ინტერესი გამოიწვია ორთაბრძოლებმა ცოცხალი პრიზის, ანუ ყოჩის მოსაპოვებლად. აბსოლუტური პირველობა და მთავარი პრიზიც მჭადიჯვრელმა ვასილ მიღდისაშვილმა მოიპოვა.

პირადი პირველობა ჭაბუკთა შორის ექვს წონით კატეგორიაში მოეწყო. მოზრდილები კი ოთხ წონაში გაეჯიბრნენ ერთმანეთს.

**ჭაბუკები:** 30 კგ. **გიგი ჩანადირი** (ნავდარაანთკარი), 35 კგ. **გოგა სიმონიშვილი** (მუხრანი), 40 კგ. **გიორგი თანიაშვილი** (დუშეთი), 45 კგ. **ზურაბ თათარაშვილი** (წილკანი), 50 კგ. **გიორგი ავაზაშვილი**, 55 კგ. **მიხეილ ბექაური** (ორივე მუხრანი).

**მოზრდილები:** 60 კგ. **გოჩა გულბათაშვილი** (ნავდარაანთკარი), 66 კგ. **გიორგი მახარაშვილი** (ქსოვრისი), 73 კგ. **პაატა დოლიაშვილი** (თიანეთი), **აბსოლუტური. ვასილ მიღდისაშვილი** (მჭადიჯვარი).

**გაბრიელ ბარჯაძე**
მუხრანი

ავტორის ფოტო

საჯარო განხილვა

## საქართველოში ფიზიკური განათლებისა და სპორტის განვითარების კონცეფცია



კონცეფციის ვერსია საჯარო განხილვისთვის განთავსებულია საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის ვებგვერდზე: www.sportxandyouth.ge

კონცეფციის ავტორია საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მრჩეველი **თამაზ თევზაძე.** თქვენი კომენტარები, წინადადებები, შენიშვნები, მოსაზრებები და შეფასებები გათვალისწინებულ იქნება „სპორტის შესახებ" კანონის ახალ რედაქციაზე მუშაობისას. კონცეფციის ავტორთან საკონტაქტოდ გამოიყენეთ ინტერნეტი: tamaztevzadze@yahoo.com
ttevzadze@mes.gov.ge

ფაქსი: 98 74 30 ან 98 74 32; ტელ: 98 96 13 ან 36 21 32

R

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგბი

საქართველოს ჩემპიონატი. პლეი ოფი

# ლაზათიანი რაგბობა ლოგიკური ფინალით



ლაშა ხმალაძე ლოკომოტიველების გარემოცვაში ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

**ლოკომოტივი-ლელო 14:33**

ლოკომოტივი (15-9) კავთიძე, ტუჩაშვილი, კობერიძე, ნიკლაური, ჟამუტაშვილი (გუგავა 50), კვინიხიძე, ლვინჯილია. (1-8) პეტრიაშვილი, გენებაშვილი (ელოშვილი 68), ნაცარაშვილი, გუჯარაიძე, გუნიავა (ჩიტიძე 49), ნიშნიანიძე (ბერიშვილი 64), ახვლედიანი (ოზგებაშვილი 68), ზ.მაისურაძე.

*ლ: კობერიძე. პს: კვინიხიძე.*

ლელო (15-9) ყიასაშვილი, მჭედლიშვილი (ზაალიშვილი 79), კორკელია, ლომინაძე, თოდუა, ხმალაძე, კაჭარავა. (1-8) მირცხულავა (სანიკიძე 79), ჭყონია (მენაბდიშვილი 75), სუჯაშვილი, აზალაძე, დ.დაუშვილი, ი.მაისურაძე (მძინარიშვილი 70), კოლელიშვილი, იორდანიშვილი (ჯალალონია 74).

*2ლ: ხმალაძე, ყიასაშვილი. 2ა,5ს,გ: ყიასაშვილი.*

სინბინი: ი.მაისურაძე

მსაჯი: პატრიკ პეშამბერი (საფ)

საქართველოს ჩემპიონატის შესარჩევ ფინალში ორივე გუნდმა მაღალი კლასის, ლაზათიანი რაგბი გვიჩვენა. რეგულარული გათამაშების გამარჯვებულმა „ლელომ", რომელმაც მთელი ტურნირი დაუმარცხებლად განვლო, კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ დღესდღეობით ქვეყნის საუკეთესო გუნდია. ლელოელებმა ქვეყნის მოქმედი ჩემპიონი „ლოკომოტივი" 33:14 დაამარცხეს და ნინასწარ ფინალში სათამაშოდ გაამწესეს.

მიუხედავად იმისა, რომ რეგულარულ გათამაშებაში „ლელომ" მეტოქე ორიდან ორივე შეხვედრაში დაამარცხა, შესარჩევ ფინალში ფავორიტად მის დასახელებას ყველა ერიდებოდა. „ლოკომოტივი" გამოცდილი, ფიზიკურად კარგად მომზადებული გუნდია, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში ძალების მაქსიმალურად მობილიზება და ნებისმიერი სიძლიერის მეტოქესთან ბრძოლა შეუძლია.

ფიზიკურ კონდიციებს არც „ლელო" უჩივის. თამამად შეიძლება იმის თქმაც, რომ ტექნიკურად გუნდი საუკეთესოა საქართველოში. თითქმის არც ერთ სათამაშო პოზიციაზე ლელოელებს სუსტი წერტილი არ აქვთ. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია უკანა ხაზი. ცხრიდან თხუთმეტ ნომრამდე, ყველა მოთამაშე ინდივიდუალურადაც ძლიერია და გუნდურ თამაშშიც ბადალი არ ჰყავთ. „ლელო" მიმდინარე ჩემპიონატში ყველაზე უხვქულიანი გუნდია და ამ ქულების 70 პროცენტზე მეტი სწორედ უკანახაზელებზე მოდის.

ერთი სიტყვით, ბრძოლა უშელავათო უნდა ყოფილიყო და მატჩის 66-ე წუთამდე ასეთი იყო კიდეც. ბოლო15 წუთში კი „ლელომ" მეტოქის გატეხვა მაინც მოახერხა. ორი ერთმანეთზე ლამაზი ლელო გაიტანა და „ლოკომოტივის" დამაჯერებელი ანგარიშით დამარცხება შეძლო.

მოვლენებს თანმიმდევრულად მივყვეთ. პირველი ტაიმი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. საწყისი ათი წუთი „ლელოსი" იყო. ანგარიში მე-9 წუთზე **ირაკლი ყიასაშვილმა** საჯარიმოდან გახსნა - 3:0. საერთოდაც, ირაკლი ამ შეხვედრაში საუკეთესო იყო. „ლელოს" 33 ქულიდან 28 მის ანგარიშზეა. ერთი ლელო, ხუთი საჯარიმო, ორი ბრწყინვალე არეკნი და ერთიც გარდასახვა - ასეთია მისი იმდღევანდელი მონაგარი.

„ლოკომოტივმა" ანგარიში მე-16 წუთზე გაათანაბრა - **ბობა კვინიხიძემ** საჯარიმო 50 მეტრიდან დაარტყა - 3:3. მაგრამ ანგარიშში უპირატესობას მალე მაინც ლელოელებმა მიაღწიეს. ყიასაშვილმა ჯერ საჯარიმო გაიტანა, მერე კი 35 მეტრიდან არეკნი დაჰკრა - 9:3. სხვაობის შემცირება რკინიგზელებმა ტაიმის ბოლო წამებზე შეძლეს: კვინიხიძემ საჯარიმო ამჯერად 46 მეტრიდან გაიტანა - 6:9.

მეორე ტაიმიც „ლელოს" უპირატესობით დაიწყო. ყიასაშვილმა 42-ე და 52-ე წუთებზე ორი საჯარიმო გაიტანა და ანგარიშში სხვაობა „ლოკომოტივისთვის" სახიფათო გახდა - 15:6.

ძნელი სათქმელია, როგორ განვითარდებოდა მოვლენები, რომ არა „ლელოს" რვა ნომრის **ლექსო იორდანიშვილის** მიერ 58-ე წუთზე დაშვებული ბავშვური შეცდომა. მას მეტოქის მიერ ფეხით დაკიდებული ბურთი საკუთარი ოცდაორმეტრიანი ზონის მისადგომებთან ხელიდან გაუვარდა. იმის ნაცვლად, რომ ძირს დავარდნილ ბურთს თავადვე დაუფლებოდა, რათა მოწინააღმდეგის ნადავლი არ გამხდარიყო, ფეხი ოდნავ მიჰკრა. ამით მშვენივრად ისარგებლა რკინიგზელთა შუამარბმა **ბექა ნიკლაურმა** და ბურთი ფეხით ლელოსკენ შეაგორა. ჩათვლის მოედნიდან ხუთიოდ მეტრში ის შებოჭეს, თუმცა არეულ თამაშში „ლელოს" დაცვამ განწყობა ვერ მოასწრო. რაკიდან გამოტანილი ბურთი უმეთვალყუროდ დარჩენილმა **გიორგი კობერიძემ** მიილო და ლელომაც არ დააყოვნა. გარდასახვა კვინიხიძემ ვერ გამოიყენა - 14:15.

მდგომარეობა დაიძაბა. საქმეს ისეთი პირი უჩანდა, „ლოკომოტივს" მატჩის ბედი სათავისოდ უნდა შემოებრუნებინა. რკინიგზელთა ალტყინება ისევ ყიასაშვილმა ჩააცხრო: სამ წუთში ჯერ არეკნი გაიტანა, რასაც ხუთ წუთში საჯარიმოც მიაყოლა და „ლელო" შვიდი ქულით დაანინაურა - 21:14.

ახლა ჯერი ისევ „ლოკომოტივზე" უნდა მიმდგარიყო, მაგრამ „ლელომ" არ აცალა. 74-ე წუთზე, მათი მორიგი იერიშისას, მგეზავმა **ლაშა ხმალაძემ** დროულად შენიშნა მარცხენა ფრთაზე ოდნავ წინ ამოწეული მეტოქის დაცვის ხაზი და ბურთი ზურგს უკან, ჩათვლის მოედანში დაკიდა. იქ ყველაზე სწრაფად ირაკლი ყიასაშვილმა მიირბინა და ბურთს ზემოდან დაახტა. გარდასახვაც მანვე გაიტანა - 28:14.

თამაშის დამთავრებამდე ექვსი წუთი რჩებოდა. გამარჯვებულის ვინაობა, ფაქტობრივად, გამოვლენილი იყო, თუმცა „ლოკომოტივი" ბრძოლას განაგრძობდა. ყურადღება არც „ლელოს" მოუდუნებია და მატჩის მიწურულს მეტოქეს კიდევ ერთი ლელო გაუტანა.

ხმალაძემ მოედნის საკუთარი ნახევრიდან მეტოქის ოცდაორმეტრიან ზონაში დაკიდა ბურთი, რომელსაც „ლოკომოტივის" ფულბეკი **ვახტანგ კავთიძე** დაეუფლა. მასთან უმალ გაჩნდა სამი ლელოელი, რომელმაც კავთიძე შებოჭა და დაახლოებით ხუთი მეტრით უკან დაახევინა. თამაში რაკში გადავიდა, სადაც ბურთი უკვე „ლელოსი" იყო. იქიდან სწრაფად მარჯვნივ, მოკლე ფრთაზე გამოათამაშეს. პირველხაზელმა **მიხეილ სუჯაშვილმა** ოდნავ წინ წაიწია და კიდევ უფრო მარჯვნივ, კიდისკენ გარემარბ **ალექსანდრე თოდუას** გადააწოდა. მისი შეჩერება რკინიგზელებმა ზედ ლელოს ხაზთან შეძლეს, მაგრამ ვიდრე დაეცემოდა, თოდუამ შეძლო, ბურთი იქვე მიმყოლი ლაშა ხმალაძისთვის შიგნით, მოედანში შემოებრუნებინა. „ქოქოსას" წინააღმდეგობა აღარ შეხვედრია. ყიასაშვილმა გარდასახვა ამჯერად ვერ გამოიყენა - 33:14.

ამრიგად, „ლელო" დიდ ფინალშია, რომელიც 10 ოქტომბერს გაიმართება და ელის მეტოქეს, რომლის ვინაობა წინასწარ ფინალში ერთი კვირით ადრე გაირკვევა.

# მგელაძემ ბათუმელები სენსაციაზე დაგეშა

**ვის.ყოჩები-ბათუმი XV 7:12**

ვისოლი ყოჩები (15-9) ბ.კობახიძე, გეგენავა, პ.მაისურაძე, ადანაია, ნიჟარაძე, ძაგნიძე, მახარაშვილი (ბეგაძე 75), (1-8) ასეიშვილი (მამიკაშვილი 68), ბრეგვაძე (ბარბაქაძე 68), კიკნაველიძე (ჭავჭავაძე 49), არჩუაშვილი, მეტრეველი (ბელაშვილი 54), ტრაპაიძე (დგებუაძე 49), კალმახელიძე, კ.კობახიძე.

*ლ: ასეიშვილი. გ: კ.კობახიძე.*

ბათუმი XV (15-9) ს.ევგენიძე (ბ.ევგენიძე 5), სვინტრაძე (ოქროპირიძე 78), აშვეთია, ხონელიძე, ცისკარიშვილი, ნინიძე, კიკაჩეიშვილი. (1-8) ღლონტი (შენგელია 65), აბესლამიძე, მოქია (დუმბაძე 78), კუნჭულია, ბერიძე, გუგუშვილი, თხილაშვილი, სირბილაძე.

*3ს,ა: ნინიძე.*

მსაჯი: ჟერომ ლამირანი (საფ)

თამამად შიძლება ითქვას, საქართველოს ჩემპიონატის პლეი ოფის გასავარდნი ფინალი სენსაციურად დასრულდა. „ვისოლი ყოჩებმა", რომელიც ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტი იყო, ვერაფერი გააწყო „ბათუმი XV"-სთან - 7:12 და წინასწარ ფინალში დაუთმო გზა.

რეგულარულ გათამაშებაში ამ გუნდების ორივე შეხვედრა „ვისოლი ყოჩების" გამარჯვებით დასრულდა, თუმცა ორივემ ქულების თანაბარი რაოდენობა დააგროვა და უპირატესობა თბილისურ გუნდს სწორედ იმიტომ მიენიჭა, რომ ურთიერთშეხვედრებში ჰქონდა უკეთესი მაჩვენებელი. გასავარდნი ფინალი თბილისში სწორედ ამიტომ გაიმართა.

რაკილა სტატისტიკა „ვისოლი ყოჩების" უპირატესობას გვამცნობდა, სავარაუდო იყო, რომ მატჩიც მათივე სასარგებლოდ დასრულდებოდა, მაგრამ ასე სულაც არ ფიქრობდნენ ბათუმელთა მწვრთნელი **ლევან მგელაძე** და მისი დამოძღვრილი მორაგბეები.

არადა, ბათუმელებს თამაშის დასაწყისი კარგს არაფერს უქადდა. თბილისელების პირველივე შეტევა ლელოთი დასრულდა. თავი „ვისოლი ყოჩების" შერკინების ბურჯმა **კარლენ ასეიშვილმა** გამოიჩინა. მატჩის მესამე წუთი მიმდინარეობდა, როცა მან ბურთი მეტოქის ოცდაორმეტრიან ზონაში მიიღო, პირდაპირ მეტოქისკენ დაიძრა, დაცვის ხაზი გაჭრა და ლელოში შეაღწია. გარდასახვა გუნდის ვეტერანმა **კახა კობახიძემ** ზუსტად დაარტყა - 7:0.

ეს გამარჯვების მისაღწევად სერიოზული განაცხადი იყო. „ვისოლი ყოჩების" კიდევ ერთმა ვეტერანმა **ემზარ ძაგნიძემ** ორჯერ არეკნით სცადა მოწინააღმდეგის კარის დალაშქვრა, მაგრამ უშედეგოდ.

ვაკეში, „ლოკომოტივის" სტადიონზე შეკრებილი გულშემატკივრები ბათუმელთა გუნდის „განადგურებას" ელოდნენ. მათ სასახელოდ კი უნდა ითქვას, რომ საწყის წუთებში განცდილმა წარუმატებლობამ ისინი არ გატეხა. თანაც ბათუმელებს საკმაოდ მრავალრიცხოვანი, კარგად ორგანიზებული ქომაგთა ჯგუფი უჭერდა მხარს.

ქომაგების ორგანიზებულობამ, გუნდის თამაშზეც იმოქმედა. ბათუმელებმა დაცვაში შესაშური თავდადებით იბრძოლეს. თამაშის ბოლომდე შეცდომა თითქმის არ დაუშვიათ და მეტოქეს მონაგარის გაზრდის საშუალება არ მისცეს. კონტრშეტევებს საკმაოდ მწვავედ ახორციელებდნენ და ცდილობდნენ, „ყოჩების" ყველა შეცდომა მაქსიმალურად გამოეყენებინათ.

ბათუმელებმა 31-ე წუთისთვის ანგარიშში სხვაობა მინიმუმამდე შეამცირეს. ორი საჯარიმო ზუსტად დაარტყა მათმა მგეზავმა **მამუკა ნინიძემ**, რომელიც, თამამად შეიძლება ითქვას, ამ მატჩის გმირი და საქართველოს წლევანდელი ჩემპიონატის აღმოჩენაა.

„ჩეჩენამ" იმდენი მოახერხა, თავისიანები ტაიმის მიწურულს 48 მეტრიდან დიდოსტატურად დარტყმული არეკნით დაანინაურა კიდეც - 9:7. პირველი ტაიმი ასე დასრულდა.

წინ კიდევ ორმოცი წუთი იყო და დაძაბული, უშელავათო ბრძოლა ნაკლებად სანახაობრივი გამოდგა. გუნდები ვერც უხვქულიანობით დაიკვეხნიან. ორქულიანი უპირატესობა თამაშის 73-ე წუთამდე შენარჩუნდა და დაწინაურება ისევ ბათუმელებმა მოახერხეს. საჯარიმოდან ისევ ნინიძემ დაარტყა ზუსტად - 12:7.

დარჩენილ შვიდ წუთში გამარჯვების მისაღწევად „ვისოლი ყოჩებს" ან ორი საჯარიმო უნდა გაეტანა, ანდა თუნდაც ერთი ლელო გარდასახვის გარეშე. ასეთ შემთხვევაში მატჩი ფრედ დასრულდებოდა, მაგრამ რადგან უპირატესობა ლელოებით თბილისელებს ჰქონდათ, გამარჯვებულადაც ისინი გამოცხადდებოდნენ.

ბათუმელებმა ბოლომდე თავდადებით იბრძოლეს და მეტოქეს წარმატების მიღწევის შანსიც კი არ მისცეს. მათ დამსახურებულად გაიმარჯვეს და ახლა არანაკლებ მძიმე ბრძოლა წინასწარ ფინალში „ლოკომოტივთან" ელით.

**3 ოქტომბერი**

წინასწარი ფინალი

ლოკომოტივი-ბათუმი XV



ლეგიონერები

## კლერმონის დაკარგული აჟენს ერგო

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტური, პირველი დივიზიონის მე-8 ტურის შეხვედრებში **დავით ხინჩაგიშვილის** „ბრივის" გარდა ქართველ მორაგბეთა ყველა გუნდი დამარცხდა.

„ბრივმა" საკუთარ მოედანზე **აქვსენტი გიორგაძის** ამბიციამოძალებული „კასტრი" უმწვავეს ბრძოლაში ორი ქულის სხვაობით დაამარცხა - 11:9. გიორგაძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 76-ე წუთზე შეცვალეს. ხინჩაგიშვილი თამაშში 41-ე წუთიდან ჩაერთო.

მეორე მარცხი ინვნია გათამაშების ერთ-ერთმა ფავორიტმა, **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონმა". ჩვენებურის გუნდი სტუმრად ქვეყნის ჩემპიონ „პერპინიანს" დაუპირისპირდა, 3:19 წააგო და ლიდერის პოზიციების დათმობა მოუხდა. კატალონიელების უპირატესობა იმდენად საგრძნობი იყო, რომ „ვულკანებმა" მხოლოდ ერთი საჯარიმოს გატანა მოახერხეს. კანადელ მეორეხაზელ **ჯიმი კუდმორს** კი არბიტრმა წითელი ბარათი უჩვენა. ზირაქაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და მე-60 წუთზე შეცვალეს.

ბასკეთში „ბიარიცთან" ვერაფერი გააწყო **დავით ქუბრიაშვილის** „ტულონმა" - 9:23. არ უთამაშია ტულონელთა მთავარ მექულეს **ჯონი ვილკინსონს**. ქუბრიაშვილი კი მოედანზე 45-ე წუთიდან გამოჩნდა.

მოულოდნელად შინ დამარცხდა „ბურგუენთან" **გოდერძი შველიძისა** და **ბექა შეყლაშვილის** „მონტობანი" - 12:15. გამარჯვების მომტანი საჯარიმო ბურგუენელთა დამრტყმელმა **ბენჟამინ ბოიემ** 79-ე წუთზე გაიტანა. შველიძე თამაშში 59-ე წუთიდან ჩაერთო. შეყლაშვილი განაცხადში არ იყო.

სტუმრად, პარიზულ „მეტრო რასინგთან" დამარცხდა **მამუკა გორგოძისა** და **გიორგი ჩხაიძის** „მონპელიე" - 14:18. შედეგად, მონპელიელები სატურნირო ცხრილში ბოლოსწინა საფეხურზე დაეშვნენ. ქართველ მორაგბეებს თამაშში მონაწილეობა არ მიუღიათ.

**საფრანგეთი. I დივიზიონი: VIII ტური:** ალბი-ბაიონი 19:14, ბრივი- ასტრი 11:9, პერპინიანი-კლერმონი 19:3, ბიარიცი-ტულონი 23:9, მონტობანი-ბურგუენი 12:15, მეტრო რასინგი-მონპელიე 18:14, ტულუზი-სტად ფრანსე 9:9.

**სატურნირო მდგომარეობა:** 1. პერპინიანი - 27 ქულა, 2. კლერმონი - 25, 3. ბიარიცი - 24, 4. ტულუზი - 22, 5. კასტრი - 20, 6. ტულონი - 20, 7. სტად ფრანსე - 19, 8. ბრივი - 19, 9. ბაიონი - 16, 10. მონტობანი - 16, 11. ბურგუენი - 16, 12. მეტრო რასინგი - 15, 13. მონპელიე - 13, 14. ალბი - 7.

სრულიად საპირისპირო იყო ქართველ მორაგბეთა გუნდების შედეგი მეორე დივიზიონის მე-5 ტურის შეხვედრებში. აქ **გურამ კავთიძის** „ლიონის" გარდა ყველა „ქართულმა გუნდმა" მოიგო.

კავთიძის „ლიონი" კი შინ დამარცხდა **გიორგი ულენტის** „ოიონაქსთან" - 18:22. აღსანიშნავია, რომ ეს ლიონელების პირველი წაგებაა მიმდინარე გათამაშებაში. კავთიძე განაცხადში არ იყო. ულენტმა თამაში ძირითად შემადგენლობაში დაიწყო და 65-ე წუთზე შეცვალეს.

პირველი მარცხი აგემა გათამაშების ერთპიროვნულ ლიდერ „გრენობლს" **ანტონ ფეიქრიშვილის** „აჟენმა" - 22:16. ჩვენებურის გუნდი ამ საშინაო გამარჯვებით სატურნირო ცხრილში პირველ ადგილზე დამკვიდრდა. ფეიქრიშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 55-ე წუთზე შეცვალეს.

შინ დაამარცხა „ბორდო" **მამუკა მაგრაქველიძის** „ტარბმა" - 15:12. ტარბელები ლიდერთა ჯგუფს მჭიდროდ მიუახლოვდნენ. მაგრაქველიძე თადარიგში იყო და მოედანზე 49-ე წუთიდან გამოვიდა.

საკუთარ მოედანზე გაიმარჯვა აუტსაიდერ „კოლომიესთან" **ლევან დათუნაშვილის** „ორიაკმა" - 22:12. „ჩაქუჩა" განაცხადში არ იყო.

**II დივიზიონი: V ტური:** მონ დე მარსანი-ოში 6:16, ტარბი-ბორდო 15:12, ორიაკი-კოლომიე 22:12, პო-დაქსი 16:14, ლიონი-ოიონაქსი 18:22, ლა როშელი-ლანამეზანი 22:6, ექსი-ნარბონი 24:19, აჟენი-გრენობლი 22:16.

**სატურნირო მდგომარეობა:** 1. აჟენი - 18 ქულა, 2. გრენობლი - 18, 3. ნარბონი - 16, 4. დაქსი - 15, 5. ლიონი - 15, 6. ოში - 14, 7. ლა როშელი - 14, 8. ტარბი - 13, 9. ოიონაქსი - 13, 10. პო - 10, 11. ბორდო - 10, 12. ორიაკი - 9, 13. მონდე მარსანი - 9, 14. ექსი - 7, 15. კოლომიე - 6, 16. ლანამეზანი - 1.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

კალათბურთი | ლეგიონერები

*იტალია*

# სანიკიძე მემორიალის ჩემპიონია, მარკოიშვილი კანტუს ბომბარდირი

**იტალიაში** დასრულდა პირაცის მემორიალი, რომელშიც მანუჩარ მარკოიშვილის "კანტუ" და ვიქტორ სანიკიძის "ვირტუსი" მონაწილეობდნენ. ოთხგუნდიანი ტურნირი სანიკიძის გუნდის გამარჯვებით დასრულდა. მანუს "კანტუ" მესამე იყო.

## ნახევარფინალი

შეჯიბრების პირველი ეტაპი ნახევარფინალი იყო, რომელშიც "ვირტუსი" "მილანს" დაუპირისპირდა, ხოლო "კანტუ"-"ვარეზეს". ბოლონიელებმა იტალიის ჩემპიონატის ფინალისტ მილანელებს არაფერი დაუთმეს, თანაბარ თამაშში გამარჯვებულის ბედი ბოლო წუთებზე გადაწყდა. მანამდე, მეორე პერიოდში, "ვირტუსის" ყველაზე ქულაუხვ გაქცევას საფუძველი სანიკიძემ და **ვუკჩევიჩმა** ჩაუყარეს. *"ვუკჩევიჩის სამქულიანებისა და სანიკიძის ათლეტიზმის წყალობით ბოლონიელებმა 9-ქულიანი უპირატესობა მოიპოვეს"*, - წერია მატჩის იტალიურ მიმოხილვაში. საფინალო სირენამდე 38 წამით ადრე ბოლონიელები 78:77-ს იგებდნენ. დარჩენილ დროში მათ საჯარიმოებით 83-ს მიაღწიეს, ხოლო მეტოქემ ქულა ვეღარ ჩააგდო - 83:77 "ვირტუსის" სასარგებლოდ.

საქართველოს ნაკრების ფორვარდმა, ვიქტორ სანიკიძემ მატჩი სათადარიგოთა სკამიდან დაიწყო და მოედანზე 17 წუთი გაატარა. მან 9 ქულა 1-დან 1 სამქულიანისა და 6-დან 3 ორიანის რეალიზების წყალობით მოაგროვა. გარდა ამისა, სანიკიძის ანგარიშზე 6 მოხსნაა.

მეორე ნახევარფინალში მარკოიშვილის "კანტუმ" "ვარეზესთან" ვერაფერი გააწყო – 76:80.

მატჩის მიმოხილვაში ქართული გვარი არაერთგან შეგვხვდა: *"პირველ ტაიმში კანტუელები დაცვაში კარგად ირჯებოდნენ. ამ მხრივ გამოსარჩევია მანუჩარ მარკოიშვილის მოქმედება... მესამე პერიოდის დაწყებიდან სამ წუთში "ვარეზემ" გაქცევა მოაწყო, თუმცა მარკოიშვილის ზუსტი თამაშის წყალობით "კანტუმ" სხვაობა 3 ქულამდე შეამცირა – 41:44... მეოთხე პერიოდში მანუჩარის ზუსტი ტყორცნის შემდეგ ტაბლოზე ანგარიში გათანაბრდა – 75:75... "კანტუს" ბოლო, 76-ე ქულაც ქართველმა უკანახაზელმა მოუტანა, თუმცა "ვარეზეს" ლიდერმა მორანდისმა ბოლო წამებზე უშეცდომოდ ისროლა და ფინალში თანაგუნდელები გაიყვანა..."*

"ვარეზესთან" შეხვედრაში მანუჩარ მარკოიშვილმა 11 ქულა ჩააგდო.

## მესამე ადგილისთვის

მეორე დღეს მოედანზე ჯერ მესამე ადგილისთვის მებრძოლნი, "კანტუ" და "მილანი" გავიდნენ. წინასწარ გეტყვით, რომ მესამე ადგილი კანტუელებმა მანუჩარ მარკოიშვილის დახმარებით მოიპოვეს. მანუმ 16 ქულას მოუყარა თავი, ხოლო მისმა გუნდმა მილანელებს 75:70 აჯობა. მატჩის მოკლე მიმოხილვაში ქართული გვარი ხუთჯერ გვხვდება. ერთგან ლაპარაკია მანუს დაცვაზე, მეორეგან — მის ბომბარდირულ თვისებებზე, შეტევაში გუნდს გაუძღვაო, მესამეგან — **ჯეფერსისა** და მარკოიშვილის კარგ შეთამაშებაზე, მეოთხეგან — ქართველის მიერ ბოლო წამებზე ჩაგდებულ სამქულიანზე, ხოლო ბოლოს მის შეცდომაზე, რომელსაც შეხვედრის მსვლელობაზე გავლენა არ მოუხდენია – "კანტუმ" 90:84 მოიგო.

## ფინალი

გადამწყვეტ შეხვედრაში ვიქტორ სანიკიძის "ვირტუსი" "კანტუს" მძლეველ "ვარეზეს" "დაეჭიდა". ბოლონიელებმა პირველივე პერიოდში 9-ქულიანი ფორა დაიბევეს (22:13), რომელიც დიდი შესვენების წინ 12-მდე გაზარდეს (41:29). მართალია, მეორე ტაიმში ვარეზელებმა თამაში გამოასწორეს, მაგრამ "ვირტუსის" კალათბურთელებს თამაშის სადავე ხელიდან არ გაუშვიათ და ფინალი 75:70 მოიგეს.

ვიქტორ სანიკიძემ 8 ქულა ჩააგდო. ბოლონიელთა სნაიპერი ფინელი **პეტრი კოპონენი** გახდა – 14 ქულა.

ბოლოს დავძენთ, რომ 4 ოქტომბერს იტალიის სუპერთასი გათამაშდება. ერთმანეთის წინაშე სანიკიძის "ვირტუსი" და **ნიკა მეტრეველის** "მონტეპასკი" წარდგებიან.

**ვაჟა სიმონიშვილი**

*საბერძნეთი*

# შერმადინი: 27

**გიორგი შერმადინმა** კიდევ ერთხელ გაიბრწყინა, გუშინ, "ნაპრენტაკთან" ამხანაგურ მატჩში 27 ქულა ჩააგდო, ფარიდან ასხლეტილი ბურთი 11-ჯერ მოხსნა და მეტოქეებს ორჯერ დაუფარა.

"პანათინაიკოსმა" სერბული შეკრების ბოლო მატჩში "ნაპრენტაკთან" 92:76 გაიმარჯვა.

მწვანეების ვიცე-სნაიპერი ასევე მეფარე **ბატისტი** გახდა – 16 ქულა. ჩერნოგორიელ თავდამსხმელ **პეკოვიჩს** მუხლის ტრავმის გამო არ უთამაშია.

ერთი დღით ადრე "პანათინაიკოსმა" ჩერნოგორიულ "ბუდუჩნოსტთან" 84:70 გაიმარჯვა. ამ შეხვედრაში შერმადინმა სამი ორქულიანი ვერ გამოიყენა, მოედანი უქულოდ დატოვა, თუმცა მოხსნებში იყოჩაღა – 11.

მწვანეები შედარებით უსახელო "რანტნისკისაც" იოლად გაუსწორდნენ – 72:60. გიორგი შერმადინმა ერთი სამქულიანი ჩააგდო, საბოლოოდ 4 ქულასა და 7 მოხსნას გამორჩა.

გუშინდელი მატჩის შემდეგ "პანათინაიკოსი" სერბეთიდან საბერძნეთში დაბრუნდა და მოსკოვის საერთაშორისო ტურნირისთვის მზადებას შეუდგა. ეს შეჯიბრება 2 ოქტომბერს დაიწყება.

**ვაჟა სიმონიშვილი**

*ხორვატია*

# ბოისა პირველია

**იტალიის** ქალაქმა უდინემ ოთხგუნდიან ტურნირს უმასპინძლა. **ვლადიმერ ბოისას** "ზადარმა" შეჯიბრება დამაჯერებლად ჩაატარა, ჯერ ბელგრადის "რაბოტნიჩკის" სძლია, შემდეგ მასპინძელ "სნაიდეროს" და ხორვატიაში გამარჯვებული დაბრუნდა.

ნახევარფინალში ბოისას თანაგუნდელებმა სერბულ "რაბოტნიჩკისთან" თანაბარი ბრძოლა გააჩაღეს და გამარჯვება უკანასკნელ წამებზე მოიპოვეს – 63:58.

ვლადიმერ ბოისა "ზადარს" 9 ქულით შეეწია, ხოლო შეხვედრის სნაიპერი მისი თანაგუნდელი **დაუნსი** გახდა – 13 ქულა.

მეორე ნახევარფინალში იტალიის "სნაიდერომ" ავსტრიული "კაპფენბერგი" დაამარცხა – 85:61. უდინელები იტალიის ჩემპიონატის უმაღლესი ლიგიდან გასულ სეზონში გავარდნენ, თუმცა შემადგენლობაში კვლავინდებურად არაერთი ამერიკელი ჰყავთ და სერია A-ში დაბრუნებასაც გეგმავენ.

გაცილებით მაღალ მიზნებს ისახავს "ზადარი", რომელიც ადრიატიკის ლიგაშიც ასპარეზობს და ევროთასზეც. აქედან გამომდინარე, სულაც არ არის გასაკვირი, რომ ბოისას თანაგუნდელებმა "სნაიდერო" პირველივე ტაიმში გატეხეს. "ზადარი" დიდ შესვენებაზე 19-ქულიანი უპირატესობით გავიდა (47:28). სტუმრებმა საბოლოოდ 75:60 გაიმარჯვეს.

ტურნირის საუკეთესო კალათბურთელად ზადარელი **სტეპჩიჩი** დასახელდა, რომელმაც ფინალში 25 ქულა მოაგროვა. გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა ვლადიმერ ბოისამ - 12 ქულა ჩააგდო. მან ორქულიანები შესაშური სიზუსტით ისროლა – 9-დან 6, ერთი სამიანი კი მიზანს ააცილა...

**ვაჟა სიმონიშვილი**

სუმოს სამყარო | აკი ბაშო. 13-27 სექტემბერი



კოკაი



გაგამარუ

# კოკაი გადარჩა

## გაგამარუ დივიზიონის ჩემპიონია

**ისევე**, როგორც საპნის ოპერაში, შემოდგომის ბაშოზეც **ლევან ცაგურიასთვის (კოკაი)** ყველაფერი კარგად დასრულდა. 28 წლის სუმოისტი იაპონიაში ყველაზე ცნობილი ქართველია და ის ელიტაში თითქმის 6-წლიანი ყოფნის შემდეგ მეორე დივიზიონში გასავარდნად არ გვემეტებოდა. არც გავარდა - კოკაიმ მთელი ძალისხმევა და სულის სიმტკიცე მოიკრიბა, ბოლო სამი ორთაბრძოლა ნაირ-ნაირი ილეთით მოიგო და ბაშო დადებითი ბალანსით დაამთავრა! გავარდნა კი არა, ახლა სუმოს ელიტაში მოხვედრილ პირველ ევროპელ ფალავანს დაწინაურება ელის.

ერთმა ლევანმა ბოლოს გაგვახარა, მეორემ კი იმედები გაგვიცრუა - **ლევან გორგაძეს (ტოჩინოშინი)** შესანიშნავი შანსი ჰქონდა კომუსუბის ტიტულის მოსაპოვებლად, მიზანს ნახევარი საფეხური აშორებდა, რისთვისაც საკმარისი იყო ბაშოზე 8 ორთაბრძოლის მოგება, ტოჩინოშინმა კი მხოლოდ ამის ნახევრის მოგება შეძლო და ახლა რეიტინგში ჩამოქვეითება ელის.

გაგვახარა 22 წლის **თეიმურაზ ჯუღელმა** (გაგამარუ), რომელმაც 7-0 ბალანსით მეორე დივიზიონის საგზური მოიპოვა (სუმოს ასოციაცია ამას დღედღეზე დაუმტკიცებს), ხოლო გუშინ 180-კილოგრამიანმა გაგამარუმ მაკუშიტას დივიზიონიც მოიგო, პლეიოფში მან ბრაზილიელ **კაისეის** იორიკირის ილეთით აჯობა. ეს გაგამარუს მეორე ტიტულია კარიერაში, 2005 წელს მან ყველაზე დაბალი, ჯონოკუჩის დივიზიონი მოიგო მისთვის სადებიუტო ბაშოზე.

გუშინ დიდი მონღოლი **ასაშორიუ** 29 წლისა გახდა, მან საკუთარ თავს შესანიშნავი საჩუქარი უძღვნა - კარიერაში 24-ედ მოიგო იმპერატორის თასი, პროფესიული სუმოს მთავარი პრიზი. აკი ბაშოს ბოლო დღემდე ასაშორიუ 14-0 ბალანსით მივიდა, მის მეტოქე **ჰაკუჰოს** კი 13-1 ბალანსი ჰქონდა. დიდ ჩემპიონთა ბრძოლა ჰაკუჰოს გამარჯვებით დასრულდა, ამიტომაც გახდა საჭირო საჩემპიონო პლეი ოფის გამართვა, რომელშიც უკვე ასაშორიუმ იმარჯვა. რანგით პირველი ორი დივიზიონი მონღოლ ფალავნებს დარჩათ, მესამე ქართველმა მოიგო, მე-4 და მე-5 - იაპონელებმა, ყველაზე დაბალი დივიზიონი კი - ბულგარელმა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ასაშორიუს იმპერატორის თასი იაპონიის პრემიერ-მინისტრმა გადასცა

| |
|---|
| იმპერატორის თასი: ასაშორიუ (24-ედ) |
| ბრწყინვალე ასპარეზობა: არავის |
| მებრძოლი სული: შოტენრო |
| ტექნიკური რიკიში: კაკურიუ (მე-4) |
| ძურიოს ჩემპიონი: ტამავაში (პირველად) |
| მაკუშიტას ჩემპიონი: გაგამარუ (პირველად) |
| სანდანმეს ჩემპიონი: აოკი (პირველად) |
| ჯონიდანის ჩემპიონი: ოკინოშიტა (პირველად) |
| ჯონოკუჩის ჩემპიონი: აოიამა (პირველად) |

| XIV დღე | |
|---|---|
| ასაშორიუ (ი)-კოტომიცუკი (ო) | შიტატენაგე |
| ჰაკუჰო (ი)-კოტოოშუ (ო) | კოტენაგე |
| ჰარუმაფუჯი (ო)-კაიო (ო) | სუკუინაგე |
| გოეიდო (მ5)-კოტოშოგიკუ (ს) | უვატენაგე |
| კისენოსატო (ს)-მიაბიამა (მ1) | ოშიდაში |
| ამინიშიკი (კ)-ტამანოშიმა (მ3) | იორიკირი |
| კაკურიუ (მ3)-ბარუტო (კ) | სოტოგაკე |
| კიოკუტენჰო (მ2)-ტოჩინოშინი (მ1) | იორიკირი |
| ასასეკირიუ (მ6)-შოტენრო (მ2) | უვატედაშინაგე |
| ივაკიამა (მ8)-ტოკიტენკუ (მ4) | ოშიდაში |
| ბუშუიამა (მ10)-ტოიონოშიმა (მ4) | ოშიდაში |
| ტოჩიოძანი (მ12)-ტაკეკაძე (მ5) | ჰატაკიკომი |
| იოშიკაძე (მ15)-ჰომაშო (მ6) | ჰიკიოტოში |
| მასაცუკასა (მ16)-ტაკამისაკარი (მ7) | ოშიდაში |
| ტოსაიუტაკა (მ10)-არანი (მ7) | ჰატაკიკომი |
| ფუტენო (მ15)-შიმოტორი (მ8) | იორიკირი |
| ვაკანოსატო (მ13)-ტოიოჰიბიკი (მ9) | ოშიდაში |
| კასუგაო (მ11)-მოკონამი (4-10) | იორიკირი |
| ჰოკუტორიკი (მ14)-კაკიძოე (მ11) | ოშიდაში |
| კოკაი (მ14)-ტოჩინონადა (მ12) | უვატენაგე |
| ტამაასუკა (მ13)-იამამოტოიამა (ძ2) | ოშიდაში |

შენიშვნა: მარცხნივ გამარჯვებული რიკიში

| ბოლო დღე | |
|---|---|
| ჰაკუჰო (ი)- ასაშორიუ (ი) | იორიკირი |
| კოტოოშუ (ო)-ჰარუმაფუჯი (ო) | უვატენაგე |
| კაიო (ო)-კოტომიცუკი (ო) | უვატენაგე |
| ბარუტო (კ)-კისენოსატო (ს) | უვატენაგე |
| ტოიონოშიმა (მ4)-კოტოშოგიკუ (ს) | იორიტაოში |
| კაკურიუ (მ3)-ამინიშიკი (კ) | ჰიკიოტოში |
| ტამანოშიმა (მ3)-ტოჩინოშინი (მ1) | ოშიდაში |
| კიოკუტენჰო (მ2)-მიაბიამა (მ1) | იორიტაოში |
| მოკონამი (მ9)-შოტენრო (მ2) | უვატენაგე |
| ტოკიტენკუ (მ4)-იოშიკაძე (მ15) | ჰიკიოტოში |
| გოეიდო (მ5)-კაკიძოე (მ11) | კუბინაგე |
| ტაკეკაძე (მ5)-ვაკანოსატო (მ13) | ჰიკიოტოში |
| ასასეკირიუ (მ6)-ფუტენო (მ15) | იორიკირი |
| ჰოკუტორიკი (მ14)-ჰომაშო (მ6) | ოშიდაში |
| არანი (მ7)-ბუშუიამა (მ10) | ჰატაკიკომი |
| ტოჩიოძანი (მ12)-ტაკამისაკარი (მ7) | იორიკირი |
| ტამაასუკა (მ13)-ივაკიამა (მ8) | ოშიდაში |
| შიმოტორი (მ8)-მასაცუკასა (მ16) | იორიკირი |
| ტოიოჰიბიკი (მ9)-კასუგაო (მ11) | იორიკირი |
| ტოჩინონადა (მ12)-ტოსაიუტაკა (მ10) | შიტატენაგე |
| კოკაი (მ14)-კიმურაიამა (ძ2) | უვატედაშინაგე |

შენიშვნა: მარცხნივ გამარჯვებული რიკიში

### საჩემპიონო პლეი ოფი

ასაშორიუ (ი)-ჰაკუჰო (ი) სუკუინაგე

### საბოლოო მდგომარეობა

**14-1:** ასაშორიუ (იოკოძუნა), ჰაკუჰო (იოკოძუნა)
**12-3:** ბარუტო (კომუსუბი)
**11-4:** კაკურიუ (მაეგაშირა 3), ტოჩიოძანი (მ 12), ჰოკუტორიკი (მ 14)
**10-5:** გოეიდო (მ 5), ბუშუიამა (მ 10), ვაკანოსატო (მ 13)
**9-6:** კოტოოშუ (ოძეკი), ჰარუმაფუჯი (ოძეკი), კოტომიცუკი (ოძეკი), ტაკეკაძე (მ 5), კაკიძოე (მ 11), იოშიკაძე (მ 15)
**8-7:** კაიო (ოძეკი), ტოკიტენკუ (მ 4), ივაკიამა (მ 8), კოკაი (მ 14).
**7-8:** კისენოსატო (სეკივაკე), ამინიშიკი (კომუსუბი), ტოიონოშიმა (მ 4), ჰომაში (მ 6), არანი (მ 7), მასაცუკასა (მ 16)
**6-9:** კოტოშოგიკუ (სეკივაკე), ასასეკირიუ (მ 6), ტაკამისაკარი (მ 7), ტოიოჰიბიკი (მ 9), ტოსაიუტაკა (მ 10), კასუგაო (მ 11), ტამაასუკა (მ 13)
**5-10:** კიოკუტენჰო (მ 2), ტამანოშიმა (მ 3), მოკონამი (მ 9), ფუტენო (მ 15)
**4-11:** **ტოჩინოშინი** (მ 1), მიაბიამა (მ 1), შიმოტორი (მ 8), ტოჩინონადა (მ 12)
**2-13:** ჩიოტაიკაი (ოძეკი), შოტენრო (მ 2)

ეროვნული ბიბლიოთეკა



კალათბურთი




# უორიორზი ჯექსონს ცვლის

„გოლდენ სტეიტ უორიორზის" მთავარმა მწვრთნელმა **დონ ნელსონმა** ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მისი გუნდი მზად არის გაცვალოს თავისი კაპიტანი **სტივენ ჯექსონი**. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ კალათბურთელით დაინტერესებული კლუბები სათანადო წინადადებით მიმართავენ „მეომრების" ხელმძღვანელობას. მიუხედავად იმისა, რომ ჯექსონი დაჟინებით ითხოვს სხვა გუნდში გაშვებას, თუ სტივენის გაცვლა არ მოხერხდა, დონ ნელსონი ურჩი კალათბურთელისთვის კაპიტნის სტატუსის შენარჩუნებას აპირებს.

*„მან თავისი საქციელით ბევრს იმედი გაუცრუა. სტივენთან კარგი ურთიერთობა მაქვს, მეგობრები ვართ და გარკვეულწილად მესმის მისი მოთხოვნა. ჯექსონის განცხადებების მიუხედავად, მომავალშიც შემიძლია ამ კალათბურთელთან მუშაობა. ის გუნდის კაპიტანი და ლიდერია და სანამ ჩვენთან იქნება, არაფერს დაიშურებს გამარჯვებების მოსაპოვებლად"*, - ამბობს ნელსონი.

გასულ რეგულარულში ჯექსონმა 59 მატჩში მიიღო მონაწილეობა და საშუალოდ 20.7 ქულა, 5.1 მოხსნა და 6.5 პასი დააგროვა.

ჰოკეი

# ლიდსტრიომი ათწლეულის მოთამაშეა

საინტერესო გამოკითხვა ჩაატარა მკითხველებს შორის ჟურნალმა The Sporting News-მა. ჰოკეის მოყვარულებს გასული ათწლეულის საუკეთესო მოთამაშე და სიმბოლური ნაკრები უნდა გამოევლინათ.

1999-2009 წლებში საუკეთესო ჰოკეისტის ტიტულზე ჟურნალმა ორი კანდიდატურა წარმოადგინა: „დეტროიტ რედ უინგზის" მცველი **ნიკლას ლიდსტრიომი** და „ნიუ ჯერსი დევილზის" მეკარე **მარტინ ბროდო**. ბოლო ათწლეულის საუკეთესო მოთამაშე შვედი მცველი გახდა, რომელმაც ხმების 55 პროცენტი მიიღო, ბროდოს კი 45 პროცენტი ერგო.

ეს ორი ჰოკეისტი ათწლეულის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანეს. მათთან ერთად გუნდში მოხვდნენ - მცველი **სკოტ ნიდერმაიერი** და სამი ფორვარდი - **ჯო საკიკი, ჯერომ იგინლა** და **იარომირ იაგრი**.

მეორე სიმბოლური ნაკრები ასე დაკომპლექტდა: მეკარე - **ჟან-სებასტიან ჟიგერი**, მცველები - **კრის პრონგერი** და **ზდენო ჰარა**, ფორვარდები - **ალექსანდრ ოვეჩკინი, სიდნი კროსბი** და **ვენსან ლეკავალიე**.

ათწლეულის საუკეთესო მწვრთნელად „დეტროიტის" დამრიგებელი **მაიკ ბებკოკი** აღიარეს, საუკეთესო ხელმძღვანელად - ამავე გუნდის გენერალური მენეჯერი **კენ ჰოლანდი**. „დეტროიტი" გახდა აგრეთვე ბოლო ათი წლის საუკეთესო გუნდი.

ოლიმპიზმი

# ლონდონს მუსიკოსი გახსნის?

ბრიტანული ჯგუფების Blur-ისა და Gorillaz-ს ლიდერი **დეიმონ ალბარნი** ერთ-ერთ პრეტენდენტად დაასახელეს 2012 წლის ოლიმპიადის გახსნის ცერემონიის რეჟისორის ვაკანტურ ადგილზე.

გამოცემა „ინდეპენდენტის" ცნობით, პოპულარულმა მუსიკოსმა უკვე გამართა მოლაპარაკებები ლონდონის თამაშების საორგანიზაციო კომიტეტთან, მაგრამ ამ საპასუხისმგებლო პოსტზე მისი დანიშვნის საბოლოო გადაწყვეტილება რამდენიმე თვის შემდეგ გახდება ცნობილი. ალბარნს გახსნის ცერემონიის რეჟისორობაზე რამდენიმე კონკურენტი ეყოლება, მათ შორის ოსკაროსანი რეჟისორი **სტივენ დოლდრი**.



უნდა აღინიშნოს, რომ Blur-ის სოლისტს უკვე აქვს ოლიმპიადებზე მუშაობის მცირე გამოცდილება. კერძოდ, 2008 წლის თამაშების დროს ტელერადიოკომპანია BBC-სთან თანამშრომლობდა, ხოლო ჯგუფ Gorillaz-დან მისი კოლეგის **ჯეიმი ჰიულეტის** დამზადებული იყო ტელექუდი, რომელიც წინ უძღოდა პეკინიდან ტრანსლაციებს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

კალათბურთი. *ინტერვიუ სერჯო სკარიოლოსთან*

# თურქეთზე ფიქრი ნაადრევია

როდესაც რუსეთის „ხიმკის" დამრიგებელმა სერჯო სკარიოლომ დაახლოებით ერთი წლის წინ ესპანეთის ნაკრები ჩაიბარა, კარგად იცოდა, მას და მის ახალ გუნდს ნებისმიერ ტურნირზე მხოლოდ გამარჯვება მოეთხოვებოდა. მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონისა და ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონისთვის სხვა მიზანი მიუღებელი იყო

სკარიოლოსთვის ახალ პოსტზე პირველი გამოცდა ევროპის ჩემპიონატი იყო, რომელიც ესპანეთს ადრე არასოდეს მოეგო. 2003 და 2007 წლის ფინალებში წაგების მიუხედავად, გუნდი პოლონეთში გასამართ ტურნირზე მთავარი ფავორიტის რანგში მიემგზავრებოდა, რაც მას დამატებითი ნერვიულობის საბაბს აძლევდა. შეკვეთით ტიტულის მოგება არც ისე იოლი აღმოჩნდა - სასტარტო წაგება სერბეთთან, მარცხი თურქეთის წინააღმდეგ... მაგრამ არც სკარიოლო და არც მისი შეგირდები დანებებას არ აპირებდნენ. მათ ჩემპიონატის მსვლელობისას არნახული ტემპი აკრიფეს, პლეი ოფში ყველა მეტოქე გადათელეს და დამსახურებულად მოიგეს ოქროს მედალი.

ერთი კვირა გავიდა მას მერე, რაც ესპანეთმა ოქროს მედალი მოიგო, შეხვდა მეფეს, პრემიერ-მინისტრს, მიიღო უამრავი მილოცვა... და აი, დადგა ევრობასკეტის მშვიდად შეჯამების დრო. ამას დღეს კონტინენტის პირველობის ტრიუმფატორი გუნდის დამრიგებელი სერჯო სკარიოლო გააკეთებს.

**- დონ სერჯო, გაგვიმხილეთ საიდუმლო, რომლის წყალობითაც ესპანეთის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატი მოიგო.**

- ჩვენთვის ყველაფერი ცუდად დაიწყო. ვერ თამაშობდნენ რუდი ფერნანდესი, ხორხე გარბახოსა, გუნდის ლიდერს პაუ გასოლს თითის მოტეხილობის გამო ევრობასკეტის წინ არც ერთ ვარჯიშში არ მიუღია მონაწილეობა. იძულებული გავხდით, აქტიურად დაგვეტვირთა არც ისე კარგ ფორმაში მყოფი ხუან-კარლოს ნავარო, ხოლო ხოსე კალდერონის ტრავმის გამო სასტარტო ხუთეულში გამთამაშებლის პოზიციაზე რიკი რუბიო დავაყენეთ, რომელიც სულ რაღაც 18 წლისაა. რიკის თავიდან გაუჭირდა, მაგრამ მას გამოცდილი რაულ ლოპესი და კარლოს კაბესასი შევაშველეთ. ყოველდღიურად ვპროგრესირებდით, თამაში უმჯობესდებოდა, ბოლო ხუთი მატჩი კი უბრალოდ დაუვიწყარი იყო. პირადად მე ვერ ვიხსენებ ტურნირს, რომელშიც ერთ გუნდს ბოლო ხუთ მატჩში თავისი მეტოქე მოედნიდან „მკვდარი" გაეყვანოს - ბოდიშს ვიხდი ასეთი შედარებისთვის. და ეს ესპანეთის ნაკრებმა გააკეთა.

**- რიკის დავუბრუნდეთ. კმაყოფილი ხართ იმით, თუ როგორ გაართვა რუბიომ თავი ძირითადი გამთამაშებლის ფუნქციებს?**

- რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ. რიკისთვის ეს ზაფხული რთული აღმოჩნდა. ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ჯერ კიდევ არ იცოდა, სად გააგრძელებდა კარიერას. თუ გახსოვთ, მას რამდენიმე ვარიანტი ჰქონდა: „ხუვენტუდში" დარჩენა, „ბარსელონაში", „რეალში" ან „მინესოტაში" გადასვლა. 18 წლის ბიჭისთვის ეს უდიდესი გამოცდაა. როცა სიტუაცია გაირკვა და მან „ბარსელონასთან" გააფორმა კონტრაქტი, რიკი დამშვიდდა და მთლიანად კალათბურთზე გადაერთო. ის ძალიან ახალგაზრდა და ძალიან ნიჭიერია და გულშემატკივრებმა ეს უნდა იცოდნენ.

**- ნუთუ მართლა ასეთი დიდი მომავალი აქვს რუბიოს, როგორც ამას სპეციალისტები ვარაუდობენ? შეუძლია თუ არა მას მსოფლიო კალათბურთის სუპერვარსკვლავი გახდეს?**

- მე ამაში დარწმუნებული ვარ. თუმცა ის პოზიცია, რომელზეც რიკი თამაშობს, საკმაოდ სპეციფიკურია. გამთამაშებლის ფუნქციები მნიშვნელოვნად განსხვავდება მსუბუქი ფორვარდის ან შემტევი მცველის ფუნქციებისგან. რა თქმა უნდა, კარგია, როცა შენ გარშემო კარგი კალათბურთელები თამაშობენ, რომლებიც ნებისმიერ მომენტში მზად არიან ბურთი სწორ პოზიციაში მიიღონ და შეტევა დაასრულონ. მაგრამ, საერთო ჯამში, პირველი ნომრის პოზიციაზე თამაში რთულია. იმედი მაქვს, რიკი შეძლებს ბოლომდე გაიხსნას და პროგრესი გააგრძელოს. მას შეუძლია დიდი კალათბურთელი გახდეს.

**- გასული ევრობასკეტის შეფასებისას, თქვენ, როგორც გამარჯვებული გუნდის მწვრთნელი, კმაყოფილი ხართ თუ არა ამ ტურნირით? როგორი იყო თქვენთვის ეს პირველობა?**

- უდიდესი გამოცდილება მივიღე. სასიამოვნო იყო შეგირდების მხრიდან ჩემი პერსონის მიმართ პატივისცემის გამოხატვა. ბიჭები ბოლომდე იხარჯებოდნენ, დისციპლინა უმაღლეს დონეზე ჰქონდათ და ყოველთვის იმას აკეთებდნენ, რასაც მე ვთხოვდი. და თავიდან, როცა ყველაფერი არ გამოგვდიოდა, უკმაყოფილებას არავინ გამოთქვამდა და არავინ წუწუნებდა. ტურნირის დასრულების შემდეგ პრესაში წავიკითხე, თუ რას ლაპარაკობდნენ თავიანთ მწვრთნელზე და მის მუშაობაზე კალათბურთელები. მათ სიტყვებს ჩემსთვის უფრო მეტი დადებითი ემოციები მოაქვს, ვიდრე ოქროს მედალს.

**- რაში მდგომარეობს ევრობასკეტის მსგავსი ურთულესი ტურნირის მოგების საიდუმლო?**

- ჩვენ ძალიან ნიჭიერი ნაკრები გვყავს. საერთოდ ძლიერი პიროვნებებისა და ვარსკვლავებისგან ნამდვილი გუნდის შექმნა რთულია. მაგრამ პოლონეთში ჩვენ სწორედ გუნდური კალათბურთი ვაჩვენეთ. ესპანეთის ნაკრებმა ბრწყინვალედ ითამაშა დაცვაში. სიმართლე გითხრათ, ვერ ვიხსენებ რომელიმე გუნდს ასე ორგანიზებულად და ხისტად ეთამაშოს დაცვაში ზედიზედ ხუთი მატჩის განმავლობაში, როგორც ამას ჩემი შეგირდები აკეთებდნენ. ნამის მეათედში მიღებული გადაწყვეტილებებითა და ტემპის მოულოდნელი მომატებით მოწინააღმდეგეს გონს მოსვლის საშუალებას არ ვაძლევდით. ასეთ წუთებში ვგრძნობდი, რომ დიად კალათბურთელებთან მქონდა საქმე.

**- ზოგიერთ სპეციალისტსა და კალათბურთელს, მათ შორის ალენ აივერსონს მიაჩნია, რომ ესპანეთის ნაკრებს შეუძლია თანაბარი ბრძოლა გაუმართოს ამერიკას. პირადად როგორ აფასებთ თქვენი გუნდის დონეს?**

- ესპანეთის ნაკრებს ჰყავს პაუ გასოლი, რომელმაც ერთ-ერთი მთავარი როლი ითამაშა „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" გაჩემპიონებაში. ამას ემატება რამდენიმე კალათბურთელი, რომლებიც ადრე წამყვან როლებზე იყვნენ NBA-ის კლუბებში და კიდევ მოთამაშეები, რომლებსაც ვარსკვლავებს ვერ ვუწოდებთ. ამერიკის „დრიმ თიმი" კი მთლიანად NBA-ის სუპერვარსკვლავებით არის დაკომპლექტებული. მიუხედავად ამისა, ყოველ მატჩში პირველ პლანზე გუნდები გამოდიან. რა თქმა უნდა, ამერიკელთა ინდივიდუალური ოსტატობა სამი თავით მაღლა იქნება, მაგრამ ცალკეულ შეხვედრაში ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ვფიქრობ, ჩვეულებრივ სიტუაციაში ამერიკა ძლიერი იქნება, მაგრამ მის მეტოქეებს მცირე შანსი ყოველვის ექნებათ.

**- იმის გათვალისწინებით, რომ მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატზე თქვენს გუნდს კალდერონი დაემატება, იქნებ ესპანეთმა შეძლოს თურქეთში „ოცნების გუნდის" დამარცხება?**

- ასეთი შორსმიმავალი პროგნოზების გაკეთება შეუძლებლად მეჩვენება. მე ისიც არ ვიცი, ჩვენთან იქნება თუ არა მომავალ ზაფხულს პაუ გასოლი. ყოველი მომდევნო წელი წინასგან განსხვავდება და გუნდის აწყობა ფაქტობრივად ნულიდან გიწევს. ასეთ საკითხებში თეორიული მიდგომა მიუღებელია, აქ პრაქტიკაა მნიშვნელოვანი. 2009-10 წლების სეზონის შემდეგ მივხვდებით, მსოფლიოს ჩემპიონატის მზადების პროცესში ვისზე უნდა გავაკეთოთ აქცენტი. დღეს კი თურქეთზე ფიქრი ნაადრევია.



ფორმულა 1




# ლოტუსი მზად იქნება

მომავალი სეზონის დებიუტანტი „ლოტუსი“ პირველი სარბოლო ბოლიდის მომზადებას დეკემბრისთვის აპირებს. მალაიზიური გუნდი ჩქარობს, რადგან უნდა მოასწროს 2010 წლის ჩემპიონატის სტარტისთვის მანქანების სრულფასოვანი გამოცდა. საჯინიბოს დირექტორმა **ტონი ფერნანდესმა** ჟურნალისტებს მოსალოდნელ დანახარჯებზე მოუყვა, აგრეთვე განაცხადა, რომ ჯერ არ შეუძლია იმ პილოტების გვარების დასახელება, რომლებიც 2010 წელს „ლოტუსის“ ღირსებას დაიცავენ.

*„ჩვენი შეფასებით, ტრასაზე ერთი ბოლიდის გამოყვანა 20-30 მილიონი ფუნტი ღირება, გუნდის საერთო ბიუჯეტი კი დაახლოებით 55 მილიონი იქნება. რაც შეეხება პილოტებს, ჯერ არავინ შეგვირჩევია და შესაბამისად, კონკრეტულად ვერაფერს გეტყვით. იდეალური ვარიანტი იქნება, თუ გუნდის ერთი წევრი გამოცდილი პილოტი იქნება და მეორე - დებიუტანტი“*, - ამბობს ფერნანდესი.

■ ■ ■

თუ „ლოტუსს“ დეკემბრისთვის მზად ეყოლება ბოლიდი, საგაისო ჩემპიონატის კიდევ ერთი აუტსაიდერის, ამერიკული საჯინიბო USF1-ის ბედი აქამდე გაურკვეველია.

ფორმულა 1-ის მთავარი პრომოუტერის **ბერნი ექლსტოუნის** სიტყვებით, დიდი ეჭვი არსებობს იმისა, რომ 2010 წლის ჩემპიონატის პირველ რბოლაში ყველა გუნდი ვერ მოახერხებს სტარტზე გასვლას. როგორც ბრიტანელი ამბობს, მთავარ ეჭვს სწორედ USF1-ის მზადყოფნა იწვევს.

*„ჩემი აზრით, ერთი ან ორი გუნდი ვერ მოახერხებს ფორმულა 1-ში დებიუტს. ყველაზე დიდ ეჭვს ამერიკული საჯინიბო USF1 იწვევს“*, - განაცხადა BBC-სთან კომენტარში ექლსტოუნმა.

ჰოკეი

# ფლერი კალგარის ვერ მოერგო

ვეტერანმა ფორვარდმა **თეო ფლერიმ** ვერ შეძლო თავის მშობლიურ კლუბ „კალგარი ფლეიმზში“ დამკვიდრება. 41 წლის ჰოკეისტმა, რომელიც 6-წლიანი პაუზის შემდეგ ჰოკეის ეროვნულ ლიგაში დაბრუნებას ცდილობს, ორ საწვრთნელ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. პირველში მან გოლი გაიტანა, მეორეში კი გამარჯვების ბულიტი ჩაიწერა აქტივში.

მიუხედავად ამისა, „კალგარის“ ხელმძღვანელობამ ვერ გარისკა ვეტერან ჰოკეისტთან კონტრაქტის გაფორმება. თუმცა „ფლეიმზის“ გენერალურმა მენეჯერმა **დერილ სატერმა** განაცხადა, რომ 41 წლის ფლერი უნდა ამაყობდეს თავისი ამჟამინდელი თამაშით.

# ნიდერმაიერი ეშმაკებთან წავიდა

გამოცდილმა თავდამსხმელმა **რობ ნიდერმაიერმა** „ნიუ ჯერსი დევილზთან“ გააფორმა კონტრაქტი. 35 წლის ჰოკეისტი, რომელიც ბოლო რამდენიმე წელი „ანაჰაიმში“ თამაშობდა (გასულ სეზონში 14 გოლი და 7 შედეგიანი პასი მიითვალა), დღეიდან შეუერთდება „ეშმაკების“ საწვრთნელ ბანაკს.

*„კარგად ვიცით რობის შესაძლებლობები. ამ ჰოკეისტს სტენლის თასზე გამოსვლის უდიდესი გამოცდილება აქვს და ყოველთვის მნიშვნელოვან როლს თამაშობს მოედანზე. ახლა გუნდში სამი შესანიშნავი ცენტრალური თავდამსხმელი გვყავს - ზაიაცი, ზუბრუსი და ნიდერმაიერი“*, - აღნიშნა „ნიუ ჯერსის“ პრეზიდენტმა და გენერალურმა მენეჯერმა **ლუ ლამორელომ**.

ჩოგბურთი

# ოუდინი ჰოფმანის თასზე ითამაშებს

ამერიკის ნაკრებმა 2010 წლის ჰოფმანის თასისთვის (შერეული შემადგენლობების გუნდებს შორის მსოფლიოს არაოფიციალური ჩემპიონატი) შემადგენლობა დაასახელა. 2 იანვარს, ავსტრალიის ქალაქ პერტის კორტებზე ბრძოლაში ჩაებმებიან: 2009 წლის ამერიკის ღია პირველობის აღმოჩენა, 18 წლის **მელანი ოუდინი**, რომელიც 43-ე ადგილს იკავებს მსოფლიოს კლასიფიკაციაში და ATP-ის 41-ე ნომერი, 24 წლის **ჯონ ისნერი**.

შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე ჰოფმანის თასისთვის შემადგენლობები ავსტრალიისა და რუსეთის ნაკრებებმა დაასახელეს. მასპინძლები **ლეიტონ ჰიუიტსა** და **სამანტა სტოსურს** გამოიყვანენ, რუსები - **ელენა დემენტიევასა და იგორ ანდრეევს**.

ჩოგბურთი

# კიმიკო პატარა კიმია

## ტოკიოში ანა ივანოვიჩმა პირველივე სეტი წააგო

ქალთა ტურნირები სეულსა და ტაშკენტში განსაკუთრებული პრესტიჟულობით არ გამოირჩევა და იქ რეიტინგის საუკეთესო ათეულის ჩოგბურთელები იშვიათად ჩადიან, მაგრამ სეულის ტურნირი მაინც იწვევდა ჩოგბურთის მოყვარულთა ინტერესს იმის გამო, რომ იქ დიდ სპორტში დაბრუნებული კიდევ ერთი მოთამაშე - 39 წლის იაპონელი **კიმიკო დატე** (მას დღეს დაბადების დღე აქვს) თამაშობდა, რომელსაც 13 წლის განმავლობაში (1996 წელს მან **მონიკა სელეში** დაამარცხა) სერიოზული წარმატებისთვის არ მიუღწევია.

163 სანტიმეტრი სიმაღლის აზიელი პროფესიულ ტურში შარშან, 12-წლიანი შესვენების შემდეგ დაბრუნდა, თუმცა აქამდე სერიოზული შედეგებისთვის არ მიუღწევია. წელს იაპონელს ერთი ტრადიცია ჩამოუყალიბდა. 2009 წლის უიმბლდონზე მან სეტი მოუგო დანიელ **კაროლინ ვოზნიაცკის**, მაგრამ შემდეგ ფიზიკურად ვერ გაუძლო სამსეტიან მატჩს. იგივე განმეორდა რეიტინგის TOP50-ის სხვა წარმომადგენლებთან მატჩებში - იაპონელი ერთ სეტს იგებდა და შემდეგ თმობდა შეხვედრას.

ამიტომაც ყველას ეგონა, რომ კიმიკოს სეულის ტურნირის მერვედფინალში შანსი არ ჰქონდა რუს გიგანტ **ალისა კლეიბანოვასთან**, რომელმაც ამ სეზონში **ვენუს უილიამსის, ანა ივანოვიჩისა** და **ელენა იანკოვიჩის** ძლევით გაითქვა სახელი. მაგრამ დატემ არათუ კლეიბანოვასთან სამსეტიან მარათონს გაუძლო, არამედ მეოთხედფინალში ტურნირის პირველ ნომერს **დანიელა ჰანტუხოვასაც** სძლია, ფინალში გასასვლელად კი შარშანდელ ჩემპიონ **მარია კირილენკოს** მოუგო. ამ მატჩებშიც ყველაფერი სამ სეტში გადაწყდა, ოღონდ იაპონელის სასარგებლოდ.

სამაგიეროდ, ფინალში კიმიკოს შედარებით იოლი ბრძოლა ჰქონდა ესპანელ **ანაბელ მედინა გარიგესთან**. ხუთი ბრეიკის წყალობით მან საათსა და 27 წუთში ორი სეტი ერთნაირი ანგარიშით მოიგო და კარიერაში მერვე ტიტული მოიპოვა. ტრიუმფის მომენტში დატე 38 წლის, 11 თვისა და 30 დღის იყო. ეს იმას ნიშნავს, რომ ის მეორე ყველაზე ასაკოვანი ჩოგბურთელი გახდა, ვინც WTA-ის ტურნირი მოიგო. ამ მხრივ რეკორდსმენი ლეგენდარული ამერიკელი **ბილი ჯინ კინგია**, ვინც 1983 წელს ბირმინგემის ტურნირზე 39 წლის, 7 თვისა და 23 დღის ასაკში იმარჯვა.

ასე რომ, კიმიკო დატე მეორე ჩოგბურთელია **კიმ კლაისტერსის** შემდეგ, ვინც ტიტულის მოგებით მოახერხა ტურში დაბრუნება. მართალია, იაპონელს ბელგიელის მსგავსი ამბიციები არ გააჩნია, მაგრამ მისი წარმატება უდავოდ დასაფასებელია.

■ ■ ■

ბოლო პერიოდში შესანიშნავ ფორმაში შევიდა **შაარ პეერი**. წინა კვირას გუანგჯოუს ტურნირის მოგების შემდეგ, ისრაელელმა ასევე იოლად მოიპოვა ტაშკენტში მთავარი პრიზი.

პეერი ფინალში 25 წლის ადგილობრივ ჩოგბურთელს **აკგულ ამანმურადოვას** ხვდებოდა. მათი წინა ოთხი დაპირისპირება ებრაელი მოთამაშის გამარჯვებით დასრულდა. გამონაკლისი არც ეს მატჩი ყოფილა.

პირველ სეტში პეერმა ორი ბრეიკპოინტი გამოიყენა, თავის მოწოდებაზე კი მხოლოდ ოთხი ქულა დაუთმო მეტოქეს - 6:3. მეორე პარტიაში უზბეკმა მილებაზე თამაში გამოასწორა და სამი ბრეიკი აილო, მაგრამ საპასუხოდ შაარმა ოთხი ბრეიკ-პოინტი მოგებულ გეიმში გარდასახა და სეტი მის სასარგებლოდ - 6:4 დასრულდა.

■ ■ ■

გუშინვე ტოკიოში ორმილიონიანი საპრიზო ფონდის ტურნირი დაიწყო და საწყის ეტაპზევე გამოეთიშა ბრძოლას მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი ანა ივანოვიჩი. თუმცა წლევანდელი ჩაგდებული სეზონის გამო სერბი ჩოგბურთელის წაგებებს სენსაციად აღარავინ აღიქვამს. ამჯერად ივანოვიჩი რეიტინგის 44-ე ჩოგანთან, ჩეხ **ლუსი საფაროვასთან** დამარცხდა, რომელთანაც ამ სეზონში ტორონტოს ტურნირზეც წააგო.

პირველ პარტიაში ივანოვიჩმა მხოლოდ ხუთი ქულა აილო ჩეხის მოწოდებებზე, მაგრამ ერთი ბრეიკის გაკეთება მაინც მოახერხა, თუმცა მეტოქემ ორით უპასუხა და სეტი საფაროვას დარჩა - 6:4.

მეორე სეტში ტაი-ბრეიკამდე აბსოლუტურად თანაბარი ბრძოლა იყო. „შემოკლებულ“ გეიმში კი 22 წლის ჩეხმა მხოლოდ ერთი ქულა გაიმეტა მეტოქისთვის - 7:6(1). მატჩი საათსა და 26 წუთს გაგრძელდა.




### ATP

**BCR Open Romania**

ბუქარესტი (რუმინეთი). თიხნარი
**საპრიზო ფონდი:** 450 000 დოლარი

**1/2 ფინალი**

**ხუან მონაკო** (არგ, 3)-სიმონ გრეული (გერ) 6:4, 6:3; **ალბერტ მონტანიესი** (ესპ, 5)-სანტიაგო ვენტურა (ესპ) 4:6, 6:4, 6:1.

**ფინალი**

**ალბერტ მონტანიესი** (ესპ, 5)-ხუან მონაკო (არგ, 3) 7:6(2), 7:6(6).

**Open de Moselle**

მეცი (საფრანგეთი). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 450 000 დოლარი

**1/2 ფინალი**

**გაელ მონფილსი** (საფ, 1)-რიშარ გასკე (საფ) 6:4, 6:3; **ფილიპ კოლშრაიბერი** (გერ, 2)-პოლ ანრი მატიო (საფ, 3) 7:6, 6:4.

**ფინალი**

**გაელ მონფილსი** (საფ, 1)-ფილიპ კოლშრაიბერი (გერ, 2)

### WTA

**Hansol Korea Open**

სეული (კორეა). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 220 000 დოლარი

**1/2 ფინალი**

**კიმიკო დატე** (იაპ)-მარია კირილენკო (რუს) 3:6, 6:2, 6:4; **ანაბელ მედინა გარიგესი** (ესპ, 2)-ანა ლენა გრონეფელდი (გერ) 2:6, 6:3, 6:1.

**ფინალი**

**კიმიკო დატე** (იაპ)-ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ, 2) 6:3, 6:3.

**Tashkent Open**

ტაშკენტი (უზბეკეთი). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 220 000 დოლარი

**1/2 ფინალი**

**აკგულ ამანმურადოვა** (უზბ)-იაროსლავა შვედოვა (ყაზ, 1) 6:4, 7:6; **შაარ პეერი** (ისრ, 2)-ოლგა გოვორცოვა (ბლრ, 4) 7:6, 6:2.

**ფინალი**

**შაარ პეერი** (ისრ, 2)-აკგულ ამანმურადოვა (უზბ) 6:3, 6:4.

# ფეხსაცმელები მარიასგან

სულ მალე ტოკიოელ ქალბატონებს შესაძლებლობა ექნებათ, **მარია შარაპოვას** დიზაინით შექმნილი ფეხსაცმელებით მოიწონონ თავს. გუშინ რუსმა ჩოგბურთელმა იაპონიის დედაქალაქში ფეხსაცმელებისა და აქსესუარების საკუთარი კოლექციის პრეზენტაცია მოაწყო, რომელიც დიზაინერული კომპანია Cole Haan-ის დახმარებით შეიქმნა.

თავისი კოლექციის ღირსებებზე მარია ჟურნალისტებს ტოკიოს ერთ-ერთ ფეშენებელურ სასტუმროში ესაუბრა. დღეს შარაპოვა ამ ქალაქში Pan Pacific-ის ტურნირში ჩაებმება.

*„მე პიკასო არ ვარ და რამდენიმე ცუდი ესკიზი დავხატე, - აღნიშნა სპორტსმენმა. - ჯერ კიდევ პროექტის დაწყებამდე ვთხოვე ყველას, ამ სამუშაოსგან გავეთავისუფლებინე... ჩემ გარშემო ბრწყინვალე დიზაინერები ტრიალებდნენ, რომლებსაც რეალობაში მოჰყავდათ ჩემი იდეები. ასე რომ, კოლექციის შექმნაში დიდი როლი მათაც მიუძღვით. უდიდესი სიამოვნება მივიღე. საინტერესოა ისეთი პროდუქციის შექმნა, რომელსაც შემდეგ ხალხი მოიხმარს. ყოველთვის მინდოდა ამ საქმეში ძალების მოსინჯვა“.*

Cole Haan-ის გენერალური დირექტორის **ჯეიმს სიუზის** სიტყვებით, შარაპოვას კოლექცია ახალგაზრდებისთვის არის განკუთვნილი: *„ეს ფეხსაცმელები იმ ახალგაზრდებს გამოადგებათ, რომლებიც ბევრს მუშაობენ, მაგრამ არანაკლები აზარტით იციან დასვენება“.*

როგორც გითხარით, შარაპოვა ტოკიოში WTA-ის უმაღლესი კატეგორიის (საპრიზო ფონდი - 2 მილიონი დოლარი) ტურნირში მიიღებს მონაწილეობას.

*„ამ სეზონში ორი ტურნირი დამრჩა სათამაშო და ერთ-ერთია ტოკიოს Pan Pacific-ის ჩემპიონატი. ბოლო სამი კვირა შესანიშნავად გავატარე, ბევრს ვვარჯიშობდი და მზად ვარ ახალი ბრძოლებისთვის“*, - ამბობს მარია.



გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრივი









# ვიტალის 301 დარტყმა

## უფროსმა კლიჩკომ კრის არეოლა აატირა და WBC-ის ტიტული მეორედ დაიცვა

**ვიტალი კლიჩკომ** იოლად შეინარჩუნა სუპერმძიმე წონაში WBC-ის ჩემპიონის ტიტული. უკრაინელმა ლოს-ანჯელესის „სტეიპლს ცენტრში" ტექნიკური ნოკაუტით დაამარცხა ამერიკელი **კრის არეოლა**, რომელიც აქამდე წაუგებლად გამოდიოდა პროფესიულ რინგზე.

კლიჩკომ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ დღეს სუპერმძიმე წონის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელია. მექსიკური წარმოშობის ამერიკელს ვერც ახალგაზრდა ასაკმა და ვერც სისწრაფემ უშველა, არადა, სპეციალისტების აზრით, სწორედ ეს უნდა ყოფილიყო არეოლას მთავარი კოზირი კლიჩკოსთან დაპირისპირებაში. ვიტალიმ კი ყველას დაანახვა, რომ შესანიშნავ ფორმაში იმყოფება და ასაკი (38 წელი) ხელს არ უშლის ნებისმიერი დონის მეტოქეების განადგურებაში.

პირველივე რაუნდიდან უკრაინელი ინიციატივას დაეუფლა. უფროსი კლიჩკო კარგად იყენებდა თავის ყველაზე საშიშ იარაღს - ჯებს, რინგზე შესანიშნავად გადაადგილდებოდა და ბრძოლის დასაწყისში რამდენიმე კარგი დარტყმა განახორციელა. არეოლამ მეორე რაუნდში სცადა გარდატეხის შეტანა. ამერიკელმა შეტევებს უმატა, თუმცა კლიჩკო სისწრაფის ხარჯზე დარტყმებს იცილებდა და თავად მარჯვენათი იერიშს ცდილობდა.

მესამეში ამერიკელი კიდევ უფრო გააქტიურდა. მეტოქეებმა რამდენიმე დარტყმა გაცვალეს, რაუნდი კი ვიტალის ზუსტი ჯებით დასრულდა. ბრძოლის წინ სპეციალისტთა შეფასებით, თუ არეოლას მოგება სურდა, მესამე ან მეოთხე რაუნდში უნდა მოემთავრებინა საქმე, წინააღმდეგ შემთხვევაში ის დამარცხებული დატოვებდა რინგს. ამერიკელი, უბრალოდ, ვერ გაუძლებდა 12 რაუნდს. სწორედ მეოთხე რაუნდში დატოვა არეოლამ საუკეთესო შთაბეჭდილება - მან ორი ბრწყინვალე დარტყმა განახორციელა, რითაც ოდნავ შოკში ჩააგდო კლიჩკო. ამერიკელმა ინიციატივის საბოლოოდ ხელში ჩაგდება სცადა და კიდევ რამდენიმე შეტევა წამოიწყო, მაგრამ უკრაინელს შეცდომა აღარ დაუშვია. უბრალოდ, ვიტალის დაცვის გააქტიურებამ მოუწია, მისი მოწინააღმდეგე კი კორპუსში დარტყმებზე გადავიდა და ერთი-ორჯერ უკრაინელი ბაგირებთან მიიმწყვდია. ამის საპასუხოდ კლიჩკომ რამდენიმე კონტრშეტევა განახორციელა, მეექვსე რაუნდში კი დომინირებდა ზუსტი დარტყმების რაოდენობით.

მეშვიდე რაუნდში უკვე კლიჩკომ გამოიჭირა არეოლა და მას ამოსუნთქვის საშუალება არ მისცა. ცხადი იყო, რომ მსოფლიოს ჩემპიონმა საბოლოოდ იგდო ხელთ ინიციატივა.

მერვე სამწუთეულში ამერიკელს რამდენიმე დარტყმა გამოუვიდა, თუმცა ცხვირიდან სისხლი წასკდა და მაინცდამაინც მხნედ ვერ გამოიყურებოდა. მეცხრეში კლიჩკომ იოლად გაარღვია კრისის დაცვა და დარტყმების მთელი თავისი არსენალი წარმოგვიდგინა. ასეთივე სცენარით წარიმართა მეათე რაუნდი, რომლის დასრულების შემდეგაც არეოლას სეკუნდანტებმა ბრძოლის შეჩერება მოითხოვეს, რაც მსაჯმა დააკმაყოფილა.

„ეს ერთი შეხედვით ჩანს, რომ გამარჯვება იოლი იყო. მაგრამ ეს ასე არ არის. არეოლამ მებრძოლი ხასიათი გამოავლინა. მან რამდენჯერმე მიიღო ჩემი მარჯვენა დარტყმა, რომელსაც ბევრი მოცელილივით წაუქცევია რინგზე, თუმცა კრისმა გაუძლო, - განაცხადა ვიტალიმ. - რა იქნება შემდეგ? მე ახლა 38 წლის ვარ, მაგრამ არ ვაპირებ ჯორჯ ფორმენის რეკორდის დამხობას (ლეგენდარული ამერიკელი 46 წლის ასაკში ფლობდა სუპერმძიმე წონაში ჩემპიონის ტიტულს)".

კრის არეოლა ბრძოლის შემდეგ ბავშვივით ტიროდა: „ბევრი ვიმუშავე ამ ბრძოლის წინ და მთელი ეს მონდომება ამაო აღმოჩნდა. არც კი მომცეს სრული ბრძოლის ჩატარების საშუალება. ვცდილობდი კლიჩკოსთან მიახლოებას, მაგრამ არაფერი გამომდიოდა. ის ჩემს დარტყმებს ასწრებდა ან თავიდან იცილებდა. მეტოქემ კარგად იცოდა, როგორ ემოქმედა ჩემ წინააღმდეგ. კლიჩკო ჭკვიანი მებრძოლია, მოიფიქრა, როგორ შეწინააღმდეგებოდა ჩემს ტაქტიკას და მოიგო".

ამერიკელის მწვრთნელმა **ჰენრი რამირესმა** ასე ახსნა ბრძოლის შეწყვეტის მიზეზი: „კრისი ძალიან ბევრ დარტყმას აცდენდა. იძულებული გავხდი, რეფერისთვის შემეტყობინებინა, რომ ბრძოლის შეჩერება გვინდოდა. ამის გაკეთება არც ისე იოლი იყო. როცა კრისმა ჩემი გადაწყვეტილება შეიტყო, ძალიან გაბრაზდა, მაგრამ სხვა გამოსავალი არ გვქონდა. ამასთან არეოლას თავიდანვე მოველაპარაკე, რომ კრიტიკულ სიტუაციაში შემეძლებოდა ასეთი გადაწყვეტილების მიღება".

„ბრძოლამდე მეგონა, რომ კლიჩკო გაცილებით ადრე დაასრულებდა ამ ჩხუბს. როგორც ჩანს, ასაკი მაინც თავისას შვება - ის ხომ უკვე 38 წლისაა. მეოთხე და მეხუთე რაუნდებში ვიტალის გამო შევშინდი კიდეც. მომეჩვენა, თითქოს დაღლილი იყო, მაგრამ მან შეძლო ბრძოლის გამარჯვებამდე მიყვანა", - ეს ლეგენდარული **მაიკ ტაისონის** კომენტარია.

მოგვიანებით გამოქვეყნდა ბრძოლის სტატისტიკა. უკრაინელმა 10 რაუნდის განმავლობაში 802 დარტყმა შეასრულა, რომელთაგანაც 301-მა მიაღწია მიზანს. კრის არეოლა 331 ცდიდან 86-ჯერ აღმოჩნდა ზუსტი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

**ფრენბურთი**

**ევროპის ჩემპიონატი**

| ქალები | |
|---|---|
| აზერბაიჯანი-სლოვაკეთი | 3:2 |
| იტალია-თურქეთი | 3:0 |
| ბულგარეთი-ბელგია | 3:2 |
| გერმანია-საფრანგეთი | 3:1 |
| პოლონეთი-ხორვატია | 3:0 |
| სერბეთი-ჩეხეთი | 3:0 |
| ჰოლანდია-ესპანეთი | 3:0 |
| რუსეთი-ბელარუსი | 3:0 |
| იტალია-საფრანგეთი | 3:1 |
| სერბეთი-სლოვაკეთი | 3:0 |
| პოლონეთი-ჰოლანდია | 0:3 |
| აზერბაიჯანი-ჩეხეთი | 2:3 |
| ბულგარეთი-ბელარუსი | 3:1 |
| გერმანია-თურქეთი | 3:2 |
| რუსეთი-ბელგია | 3:2 |
| ხორვატია-ესპანეთი | 2:3 |

**ჰოკეი**

| კჰლ | |
|---|---|
| ავტომობილისტი-ტრაქტორი | 2:3 |
| ცსკა-დინამო (რ) | 2:1 |
| ტორპედო-დინამო (მ) | 2:1 |
| ვიტიაზი-დინამო (მნ) | 5:3 |
| ს. იულიაევი-აკ ბარსი | 3:4 |
| ბარისი-ნეფტეხიმიკი | 1:1 |
| ავანგარდი-ლადა | 5:1 |
| მვდ-სპარტაკი | 5:3 |
| სკა-სიბირი | 4:1 |

| ავსტრია | |
|---|---|
| აკრონი-ვილახი | 2:5 |
| გრაცი-კლაგენფიურტი | 5:1 |
| ზალცბურგი-ლინცი | 3:1 |
| ოლიმპია-ალბა | 2:3 |

| გერმანია | |
|---|---|
| აისბარენი-ჰამბურგი | 6:2 |
| შტრაუბინგი-აუგსბურგი | 1:4 |
| ვოლფსბურგი-ფრანქფურტი | 0:2 |
| დიუსელდორფი-მანჰაიმი | 4:2 |
| კრეფელდი-კასელი | 4:2 |
| ნიურნბერგი-იზერლონი | 6:2 |
| კიოლნი-ჰანოვერი | 3:3 |

| ნორვეგია | |
|---|---|
| სპარტა-სტიორნენი | 3:2 |
| ლორენსკოგი-მანგლერუდი | 2:2 |
| ვოლერენგა-სტორჰამარი | 4:2 |
| ლილეჰამერი-სტავანგერი | 1:1 |

| სლოვაკეთი | |
|---|---|
| ჟილინა-სლოვაკეთი (U20) | 9:1 |
| მარტინი-მიკულაში | 8:3 |
| ნიტრა-ნოვა ვესი | 4:2 |
| სლოვანი-სკალიცა | 4:2 |
| ტრენჩინი-ბისტრიცა | 2:2 |
| კოშიცე-პოპრადი | 3:2 |

| ფინეთი | |
|---|---|
| კიეკო-ჰპკ | 1:2 |
| ილვესი-იოკერიტი | 1:3 |
| ლუკო-კერპეტი | 2:1 |
| პელიკანსი-კალპა | 3:1 |
| სეიპა-ტაპარა | 2:4 |
| ესეტი-ტპს | 7:3 |

| ჩეხეთი | |
|---|---|
| ვიტკოვიცე-სლავია | 3:2 |
| ზლინი-კლადნო | 2:1 |
| ლიბერეცი-პლზენი | 2:4 |
| პარდუბიცე-ბრნო | 6:3 |
| სპარტა-ტრშინეცი | 2:5 |
| კარლოვი ვარი-ლიტვინოვი | 2:3 |
| ბოლესლავი-ბუდეიოვიცე | 1:1 |

| შვეიცარია | |
|---|---|
| ამბრი პიოტა-ცუგი | 1:3 |
| დავოსი-ფრიბურგი | 6:2 |
| ლუგანო-ბერნი | 0:4 |
| რაპერსვილი-ბილი | 6:0 |
| ლანგნაუ-კლოტენი | 1:1 |

| შვედეთი | |
|---|---|
| ლულეა-სიოდერტალე | 8:2 |
| ბრიუნასი-აიკ | 1:2 |
| როგლე-ჰვ71 | 2:4 |
| იურგორდენი-მოდო | 1:1 |
| ლინჩოპინგი-ფერიესტადი | 3:2 |
| ფრიოლუნდა-ტიმრა | 3:1 |

**ჩოგბურთი**

| ATP. ბუქარესტი | |
|---|---|
| მონტანიესი-ვენტურა | 4:6, 6:4, 6:1 |
| მონაკო-გრეული | 6:4, 6:3 |
| მონაკო-მონტანიესი | 6:7, 6:7 |

| ATP. მეცი | |
|---|---|
| კოლშრაიბერი-მატიო | 7:6, 6:4 |
| მონფილსი-გასკე | 6:4, 6:3 |
| მონფილსი-კოლშრაიბერი | 7:6, 3:6, 6:2 |

| WTA. სეული | |
|---|---|
| დატე-კირილენკო | 3:6, 6:2, 6:4 |
| მედინა გარიგესი-გრონეფელდი | 2:6, 6:3, 6:1 |
| დატე-მედინა გარიგესი | 6:3, 6:3 |

| WTA. ტაშკენტი | |
|---|---|
| შვედოვა-ამანმურადოვა | 4:6, 6:7 |
| პეერი-გოვორცოვა | 7:6, 6:2 |
| პეერი-ამანმურადოვა | 6:3, 6:4 |

| WTA. ტოკიო | |
|---|---|
| ლისიცკი-შნიდერი | 6:4, 6:0 |
| ვესნინა-მარტინესი | 6:3, 6:2 |
| რეზაი-ერანი | 6:2, 6:2 |
| კლეიბანოვა-მორიტა | 6:1, 6:4 |
| შავაი-დულკო | 3:6, 0:6 |
| პავლიუჩენკოვა-სუარესი | 6:1, 7:6 |
| კანეპი-ჩანგი | 3:6, 3:6 |
| ბამერი-პეტკოვიჩი | 5:7, 4:6 |
| ივანოვიჩი-საფაროვა | 4:6, 6:7 |
| პენეტა-ვინჩი | 1:6, 2:6 |
| ნა ლი-კორნე | 6:4, 6:0 |

TV პროგრამა

**28 სექტემბერი. ორშაბათი**

**I არხი**

22:00 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.

**რუსთავი 2**

00:00 საფეხბურთო ღამე.

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

06:35 გერმანიის ჩემპიონატი. ჰოფენჰაიმი-ჰერტა.
08:25 არგენტინის ჩემპიონატი.ველეს სარსფილდი-ურაკანი.
10:10 იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-ბოლონია.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ესპანეთის ჩემპიონატი. დეპორტივო-ვილიარეალი.
14:10 ინგლისის ჩემპიონატი. სანდერლენდი-ვულვზი.
15:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:15 იტალიის ჩემპიონატი. მილანი-ბარი.
18:00 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
18:30 რუსეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:30 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:55 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:55 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:55 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-ვესტ ჰემი (LIVE).
00:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
01:15 საფეხბურთო ღამე.
01:45 90 წუთი - საფეხბურთო ტოქშოუ.
03:30 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-ვესტ ჰემი.
05:20 საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი-ტულუზა.

**HTB-პლუსი (ონლაინი)**

06:10 ფრენბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. საფრანგეთი-იტალია. პოლონეთი.
08:00 სპორტული დილა.
08:45 ფრენბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. რუსეთი-ბელგია. პოლონეთი.
11:10 ხელბურთი. მსოფლიოს თასი. ქალები. ფინალი. დანია.
12:30 ჭიდაობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. 66, 74, 120 კგ. მე-3 ადგილისთვის. ფინალი. დანია.
14:30 ჰოკეი. კჰლ-ის ლიგა. მიმოხილვა.
15:00 სპორტული დღე.
16:45 ბადმინტონი. იაპონიის ლია პირველობა. ფინალები.
19:00 ახალი ამბები.
19:30 ამერიკული ფეხბურთი. NFL-ის ჩემპიონატი. სან დიეგო-მაიამი.
22:00 სპორტული საღამო.
22:35 დიდი რინგი.
01:05 სპორტული ცეკვები. რუსეთის ჩემპიონატი.
02:45 ბეისბოლი. MLB-ის ჩემპიონატი. არიზონა-სან ფრანცისკო.
05:15 ახალი ამბები.
05:45 რკინის ფაქტორი. ტელეჟურნალი.

**EUROSPORT**

10:30 სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. II რბოლა. იმოლა. იტალია.
11:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ტოკიო. იაპონია.
12:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ტოკიო. იაპონია (LIVE).
15:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ბრაზილია-კოსტა რიკა. ეგვიპტე.
16:15 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ჩეხეთი-ავსტრალია. ეგვიპტე.
17:45 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ეგვიპტე.
18:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ნიგერია-ესპანეთი. ეგვიპტე (LIVE).
20:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
20:45 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ტრინიდადი-იტალია. ეგვიპტე (LIVE).
22:45 მულტისპორტი.
22:50 არმრესტლინგი.
00:10 მულტისპორტი.
00:30 ბრძოლა წესების გარეშე.
01:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ეგვიპტე.
01:45 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
02:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ნიგერია-ესპანეთი. ეგვიპტე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1. სინგაპურის გრან-პრი

# ჩემპიონს ვერავინ დაეწია



ფორმულა 1-ის მსოფლიოს ჩემპიონატის ერთადერთი ღამის გრან-პრი „მაკლარენის" პილოტმა **ლუის ჰემილტონმა** მოიგო, რომელმაც უკან ჩამოიტოვა **ტიმო გლოკი** („ტოიოტა") და **ფერნანდო ალონსო** („რენო"). ჩემპიონატის ლიდერებმა - „ბრაუნ გრან-პრის" პილოტებმა კვალიფიკაცია ჩააგდეს, მაგრამ გუშინ მაინც მოახერხეს ქულათა ზონაში შესვლა.

უქმეების გმირი მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი გახდა. ჰემილტონმა შაბათს კვალიფიკაცია მოიგო, თუმცა მას ამაში **რუბენს ბარიკელოს** ავარია დაეხმარა. მაშინ, როცა პილოტები ბოლო ცდაზე იყვნენ გასულები, ბრაზილიელი დამცავ ბარიერს დაეჯახა, რის გამოც ორგანიზატორებმა კვალიფიკაცია ვადაზე ადრე დაასრულეს და ძალაში საშუალედო შედეგები დატოვეს, რომლის მიხედვითაც პოული ლუისის საკუთრება გახდა.

ბარიკელო მეხუთეზე აღმოჩნდა, მაგრამ იმის გამო, რომ მის მანქანაზე გადაცემათა კოლოფი შეცვალეს, რუბენსი სასტარტო ბილიკზე ხუთი პოზიციით უკან დაწიეს.

კვირას ჰემილტონმა უშეცდომო რბოლა ჩაატარა. რთული სათქმელია გაუწევდნენ თუ არა **ნიკო როსბერგი** („უილიამსი") და **სებასტიან ფეტელი** („რედ ბული") წინააღმდეგობას ლუისს, ტრასაზე შეცდომები რომ არ დაეშვათ, მაგრამ აშკარად ჩანდა, რომ ბრიტანელი ტემპს ინარჩუნებდა და ნებისმიერ მომენტში შეეძლო მომატება. მოკლედ ჰემილტონი სამართლიანად ვაღიარეთ სინგაპურის გრან-პრის გმირად.

ანტიგმირები კი, ალბათ, ფეტელი და როსბერგი არიან. კვალიფიკაციაზე მეორე და მესამე ადგილზე გასულმა პილოტებმა ნერვების მოთოკვა ვერ შეძლეს და უაზრო შეცდომები დაუშვეს - ორივემ პიტ-ლეინზე სიჩქარის გადაჭარბებისთვის საჯარიმო დრო მიიღო. ამის გამო როსბერგმა ქულების მოპოვების შანსი დაკარგა, ფეტელმა კი მაინც შეძლო მეოთხე ადგილზე გასვლა და სხვათა შორის, საერთო ჩათვლაში ერთი ქულით შეამცირა სხვაობა ბატონთან. ამის წყალობით გერმანელმა ჩემპიონობისთვის ბრძოლის თეორიული შანსი (ძალიან რთული იქნება ბოლო სამ რბოლაში 25-ქულიანი ჩამორჩენის გაბათილება) შეინარჩუნა. რაც შეეხება ფეტელის თანაგუნდელ **მარკ უებერს**, მან თავისი ავარიით ეს შანსი დაკარგა და შემდეგ რბოლებში ავსტრალიელს ფეტელის წარმატებაზე ზრუნვა მოუწევს.

როგორც ვთქვით „ბრაუნები" ქულათა ზონაში მოხვდნენ. წესით ბარიკელო ისევ უკმაყოფილო უნდა დარჩენილიყო გუნდის მიერ არჩეული ტაქტიკით. ბრაზილიელი მუდმივად წინ იყო, მაგრამ **ჯენსონ ბატონი** მეორე პიტსტოპზე ყველაზე გვიან შევიდა. მან ცარიელი მანქანით საჭირო ჰანდიკაპი შეიქმნა და ბოქსებიდან გამოსვლისას ბარიკელოზე წინ აღმოჩნდა. ასე რომ, ბრიტანელმა ამ ეტაპზე ერთი ქულა მოუგო თავის თანაგუნდელსა და უახლოეს მდევარს და ახლა „ბრაუნის" პილოტებს შორის სხვაობა 15 ქულამდე გაიზარდა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია **ფერნანდო ალონსოს** გამოსვლა. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა არც ისე მძლავრი მანქანისგან მაქსიმუმი ამოიღო და სეზონში პირველად ავიდა პოდიუმზე. პრესკონფერენციაზე ესპანელმა ეს წარმატება „რენოს" ყოფილ შეფს **ფლავიო ბრიატორეს** მიუძღვნა, რომელმაც ცოტა ხნის წინ, ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციისგან სამუდამო დისკვალიფიკაცია მიიღო:

*„ჩვენ ფანტასტიკური გუნდი გვყავს. მექანიკოსებმა, ინჟინრებმა, ბაზის ყველა თანამშრომელმა წელს მაქსიმუმი გააკეთეს. ხანდახან კარგ შედეგებს ვაღწევდით, ზოგჯერ არ გვიმართლებდა, მაგრამ თუ ბოლოდროინდელ მოვლენებს გავითვალისწინებთ, ეს პოდიუმი განსაკუთრებულია. გუნდისთვის მეტად უსიამოვნო მომენტი გადავიტანეთ, თუმცა ყველაფერი უკან დარჩა და ახლა მხოლოდ რბოლებზე ვართ კონცენტრირებული. ამ პოდიუმს ფლავიო ბრიატორეს ვუძღვნი, რომელიც რბოლას შინ უყურებდა, მაგრამ ამ წარმატების ნაწილი გახდა".*

დანარჩენ პილოტებზე ბევრი არაფერია სალაპარაკო. „ფერარიმ" რბოლა ჯერ კიდევ შაბათს წააგო, როცა კვალიფიკაციის მესამე სეგმენტში ვერ მოხვდა. ეს არც არის გასაკვირი, რადგან „სკუდერიაში" ყველა 2010 წლის ბოლიდის შექმნაზეა მომართული, დღევანდელი მანქანა კი აღარავის აინტერესებს. „ფერარი" ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ საგაისო სეზონის პირველივე რბოლაში მაღალი დონის ბოლიდი დაახვედროს ალონსოს.

ბოლოს გერმანელი **ნიკ ჰაიდფელდის** შეწყვეტილ რეკორდზეც უნდა ვთქვათ. „ფორს ინდიას" პილოტის **ადრიან სუტილის** უყურადღებობამ „BMW-ზაუბერის" პილოტს ცუდი სამსახური გაუწია. ნიკი ავარიაში მოყვა და რბოლის დასრულება ვერ შეძლო. არადა აქამდე გერმანელმა ავტომრბოლმა ზედიზედ 41 ეტაპზე მიაღწია ფინიშს. ბოლოჯერ ჰაიდფელდი რბოლას 2007 წელს ამერიკის გრან-პრიზე გამოეთიშა. ასევე დასრულდა **კიმი რაიკონენის** („ფერარი") ოთხრბოლიანი სერია, რომლის დროსაც ფინელი პოდიუმზე ახერხებდა ასვლას.

**გია თვალაბეიშვილი**

**სინგაპურის გრანპრი. XIV ეტაპი**

**სინგაპური (61 წრე. 308.950 კმ)**

| | |
|---|---|
| 1(1). ლუის ჰემილტონი (მაკლარენი, ბრიტანეთი) | 1:56.06,337 (2 პიტსტოპი) |
| 2(7). ტიმო გლოკი (ტოიოტა, გერმანია) | +9,634 (2) |
| 3(6). ფერნანდო ალონსო (რენო, ესპანეთი) | +16,624 (2) |
| 4(2). სებასტიან ფეტელი (რედ ბული, გერმანია) | +20,261 (3) |
| 5(12). ჯენსონ ბატონი (ბრაუნი, ბრიტანეთი) | +30,015 (2) |
| 6(5). რუბენს ბარიკელო (ბრაუნი, ბრაზილია) | +31,858 (2) |
| 7(10). ჰეიკი კოვალაინენი (მაკლარენი, ფინეთი) | +36,157 (2) |
| 8(9). რობერტ კუბიცა (BMW-ზაუბერი, პოლონეთი) | +55,054 (2) |
| 9(11). კაზუკი ნაკაჯიმა (უილიამსი, იაპონია) | +56,054 (2) |
| 10(13). კიმი რაიკონენი (ფერარი, ფინეთი) | +58,892 (2) |
| 11(3). ნიკო როსბერგი (უილიამსი, გერმანია) | +59,777 (3) |
| 12(15). იარნო ტრული (ტოიოტა, იტალია) | +1.13,009 (2) |
| 13(18). ჯანკარლო ფიზიკელა (ფერარი, იტალია) | +1.19,890 (2) |
| 14(20). ვიტანტონიო ლიუცი (ფორს-ინდია, იტალია) | +1.33,502 (2) |
| 15(17). ხაიმე ალგერსუარი (ტორო როსო, ესპანეთი) | 14 წრე (3) |
| 16(14). სებასტიან ბუემი (ტორო როსო, შვეიცარია) | 14 წრე (4) |
| 17(4). მარკ უებერი (რედ ბული, ავსტრალია) | 16 წრე (2) |
| 18(16). ადრიან სუტილი (ფორს-ინდია, გერმანია) | 38 წრე (2) |
| 19(8). ნიკ ჰაიდფელდი (BMW-ზაუბერი, გერმანია) | 42 წრე (0) |
| 20(19). რომენ გროსჟანი (რენო, საფრანგეთი) | 58 წრე (1) |

საუკეთესო წრე: ფერნანდო ალონსო - 1.48,240 (168.725 კმ/სთ); 53-ე წრე

**საერთო ჩათვლა**

1. ჯენსონ ბატონი - 84 ქულა; 2. რუბენს ბარიკელო - 69; 3. სებასტიან ფეტელი - 59; 4. მარკ უებერი - 51.5; 5. კიმი რაიკონენი - 40; 6. ლუის ჰემილტონი - 37; 7. ნიკო როსბერგი - 30.5; 8. ფერნანდო ალონსო - 26; 9. ტიმო გლოკი - 24; 10. იარნო ტრული - 22.5; 11. ფელიპე მასა - 22; 12. ჰეიკი კოვალაინენი - 22; 13. ნიკ ჰაიდფელდი - 12; 14. რობერტ კუბიცა - 9; 15. ჯანკარლო ფიზიკელა - 8; 16 ადრიან სუტილი - 5; 17. სებასტიან ბუემი - 3; 18. სებასტიან ბურდე - 2.

**კონსტრუქტორთა თასი**

1. ბრაუნი - 153 ქულა; 2. რედ ბული - 110.5; 3. ფერარი - 62; 4. მაკლარენი - 59; 5. ტოიოტა - 46.5; 6. უილიამსი - 30.5; 7. რენო - 26; 8. BMW-ზაუბერი - 21; 9. ფორს ინდია - 13; 10. ტორო როსო - 5.

**დარჩენილი ეტაპები**

4 ოქტომბერი - იაპონიის გრან-პრი
18 ოქტომბერი - ბრაზილიის გრან-პრი
1 ნოემბერი - აბუ დაბის გრან-პრი



არ გამოგრჩეთ სექტემბრის ნომერი!

